

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

1/2024

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



1/2024

შვედარეზიტი სამართლი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2024

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2024

© ავტორები, 2024

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. ტანელ კერიკმაე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ შუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი შორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

- ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით** 1
გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი
- არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე გერმანული და ფრანგული სამოქალაქო სამართლის მიხედვით** 20
ბერნჰარდ კრესე

ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების სამართალი *ლევან ნანობაშვილის პერსონალური ბლოგი*

- ყველაფერი თაგვმა დაიწყო** 48
ლევან ნანობაშვილი

ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უღრის ჰაგენლოხი
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

I. სამართლებრივი რეგულაციები გერმანიაში/ზოგადი მიმოხილვა

ავტოსაგზაო შემთხვევების დროს ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის ცენტრალური დანაწესია (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის (StVG) მე-7 პარაგრაფი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

§ 7 მფლობელის პასუხისმგებლობა, მართვის მონაწილის გარეშე ექსპლუატაცია

(1) თუ ავტომობილის ექსპლუატაცია გამოიწვევს ადამიანის სიკვდილს, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებას, ავტომობილის მფლობელი ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

(2) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ავტოსაგზაო შემთხვევა გამომწვეულია დაუძლეველი ძალით.

(3) თუ ვინმე სარგებლობს ავტომობილით, მფლობელის ცოდნისა და ნების გარეშე, ის ვალდებულია მფლობელის მაგივრად აანაზღაუროს ზიანი; მფლობელი ვალდებულია მოსარგებლესთან ერთად აანაზღაუროს ზიანი, თუ ავტომობილის გამოყენება შესაძლებელი გახდა მისი ბრალეული ქმედების გამო. 1-ლი ნაწილი

არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე ავტომობილის მფლობელმა ჩართო ავტომობილის ექსპლუატაციაში ან თუ მას ავტომობილი მფლობელმა გადასცა.

გამონაკლისის სახით, ეს ნორმა არ ვრცელდება აღნიშნული კანონის მე-8 პარაგრაფში ჩამოთვლილ ნივთებსა და იმ პირებზე, რომლებიც ჩართულნი არიან ავტომობილის ექსპლუატაციაში, ასევე იმ არაავტონომიურ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა მაქსიმალური სიჩქარე არის 20 კმ/სთ. მძღოლი (რომელიც არ არის ამავდროულად ავტომობილის მფლობელი) პასუხისმგებელია ისე, როგორც ავტომობილის მფლობელი, კანონის მე-18 პარაგრაფის შესაბამისად, თუ ის ვერ ახერხებს ექსკულპაციას (თავის გამართლებას).

თუ სახეზეა საფრთხის გამომწვევისათვის პასუხისმგებლობის წინაპირობები, მისი ეფექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ მოთხოვნის დაფუძნებით. ამის საპირისპიროდ, მისი მოქმედება ვრცელდება, ასევე, მონაწილეთა მიერ ავარიის შემთხვევაზე (Abwägung der Verursachungsbeiträge). სხვაგვარად რომ ვთქვათ: ავარიაში მონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, მასში შეტანილ წვლილთა შენონვის მიხედვით,

წვლილი, რომელიც შეერაცხება თითოეულს, უკვე საფრთხის შექმნით [ავტომობილის ექსპლუატაციით] უნდა ჩაითვალოს განპირობებულად/შეტანილად.

ამიტომაც, გერმანიაში საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი შეიცავს რეგულაციებს, არა მხოლოდ პასუხისმგებლობის საფუძველთან, არამედ, კაუზალურ წვლილთა უერთიერთშეწონვის საფუძველზე, მონაწილეთა პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

ეს ნორმები ძირეულად ანაცვლებს გსკ-ის იმ ზოგად რეგულაციებს, რომლებიც რეგულირების საგნის მიხედვით იდენტურ შემთხვევებს ეხება, განსაკუთრებით კი, თანაბრალეულობასთან დაკავშირებულ ნორმას (გსკ-ის 254-ე პარაგრაფი). თუმცა, ეს ზოგადი რეგულაციები უცვლელად მოქმედებს სხვა მოთხოვნების შემთხვევაში (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-16 პარაგრაფი).

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ ნორმას:

§ 17 ზიანის მიყენება რამდენიმე ავტომობილის ჩართულობით

(1) თუ ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევია რამდენიმე ავტომობილი და თუ მასში მონაწილე მფლობელები კანონის ძალით ვალდებული არიან აუნაზღაურონ ზიანი მესამე პირებს, ავტომობილის მფლობელების ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი და ზიანის ანაზღაურების ფარგლები დამოკიდებულია გარემოებებზე, კერძოდ, იმაზე, თუ რა წვლილი მიუძღვის თითოეულს ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევაში.

(2) თუ ზიანი მიადგა ავტომობილის ერთ-ერთ მფლობელს, 1-ლი ნაწილი გამოიყენება, ასევე, მფლობელთა ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას.

(3) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით გამოირიცხება, თუ ავტოსაგზაო შემთხვევა გამომწვეულია

აურიდებელი მოვლენით, რომელიც არ არის განპირობებული ავტომობილის ნაკლით ან მისი მონყობილობების გაუმართაობით. მოვლენა აურიდებლად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც მფლობელმა, ასევე, ავტომობილის მძღოლმა დაიცვეს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, წინდახედულობის ყველა საჭირო ზომა. პასუხისმგებლობის გამორიცხვა მოქმედებს ასევე ავტომობილის იმ მესაკუთრის წინაშე, რომელიც არ არის მფლობელი.

(4) 1-ლი-მე-3 ნაწილები შესაბამისად გამოიყენება, როდესაც ზიანი ერთობლივად გამოიწვევს ავტომობილმა და ცხოველმა ან ავტომობილმა და მატარებელმა.

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 18 III პარაგრაფის მიხედვით, მე-17 პარაგრაფი შესაბამისად მოქმედებს, თუ მძღოლი (რომელიც ავტომობილის მფლობელისაგან განსხვავებული პირია) ვერ ახერხებს ექსკულპაციას (თავის გამართლებას).

ამგვარად, გერმანიაში, ხსენებული კანონის 7 II, 17 III და 18 III პარაგრაფების მიხედვით, ავტომობილის მფლობელთან მიმართებით, მოქმედებს პასუხისმგებლობის საფეხუროვანი სისტემა. დაზარალებული ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას, თუ ის დაუძლეველი ძალით იყო გამომწვეული. რაც შეეხება პასუხისმგებლობას ავარიაში მონაწილე სხვა (ავტომობილის) მფლობელისა თუ მძღოლის წინაშე, აქ პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ავტოსაგზაო შემთხვევა გამომწვეულია აურიდებელი მოვლენით (unabwendbares Ereignis)¹.

თუ კანონის მე-17 პარაგრაფი არ გამოიყენება, განსაკუთრებით, იმ მიზეზით, რომ მეორე მხარე არ არის ავტომობილის არც მფლობელი და არც მძღოლი, მისი პასუხისმგებლობა ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევაში შეტანილი კაუზალური წვლილისთვის, კანონის მე-9 პარაგრაფის მიხედვით, განისაზღვრება დელიქტური

¹ შდრ. OLG Frankfurt, Urteil vom 10. September 2015 - 22 U 73/14 - NJW-RR 2016, 731, juris Rn. 23 f.: იდეალური მძღოლის მიერ მაქსიმალური წინდახედულობის გამოჩენა გულისხმობს საფრთხის ყველა მომენტის გათვალისწინებას. მძღოლმა უნდა გათვალისწინებდეს ასევე საგზაო

მოძრაობის სხვა მონაწილეების მხრიდან მნიშვნელოვანი შეცდომების დაშვების შესაძლებლობა და წინასწარ მოემზადოს მათზე რეაგირებისათვის.

სამართლის ზოგადი წესების შესაბამისად (გსკ-ის 254-ე პარაგრაფი). ეს რეგულაცია, უპირველეს ყოვლისა, ეხება ისეთ ავტოსაგზაო შემთხვევებს, რომლებიც გამომწვეულია ფეხით მოსიარულეთა ან ველოსიპედისტთა (რომლებიც არ ექცევიან კანონის მე-7 ან მე-18 პარაგრაფის მოქმედების სფეროში) ბრალით.

II. ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა გერმანიაში

1. ავტომობილის მფლობელის ცნება

დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ავტომობილის მფლობელი არის პირი, რომელიც იყენებს მას საკუთარი ხარჯით და აქვს მისი გამოყენებისთვის აუცილებელი (ფაქტობრივი) განკარგვის შესაძლებლობა [განკარგავს ავტომობილის ბედს].² აქ მთავარია არა – ავტომობილთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობა და, განსაკუთრებით კი, – თუ ვის საკუთრებაშია ის. გადამწყვეტია ეკონომიკური პერსპექტივა; ამიტომაც, არსებითი ფაქტორია – ფაქტობრივი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კავშირი და მისი ინტენსივობა ავტომობილის ექსპლუატაციასთან.³

პირი [რომელიც არ არის მესაკუთრე] ავტომობილის მფლობელი ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ავტომობილი მას გარკვეული (არაუმნიშვნელო ხანგრძლივობის) პერიოდით აქვს გადაცემული. საფრთხის წყაროდან გამომდინარე რისკების შერაცხვა გამართლებულია ავტომობილზე მხოლოდ ამ, გარკვეული მდგრადობის მქონე, ფაქ-

ტობრივი, პირველ რიგში, ეკონომიკური ძალაუფლებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობით.⁴ ამიტომაც, ავტომობილის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც ფლობს გარკვეულ, ფაქტობრივი განკარგვის ძალაუფლებას ავტომობილზე; შესაბამისად, მფლობელად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ეს პირი იღებდეს გადამწყვეტილებას ავტომობილის გამოყენების შესახებ, ანუ, სულ მცირე, გარკვეულწილად მაინც, დამოუკიდებლად განსაზღვრავდეს ამ გამოყენების მიზეზს, დროით ფარგლებსა და კონკრეტულ მომენტს.⁵ ამგვარად: ავტომობილი (მისი გამოყენება) უნდა იყოს მფლობელის ხელში იმგვარად, რომ ამართლებდეს ამ ავტომობილიდან წარმოშობილი რისკების სწორედ მისთვის შერაცხვას და აქიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის მისთვის დაკისრებას.⁶ ამიტომ, როგორც წესი, ავტომობილის მესამე პირისთვის მხოლოდ დროებითი გადაცემა არ აქცევს მას მფლობელად. შესაბამისად: პირი მაშინ აღარ ითვლება ავტომობილის მფლობელად, როდესაც ის აღარ განსაზღვრავს/განკარგავს ამ ავტომობილის ბედს არაგარდამავალი პერიოდის განმავლობაში – თუნდაც ეს მისი ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდეს, მაგალითად, იმის გამო, რომ მას ავტომობილი მოპარეს.⁷

ავტომობილის მფლობელად დაკვალიფიცირებისათვის არსებითი წინაპირობაა, რომ ამ ავტომობილს პირი იყენებდეს საკუთარი ხარჯით.⁸ როგორც წესი, სწორედ ეს პირი, იღებს სარგებელს ავტომობილიდან და სწორედ ამ მიზეზით ფარავს (ცალკეულ შემთხვევებში, სულ

² BGH, Urteil vom 10. Juli 2007 - VI ZR 199/06 - BGHZ 173, 182, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 3. Dezember 1991 - VI ZR 378/90 - BGHZ 116, 200, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 26. November 1996 - VI ZR 97/96 - NJW 1997, 660, juris Rn. 8; OLG Hamm, Beschluss vom 26. Mai 2021 - I-7 U 55/20 - MDR 2021, 1192, juris Rn. 8; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 29. Juli 2020 - 5 U 2/20 - VersR 2021, 168, juris Rn. 49; OLG Nürnberg, Beschluss vom 15. August 2017 - 13 U 45/16 - juris Rn. 11.

³ BGH, Urteil vom 22. März 1983 - VI ZR 108/81 - BGHZ 87, 133, juris Rn. 12.

⁴ შდრ. BGH, Urteil vom 3. Dezember 1991 - VI ZR 378/90 - BGHZ 116, 200, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 22. März 1983 - VI ZR 108/81 - BGHZ 87, 133, juris Rn. 12.

⁵ OLG Hamm, Urteil vom 7. Dezember 2012 - I-9 U 117/12 - NJW 2013, 1248, juris Rn. 13.

⁶ შდრ. OLG Frankfurt, Urteil vom 10. September 2015 - 22 U 73/14 - NJW-RR 2016, 731, juris Rn. 23.

⁷ BGH, Urteil vom 26. November 1996 - VI ZR 97/96 - NJW 1997, 660, juris Rn. 8.

⁸ BGH, Urteil vom 10. Juli 2007 - VI ZR 199/06 - BGHZ 173, 182, juris Rn. 7; OLG Hamm, Beschluss vom 26. Mai 2021 - I-7 U 55/20 - MDR 2021, 1192, juris Rn. 8; OLG Nürnberg, Beschluss vom 15. August 2017 - 13 U 45/16 - juris Rn. 11.

მცირე, ნაწილობრივ მაინც) ხარჯებს.⁹

თუ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს სრულად და არსებითად არ აკმაყოფილებს არც ერთი განსახილველი პირი და ეს პირები არც ერთმანეთთან არ არიან კავშირში (მაგალითად, ქურდი და გაქურდული პირი), რომ ერთობლივად [ერთის მიერ მეორის პიროვნებაში არშესრულებული წინაპირობების შევსების გზით] თანამფლობელებად ჩაითვალოს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომელი უფრო მეტად აკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილ მახასიათებლებს; თუმცა, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი მე-7 პარაგრაფის მიზნიდან გამომდინარე, ამ წინაპირობების შემოწმება არასოდეს არ შეიძლება დამთავრდეს იმ შედეგით, რომ ავტომობილს მფლობელი საერთოდ არ ჰყავდეს.¹⁰

2. ავტომობილთა სახეობები

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-7, მე-18 პარაგრაფები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი ავტომობილმა გამოიწვია.

ავტომობილის ქვეშ მოიაზრება სახმელეთო გადაადგილების საშუალება, რომელიც არის მექანიკური (მანქანური ენერგიით მოძრავი) და არ არის მიბმული მატარებლის ლიანდაგზე (კანონის 1 II პარაგრაფი). ამას, უპირველეს ყოვლისა, აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ველოსიპედსა და პედელეკთან (შდრ. კანონის 1 III პარაგრაფი) მიმართებით, რომლებზეც არ ვრცელდება საგზაო მოძრაობის შესახებ კანონიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა. ამიტომაც, საგზაო მოძრაობის ეს მონაწილეები პასუხს აგებენ გსკ-ის ზოგადი ნორმების მიხედვით, ანუ, ბრა-

ლზე დამოკიდებულად. ფეხმავალთა და ველოსიპედისტთათვის, ნაწილობრივ, მოქმედებს სპეციალური ქცევის წესები საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილების (Straßenverkehrsordnung (StVO) მიხედვით, მაგალითად, ამ დადგენილების 25-ე პარაგრაფი – ფეხმავალთათვის და 2 IV და 5-ე პარაგრაფები – ველოსიპედისტთათვის).

ავტომობილის ძალით გადაადგილებად მისაბმელთან მიმართებით, ზოგადად, მოქმედებს პასუხისმგებლობის იგივე წესები, რაც ავტომობილის შემთხვევაში (შდრ. დეტალებისათვის: საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 19, 19a პარაგრაფები). კერძოდ: მისაბმელით გამოწვეული ავტოსაგზაო შემთხვევებისათვის ავტომობილის მფლობელი პასუხს აგებს დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა გამწვევი მანქანა ექსპლუატაციაში ზიანის გამოწვევის მომენტისათვის (იხ. თავი: 3. ბ)).

ტრამვაისა და მატარებლების შემთხვევაში გამოიყენება სავალდებულო სამოქალაქო დაზღვევის შესახებ კანონის სპეციალური წესები.¹¹

3. ავტომობილის ექსპლუატაცია

ა) ზოგადი კრიტერიუმები

იმისათვის, რომ ავტომობილი ექსპლუატაციაში მყოფად ჩაითვალოს, არ არის გადამწყვეტი, მოძრაობს თუ არა ის, ზიანის დადგომის მომენტში, მოტორის ძალით. ამის საპირისპიროდ, გადამწყვეტია, დგება თუ არა ზიანი ექსპლუატაციის პროცესსა ან ექსპლუატაციის ინფრასტრუქტურასთან დროით და ტერიტორიალურ კავშირში (ე. წ. სატრანსპორტო ტექნიკური პერსპექტივა).¹²

⁹ Laws/Lohmeyer/Vinke in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 249; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 29. Juli 2020 - 5 U 2/20 - VersR 2021, 168, juris Rn 49; Oberverwaltungsgericht Berlin-Brandenburg, Beschluss vom 30. Juni 2010 - OVG 1 N 42.10 - NJW 2010, 2743, juris Rn. 4; BGH, Urteil vom 18. Dezember 2007 - VI ZR 235/06 - VersR 2008, 410, juris Rn. 18 f.

¹⁰ შდრ. Laws/Lohmeyer / Vinke in: Freyemann / Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 252.

¹¹ იხ. ჟურნალის შემდეგ ნომერში: რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასში შეტანილ წვლილთა შეწონვის მიხედვით, თავი: I. 3.

¹² BGH, Urteil vom 21. Januar 2014 - VI ZR 253/13 - BGHZ 199, 377, juris Rn. 5; BGH, Urteil vom 26. März 2019 - VI ZR 236/18 - NJW 2019, 2227, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 18. Juli 2023 - VI ZR 16/23 - MDR 2023, 1517, juris Rn.

ამგვარად, საჭიროა ექსპლუატაციის ცნების ფართო განმარტება, რადგან (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფი არის საფასური იმისათვის, რომ ავტომობილის გამოყენებით ხდება დაუშვებელი საფრთხის წყაროს გახსნა; ამგვარად, ამ დანაწესმა, მისი მიზნიდან გამომდინარე, უნდა მოიცავს ავტომობილის “მოძრაობაში ჩაშვებით” განპირობებული ყველა ინციდენტი.¹³ ამიტომაც, ზიანი უკვე მაშინაც კი ითვლება ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად დამდგარად, როდესაც შეფასებითი მსჯელობით დგინდება, რომ ზიანის მომტანი ხდომილება, სულ მცირე, ავტომობილით განპირობებული სპეციფიკური საფრთხის რეალიზების შედეგითაა.¹⁴ ამგვარად, არ არის აუცილებელი, რომ ავტომობილიდან გამომდინარე სპეციფიკური საფრთხე გადამწყვეტი ფაქტორი იყოს; საკმარისია, თუ არსებობს გარკვეული შინაგანი კავშირი.

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-7 პარაგრაფის ამ დაცვითი მიზნის გათვალისწინებით, არ არის აუცილებელი, რომ ზიანის მომტანი შემთხვევა საზოგადო საგზაო სივრცეში¹⁵ (Öffentlicher Verkehrsraum) განხორციელდეს¹⁶ ან ავტომობილი მოძრაობაში იყოს

მოყვანილი. პასუხისმგებლობის განმაპირობებელი კაუზალური შერაცხვის (Zurechnungszusammenhang¹⁷) ელემენტი მხოლოდ მაშინ აღარ არის სახეზე, როდესაც მოცემულ სივრცეში ავტომობილის ყოფნასა და კონკრეტული ზიანის მომტან ხდომილებას შორის მხოლოდ გარეგანი და შემთხვევითი კავშირი არსებობს. ეს განსაკუთრებით მაშინ არის სახეზე, როდესაც ზიანის მომტანი კონკრეტული ხდომილება სხვა, დამოუკიდებელი რისკის სფეროს მიეკუთვნება.¹⁸

ბ) მაგალითები

ამიტომაც, ავტომობილი მაშინაც კი ითვლება ექსპლუატაციაში მყოფად, როდესაც ის, ავარიისა თუ მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, საგზაო მოძრაობისათვის საფრთხის შემცველ პოზიციაშია და მდგომარეობაშია გაჩერებული.¹⁹ იგივე წესი მოქმედებს, როდესაც არასწორი პარკირებით ხდება საფრთხის წარმოქმნა, მაგალითად, ხილვადობის შეზღუდვა ან გზის დავინროება, ან, როდესაც მანქანა არაუსაფრთხოდ არის პარკირებული²⁰. არსებობს ასევე მოსაზ-

12; BGH, Urteil vom 11. Februar 2020 - VI ZR 286/19 - NJW 2020, 2116, juris Rn. 10 მისაბმელთან დაკავშირებით; BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 87/22 - NJW 2023, 2109, juris Rn. 9, მისაბმელთან დაკავშირებით.

¹³ BGH, Urteil vom 11. Februar 2020 - VI ZR 286/19 - NJW 2020, 2116, juris Rn. 10.

¹⁴ BGH, Urteil vom 20. Oktober 2020 - VI ZR 374/19 - DAR 2021, 87, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 11. Februar 2020 - VI ZR 286/19 - NJW 2020, 2116, juris Rn. 10.

¹⁵ Öffentlicher Verkehrsraum – ტექსტში თარგმნილია, როგორც „საზოგადო საგზაო სივრცე“. მისი ალტერნატივა, მოცემული კონტექსტის გამოყენებით, ვერ იქნება, მაგალითად, „საჯარო გზა“ ან „საჯარო სივრცე“, რადგან ორივე უფრო ვიწროა, ვიდრე ზემოთ ხსენებული ცნება. Öffentlicher Verkehrsraum-ი გულისხმობს არა მხოლოდ საჯარო საკუთრებაში მყოფ, მოძრაობისათვის გახსნილ გზის ნაწილს, არამედ ნებისმიერ ტერიტორიას, რომელიც ფაქტობრივად ავტოსატრანსპორტო მოძრაობასთან არის დაკავშირებული, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის საკუთრებაშია ის (KG, Beschluss vom 18.11.2008 - 2 Ss 330/08, 3 Ws (B) 419/08 = BeckRS 2009, 21021).

¹⁶ BGH, Urteil vom 18. Juli 2023 - VI ZR 16/23 - juris Rn. 14; BGH, Urteil vom 20. Oktober 2020 - VI ZR 158/19 - NJW 2021, 1157, juris Rn. 15.

¹⁷ Zurechnungszusammenhang – კაუზალური შერაცხვა, რომელიც პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი წინაპირობაა, სახეზეა მაშინ, როდესაც ზიანის დადგომა წარმოადგენს იმ სპეციფიკური საფრთხის რეალიზებას, რომლისაგანაც უნდა დაიცვას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები დარღვეულმა ნორმამ (BGH Urteil vom 26. April 2005 - VI ZR 168/04); წარმოადგენს „ნორმის დაცვითი მიზნის“ სინონიმს.

¹⁸ BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 18. Juli 2023 - VI ZR 16/23 - MDR 2023, 1517, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 87/22 - NJW 2023, 2109, juris Rn. 13.

¹⁹ BGH, Urteil vom 9. Januar 1959 - VI ZR 202/57 - BGHZ 29, 163, juris Rn. 8 ff.; BGH, Urteil vom 16. April 1996 - VI ZR 79/95 - NJW 1996, 2023, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 20. Oktober 2020 - VI ZR 374/19 - DAR 2021, 87, juris Rn. 11.

²⁰ BGH, Urteil vom 11. Februar 2020 - VI ZR 286/19 - NJW 2020, 2116, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 25. Oktober 1994 - VI ZR 107/94 - NJW-RR 1995, 215, juris Rn. 19; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom

რება, რომ პარკირებული ავტომობილი, მართალია, ზოგადად, „ექსპლუატაციაში“ იმყოფება, თუმცა ზიანის დადგომა „ექსპლუატაციისას“ ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გამონვეული არა მხოლოდ ავტომობილის ტერიტორიული მდებარეობით, არამედ, დამატებითი, ავტომობილიდან წარმომდგარი საფრთხეებით.²¹ ეს დეტალური დიფერენცირება („ექსპლუატაციაში“ თუ „ექსპლუატაციისას“) მოკლებულია პრაქტიკულ მნიშვნელობას და აქ ამ თემის გაღრმავება საჭირო არ არის. ექსპლუატაციაში მყოფად ითვლება თუ არა ავტომობილი ასევე მაშინ, როდესაც მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, წინდახედულობის ყველა ზომის დაცვით, საზოგადო საგზაო სივრცეშია გაჩერებული და მისგან ამ მწყობრიდან გამოსვლით განპირობებული საფრთხეები აღარ გამომდინარეობს, საბოლოოდ გადანყვეტილი არ არის.

თავის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ზიანის მომტანი ხდომილება, მაშინაც კი მიიჩნია მისაბმელის ექსპლუატაციის შედეგად გამონვეულად, როდესაც ის, მიუხედავად წესების დაცვით პარკირებისა, სხვა ავტომობილის შეჯახების შედეგად, დაგორდა და შენობას შეეჯახა. ამ ტიპის ხდომილებით შენობის დაზიანება წარმოადგენს (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის) მე-7 | პარაგრაფის დაცვითი მიზნით მოცული რისკის რეალიზებას – კერძოდ, იმ რისკისა, რომ მისაბმელი, მისი კონსტრუქციიდან გამომდინარე, გარე ძალის ზემოქმედებით, არაკონტროლირებად მოძრაობაში შეიძლება მოვიდეს. ეს საფრთხე არ ითვლება განეირტალეზულად იმით, რომ მისაბმელი საზოგადო საგზაო სივრცეში წესების დაცვით იქნა დაყენებული.²² იგივე წესი მოქმედებს მაშინ,

როდესაც (მოცემულ შემთხვევაში: კერძო მიწის ნაკვეთზე) გაჩერებული მისაბმელი ქარიშხლის ძალით მოძრაობაში მოდის და სხვა გაჩერებულ ავტომანქანას ეჯახება²³ ან, როდესაც ავტომობილს სხვა, უკონტროლოდ მოძრავი ავტომობილი ეჯახება და ისეთი მესამე პირისათვის აყენებინებს ზიანს, რომელიც მანამდე ინციდენტში არ მონაწილეობდა.²⁴

ხსენებული კანონის 7 | პარაგრაფის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე, ასევე, ავტომობილში ჩაჯდომა და ავტომობილიდან გადმოსვლა ექსპლუატაციის ნაწილია, თუ ამ დროს ის რისკი რეალიზდება, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ავტომობილის ექსპლუატაციიდან.²⁵ ამის საპირისპიროდ, ავტომობილის ექსპლუატაციასთან კავშირში მყოფი საფრთხე უკვე აღარ გვაქვს სახეზე, თუ მძღოლმა დაასრულა ავტომობილით გადაადგილება, ჩაკეტა ეს ავტომობილი და ტერიტორიალურად მოშორდა მას. თუმცა ავტომობილი ექსპლუატაციაში მყოფად ითვლება, თუ მძღოლი ავტომობილს მოშორდა მხოლოდ დროებით და აპირებს დაბრუნებას, იმ მოქმედების განხორციელების მიზნით, რომელიც ავტომობილის ექსპლუატაციას განეკუთვნება.²⁶ ეს შემთხვევა, მაგალითად, მაშინ არის სახეზე, როდესაც წესების დაცვით დაყენებული ავტომობილიდან მძღოლი გადავიდა, იქვე, ხილვადობის ზონაში განთავსებულ საფოსტო ყუთში წერილის ჩასაგდებად. ამის საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც მძღოლი ან მგზავრი უახლოვდება ავტომობილს, რათა ჩაჯდეს მასში, თუმცა ავტომობილს არ მიუღწევია იმ ზონისათვის (პირველ რიგში, საზოგადო საგზაო სივრცისათვის), სადაც რეალიზდება მისგან წარმომდგარი საფრთხეები ან

30. März 2022 - 7 U 139/20 - juris Rn. 22; LG Saarbrücken, Urteil vom 13. November 2020 - 13 S 92/20 - juris Rn. 9; OLG Rostock, Urteil vom 11. März 2022 - 5 U 181/19 - juris Rn. 17 – ქალაქგარეთ საგზაო სივრცის დავიწროებასთან დაკავშირებით.

²¹ BGH, Urteil vom 12. Dezember 2023 - VI ZR 76/23 - openJur 2024, 950, juris Rn. 12.

²² BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 87/22 - NJW 2023, 2109, juris Rn. 11 ff.

²³ BGH, Urteil vom 11. Februar 2020 - VI ZR 286/19 - NJW 2020, 2116, juris Rn. 19.

²⁴ OLG Celle, Urteil vom 10. Mai 2023 - 14 U 56/21 - juris Rn. 34 ff.

²⁵ შდრ. გადმოსვლასთან დაკავშირებით: OLG Hamm, Beschluss vom 5. April 2018 - I-6 U 163/17 - VersR 2018, 1084, juris Rn. 13.

²⁶ შდრ. OLG Hamm, Beschluss vom 5. April 2018 - I-6 U 163/17 - VersR 2018, 1084, juris Rn. 14; Laws/Lohmeyer/Vinke in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 48.

ინციდენტი ხდება საგზაო მოძრაობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკის გარეშე.

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის მოქმედების სფეროში ექცევა, ასევე, ის ზიანის მომტანი ხდომილება, რომელიც უკავშირდება ავტომობილის დატვირთვას ან გადმოტვირთვას, თუ ამასთან რეალიზდება საფრთხე, რომლის გამოც დატვირთვა გადმოტვირთვა საგზაო სივრცეს საჭიროებს.²⁷ ეს მოიცავს ასევე იმ ავტოსატრანსპორტო შემთხვევებს, როდესაც უშუალოდ საავტომობილო გზაზე ჩამოტვირთული ნივთი ხდება ზიანის გამომწვევი მიზეზი.²⁸ მაგრამ ასევე ის ნივთი, რომლის ავტომობილში ჩატვირთვა თუ გადმოტვირთვა არ ხდება, შეიძლება მაინც შეფასდეს ავტომობილიდან მომავალი საფრთხის შემცველად [და გაგრძელებად], რამდენადაც არსებობს შინაგანი კავშირი მასსა და ავტომობილის საგზაო-სატრანსპორტო ფუნქციას შორის. ამიტომაც, მაგალითად, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიხედვით, ნაგვის მანქანის ექსპლუატაციას მიეწერება, როდესაც ის, საზოგადო საგზაო სივრცეში ტრანსპორტირების ფუნქციის შესრულებისას, ნაგვის ურნებს აცარიელებს და საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილე ამ ურნას გამოედება.²⁹

ხსენებული კანონის 7 I პარაგრაფით მოცულ, ავტომობილის სპეციფიკურ რისკებს განეკუთვნება, თუ მისი მონყობილობების გაუმართაობა

(მაშინაც კი, როდესაც წესების დაცვით არის პარკირებული) ზიანს წარმოშობს, მაგალითად, როდესაც ხანძარი ან მისი სხვა საგნებზე გადადება კაუზალურ კავშირშია ავტომობილის მონყობილობებთან.³⁰ იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტრომობილის ბატარეა დატენვის დროს ფეთქდება.³¹ ამის საპირისპიროდ, ავტომობილიდან მომდინარე სპეციფიკურ საფრთხესთან საკმარისი შინაგანი კავშირი არ გვაქვს სახეზე, როდესაც ავტომობილს შეგნებულად უკიდებენ ცეცხლს და ეს ცეცხლი სხვა ავტომობილებსა თუ მესამე პირების სხვა სიკეთეებს გადაედება.³² ავტომობილის ექსპლუატაციას შეერაცხება და მისით გამონვეული საფრთხის რეალიზებას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ავტომობილის გადავლის მიუხედავად გადარჩენილი ძალი, ამ შემთხვევასთან უშუალო დროით და ტერიტორიალურ კავშირში, თავის პატრონს კბენს.³³³⁴

ამომწურავად გადანყვეტილი არ არის, შეიძლება თუ არა (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის გამოყენება პასუხისმგებლობის შეზღუდვისათვის. ეს საკითხი, პირველ რიგში, დგება იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომობილის გამოყენება შეგნებულად ხდება მისი დანიშნულების საწინააღმდეგოდ (ექსპლუატაციის მიღმა მდებარე მიზნებისათვის): მაგალითად, ავტომობილის გამოყენება „იარაღად“ ან შემთხვევა, როდესაც, მწვავე კამათის შემდეგ, ავტომობილის მეშვეობით ხდება

²⁷ BGH, Urteil vom 23. Mai 1978 - VI ZR 150/76 - BGHZ 71, 212, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 14; OLG München, Urteil vom 23. Februar 2023 - 25 U 3191/21 - NJW-RR 2023, 680, juris Rn. 7 ff.

²⁸ OLG Dresden, Urteil vom 29.01.2014 - 7 U 792/13 - NJW-RR 2014, 1176, juris Rn. 13.

²⁹ BGH, Urteil vom 12. Dezember 2023 - VI ZR 77/23 - openJur 2024, 646, juris Rn. 15 f.

³⁰ ავოტსახელოსნოში ავტომობილის ელექტროობის მოკლე ჩართვით გამონვეულ ხანძართან დაკავშირებით იხ. – BGH, Urteil vom 20. Oktober 2020 - VI ZR 374/19 - DAR 2021, 87, juris 7 ff.; BGH, Urteil vom 12. Dezember 2023 - VI ZR 76/23 - openJur 2024, 950, juris Rn. 11; ხანძართან დაკავშირებით, რომლის წყაროც გახდა პარკირებული კემპერის მაცივარი იხ. – OLG Hamm, Teilurteil vom 9. November 2018 - 11 U 113/17 - juris Rn. 41 – ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა უკუგდებულ იქნა იმ

ფაქტზე მითითებით, რომ საქმე ეხებოდა მხოლოდ საცხოვრებელად გამოყენებულ კემპერს, რომელიც არ იყო დაშვებული საგზაო მოძრაობაში და მისმა ერთ-ერთმა მონყობილობამ გამოიწვია ხანძარი; დამატებით გამათბობელთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა უკუაგდო, თუმცა არაგადაჭრით: LG Mühlhausen, Urteil vom 7. Dezember 2016 - 6 O 795/10 - juris Rn. 20.

³¹ BGH, Urteil vom 24. Januar 2023 - VI ZR 1234/20 - NJW 2023, 2279, juris Rn. 7 ff.

³² BGH, Urteil vom 27. November 2007 - VI ZR 210/06 - NJW-RR 2008, 764, juris Rn. 9 ff.

³³ იხ. ცხოველიდან მომდინარე საფრთხესთან შეწონვასთან დაკავშირებით ჟურნალის შემდეგ ნომერში: რუსთაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასში შეტანილ წვლილთა შეწონვის მიხედვით, თავი: I. 5.

³⁴ OLG Celle, Urteil vom 5. Oktober 2022 - 14 U 19/22 - VersR 2022, 1442, juris Rn. 24 ff.

წინააღმდეგობის შექმნა უკან მომავალი მანქანისათვის, მისი დაზიანების მიზნით.³⁵

გ) სპეციალური დანიშნულების ავტომობილები

მაშინ როდესაც, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის მიხედვით პასუხისმგებლობისათვის, ზოგადად, უმნიშვნელოა, ავტომობილიდან გამომდინარე საფრთხე საზოგადო საგზაო სივრცეში რეალიზდება თუ კერძო მიწის ნაკვეთზე, სპეციალური დანიშნულების ავტომობილების შემთხვევაში, ზიანის დადგომა მხოლოდ მაშინ მიენერება მათ ექსპლუატაციას და გამომდინარეობს მათგან, როდესაც ზიანის გამომწვევი ხდომილება გარკვეულ შინაგან კავშირშია ავტომობილის გადაადგილება-ტრანსპორტირების საშუალებად გამოყენებასთან.³⁶ ამისათვის გადამწყვეტია, ხდება თუ არა ამ სპეციალური დანიშნულების ავტომობილის – მაგალითად, გზის დამგების, თოვლმწმენდისა თუ სამაშველო მანქანის – ფუნქციური გამოყენება მოძრაობისათვის გახსნილ გზაზე ან მის სიახლოვეს.³⁷ თუ გადაადგილების ფუნქცია [რაც არის განმსაზღვრელი ავტომობილისათვის] სრულებით უკან იხევს და ამ სპეციალური ავტომობილის გამოყენება ხდება საზოგადო საგზაო სივრციდან სრულებით მოშორებით, მხოლოდ შესაბამისი სპეციალური ფუნქციით, ზიანი აღარ ითვლება ექსპლუატაციისას გამომწვეულად.³⁸

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს განსხვავება სანვაგმზიდის გადმოცლისას. მაგალითად, სანვაგმზიდის მფლობელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც გამომწვეულია სანვაგმზიდის ქუჩაზე დაღვრით, საქაჩ მილში ნახვრეტის გამო³⁹, ან იმის გამო, რომ ფეხმავალი მას გამოედო.⁴⁰ ინციდენტი, რომელიც წარმოიშობა სანვაგმზიდის მოტორის ძალით მისი ავზის ავსებისას, თუმცა საგზაო სივრცის მიღმა, ველარ ჩაითვლება ამ სპეციალური ავტომობილის ექსპლუატაციით გამომწვეულად.⁴¹ ზუსტად ასევე, სანვაგმზიდის მისაბმელის ექსპლუატაციით გამომწვეულად ვერ ჩაითვლება სანვაგმზიდის მინაში ჩაღვრა, რომელიც განაპირობა იმან, რომ, ავზის ავსების პროცესში, გაზონის საკრეჭმა რობოტმა სანვაგმზიდის საქაჩი მილი გააფუჭა.⁴²

ამ ტიპის, ავზის ავსებისას თუ ავზში სანვაგმზიდის დაბინძურებით დამდგარი, ზიანი წარმოშობს ასევე სადაზღვევოსამართლებრივ პრობლემებს, რომლებიც აქ მხოლოდ მოკლედ შეიძლება იქნეს განხილული. მოცემულ კონტექსტში მთავარ საკითხს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ავტომობილის სავალდებულო დაზღვევისა და, მეორე მხრივ, სანარმოს სავალდებულო დაზღვევის დაცვითი ფარგლების გამიჯვნა. გერმანიაში ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთსულოვანი მოსაზრება, რომ (ავტომობილის დაზღვევის) შესაბამისი სტანდარტული პირობები (AKB)⁴³ ფარავენ ზიანის ყველა შემთხვევას, რომელიც წარმოიშობა ავტომობილის ექსპლუატაციისას და ხანდახან უფრო შორსმიმავალიც კი

³⁵ პასუხისმგებლობის საკითხს დადებითად წყვეტს: OLG Celle, Urteil vom 22. Januar 2020 - 14 U 173/19 - juris Rn. 29.

³⁶ BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 -VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 12 ff.

³⁷ BGH, Urteil vom 5. Juli 1988 - VI ZR 346/87 - BGHZ 105, 65, juris Rn. 6, ექსპლუატაცია სახეზეა, როდესაც გზაზე მოსრიანების საწინააღმდეგო ნივთიერების დაყრისას შესაბამისი მანქანა აზიანებს სხვა ავტომობილს; BGH, Urteil vom 18. Januar 2005 - VI ZR 115/04 - VersR 2005, 566, juris Rn. 11, ექსპლუატაცია სახეზეა, თუ ავტომობილი ზიანდება იმ ნივთით, რომელიც შეითრია კომპანიის შესაბამისმა ნაწილმა გაზონის კრეჭისას.

³⁸ BGH, Urteil vom 18. Juli 2023 - VI ZR 16/23 - juris Rn. 13 ff., მაგალითად, მოსავლის შეგროვებისას, მარცვლეულის შემგროვებელი მანქანის დეფექტი იწვევს ზიანს.

³⁹ BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 14 ff.

⁴⁰ BGH, Urteil vom 23. Mai 1978 - VI ZR 150/76 - BGHZ 71, 212, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 14.

⁴¹ BGH, Urteil vom 23. Mai 1978 - VI ZR 150/76 - BGHZ 71, 212, juris Rn. 9; OLG Celle, Urteil vom 15. November 2023 - 14 U 56/23 - juris Rn. 39 ff.

⁴² OLG Köln, Beschluss vom 15. April 2020 - I-13 U 94/19 - DAR 2022, 30 - juris Rn. 34.

⁴³ ამჟამინდელი რედაქცია: <https://www.gdv.de/resource/blob/6178/f9007a429b57b1ca33dae1c8d84ca9f9/01-allgemeinebedingungen-fuer-die-kfz-versicherung-akb-2015--data.pdf>.

არის.⁴⁴ ამიტომაც, ავტომობილის სავალდებულო დაზღვევის დაცვით სფეროში ექცევა არა მხოლოდ ეს ზემოთ მოყვანილი, სანვავმზიდის გამოყენებით დამდგარი ზიანის შემთხვევები, არამედ, სახელშეკრულებო დაზღვევის სამართლის გაგებით, „ავტომობილის გამოყენება“ მაშინაც კი სახეზეა, როდესაც ავზის მქონე ავტომობილის მძღოლს ავზები ერთმანეთში ერევა და შედეგად, შერევის გამო, ავზის შიგთავსი სრულად ნადგურდება.⁴⁵ ამასთან დაკავშირებული, ევროპული სამართლიდან გამომდინარე, პრობლემატიკისათვის, რაც ასევე საქართველოსთვისაც უნდა იყოს საინტერესო, ვუთითებთ ევროკავშირის შესაბამის დირექტივებზე.^{46, 47}

4. კაუზალური შერაცხვა დაზარალებულის მიერ საკუთარი გადაწყვეტილებით მოქმედებისას

ა) საფრთხის დამოუკიდებელი წყაროს შექმნა

კაუზალური შერაცხვა, პასუხისმგებლობის სამართლის გაგებით, ასევე არ გვაქვს სახეზე, როდესაც კონკრეტული ზიანი გამონვეულია იმით, რომ დაზარალებულმა საკუთარი ქმედებით, რომელიც უშუალოდ მოსდევდა ავტოსაგზაო შემთხვევას, შექმნა საფრთხის დამოუკიდებელი წყარო (საკუთარი თავისათვის საფრთხის შექმნის გაგებით).⁴⁸ თუმცა ამ ტიპის შემთხვევა მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც, ზიანის მომტანი პირველი ხდომილება მხოლოდ გა-

რეგან, სრულებით შემთხვევით კავშირშია თანმდევ ავტოსაგზაო შემთხვევასთან/დაზიანებასთან. თუ, წინმიმავალ ავტომობილთან უკნიდან შეჯახების შემდეგ, ამ ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი მძღოლი, სიტუაციაში გარკვევის მიზნით, ტოვებს ავტომობილს, რის შემდეგაც ყინულზე უსრიალდება ფეხი და გზაზე ეცემა – აქ რეალიზდება არა საგზაო მოძრაობისათვის დამახასიათებელი ზოგადი რისკი (იგულისხმება: ზოგადი ცხოვრებისეული რისკი [რაც გამორიცხავს კონკრეტულ ავტოსაგზაო შემთხვევაზე პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის გავრცელებას ამ დაზიანებაზე]), არამედ, სპეციალური, მანამდე მომხდარი (უკნიდან) შეჯახებით გამოწვეული საფრთხე.⁴⁹ ზუსტად ასევე, დამოუკიდებელ საფრთხის წყაროს არ წარმოშობს ავარიაში მოყოლილი ავტომანქანის მგზავრი, როდესაც მას, უსაფრთხო ადგილამდე მიღწევის მცდელობისას, ქუჩის გადაკვეთის მომენტში სხვა მანქანა ეჯახება.⁵⁰ იგივე ითქმის იმ შემთხვევაზე, როდესაც ავარიის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის მძღოლი ფეხით აედევნება დამზიანებლის მანქანას, როდესაც ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილიდან ნელი სვლით ცდილობს გაცლას, და დაზარალებული ფანჯარაზე კაკუნისას მინაზე ვარდება.⁵¹ მოცემულ შემთხვევებში, აღწერილი სპეციფიკური საფრთხის რეალიზება საერთოდ არ მოხდებოდა წინმსწრები ავტოსაგზაო შემთხვევის გარეშე, რადგან დაზარალებულს, ამ ავარიის გარეშე, საერთოდ არ მოუწევდა მოყინულ გზაზე ფეხით გაველა თუ ავტობანის გადაკვეთა.⁵²

⁴⁴ იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად: BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 15 ff.; OLG München, Urteil vom 23. Februar 2023 - 25 U 3191/21 - NJW-RR 2023, 680, juris Rn. 7 ff.; Wenker, jurisPR-VerkR 10/2023 Anm. 3.

⁴⁵ OLG München, Urteil vom 23. Februar 2023 - 25 U 3191/21 - NJW-RR 2023, 680, juris Rn. 7 ff.

⁴⁶ იხ. უკანასკნელი დირექტივა: EU) 2021/2118 (ABI. L 430 vom 02.12.2021, S. 1), ინგლისურად: <https://eurlex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:32021L2118>.

⁴⁷ შდრ. სასამართლო პრაქტიკიდან: EuGH, Urteil vom 28. November 2017 - C-514/16 - VersR 2018, 156; BGH, Urteil vom 8. Dezember 2015 - VI ZR 139/15 - BGHZ 208, 140, juris Rn. 15 ff.

⁴⁸ BGH, Urteil vom 26. Februar 2013 - VI ZR- 116/12 - NJW 2013, 1679, juris Rn. 12; OLG Hamm, Urteil vom 24. August 2018 - I-7 U 23/18 - juris Rn. 11 ff.

⁴⁹ BGH, Urteil vom 26. Februar 2013 - ZR 116/12 - BGHZ 196, 355, juris Rn. 12.

⁵⁰ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 15. Juni 2023 - 12 U 218/22 - NJW-RR 2023, 1378, juris Rn. 17.

⁵¹ OLG Hamm, Urteil vom 24. August 2018 - I-7 U 23/18 - juris Rn. 14.

⁵² შდრ. ამის საპირისპიროდ, ავტომობილიდან გადმოსვლის აქტის სრულად დასრულებასა და მისგან ტერიტორიალურ მოშორებასთან დაკავშირებით [რა დროსაც ექსპლუატაცია უკვე დასრულებულად ითვლება]: OLG Hamm, Beschluss vom 5. April 2018 - I-6 U 163/17 -

ბ) უკონტაქტო ავტოსაგზაო შემთხვევა

ე. ნ. უკონტაქტო ავტოსაგზაო შემთხვევისას, კაუზალური შერაცხვის წინაპირობაა, რომ დაზარალებულის მიერ მითითებულმა, ზიანის მომტანი ხდომილების თანაგანმაპირობებელმა ავტომობილმა ეს ზიანი გამოიწვიოს არა მხოლოდ იმით, რომ ტერიტორიალურად იმყოფება ინციდენტის ადგილზე, არამედ – გადაადგილებით ან სხვაგვარი ზემოქმედებით, ბიძგი მისცეს გარკვეულ პროცესებს სატრანსპორტო მოძრაობაში.⁵³

მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევა გამომწვეულია ავტომობილის ექსპლუატაციით, თუ ის გადასწრების მანევრით განპირობებული არიდების რეაქციის შედეგია. ამასთან, არ არის საჭირო, რომ დაზარალებულის ეს (არიდების) რეაქცია ობიექტურად აუცილებელი ყოფილიყო და არც ის, რომ ამით რეალურად აიცილოს თავიდან შეჯახება.⁵⁴ იდენტურად უნდა გადანყდეს შემთხვევა, როდესაც ფეხმავალი საავტომობილო გზის გადაკვეთისას ძირს ვარდება, იმიტომ, რომ ის შემხვედრმა ავტომობილმა⁵⁵ დააბნია ან როდესაც, მისაბმელიანი მანქანის გადასწრებისას, მოტოციკლეტისტი ვარდება გზაზე, რადგან ამ უკანასკნელის მოძრაობის ტრაექტორიამ დააბნია.⁵⁶ ამასთან, უმნიშვნელოა, საგზაო მოძრაობის მონაწილე, რომელმაც

გაუკეთა პროვოცირება დაზარალებულის ამ რეაქციას, ობიექტურად არღვევდა თუ არა საგზაო მოძრაობის წესებს თუ რაიმე სხვა ნორმებს.⁵⁷ კაუზალური შერაცხვა სახეზეა ასევე მაშინ, როდესაც საგზაო მოძრაობის მონაწილის ქცევა უბიძგებს მეორე მონაწილეს მკვეთრად დამუხრუჭებისაკენ, რაც ინვევს კიდევ ზიანის დადგომას, მაგალითად, დამუხრუჭებელ ავტომობილში მგზავრის ნაქცევას.⁵⁸ მოცემულ შემთხვევაში, მგზავრის ნაქცევა, არაპირდაპირ, ორივე ავტომობილის ექსპლუატაციის შედეგად ითვლება გამომწვეულად და მგზავრის წინაშე, მისი თანაბრალეულობის არსებობისას (ხელის არმოკიდება საყრდენზე), ორივე გამომწვევი ქმნის „პასუხისმგებლობის ერთობას“ (Haftungseinheit⁵⁹)⁶⁰.

კაუზალური შერაცხვა ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა, როდესაც ავტომობილის მძღოლი გაურბის საპოლიციო კონტროლს ან გარბის ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილიდან და გამოდევნებული პოლიციის მანქანა მოყვება ავარიაში, იმ საფრთხის რეალიზების გამო, რომელიც თანსდევს ამ ტიპის გამოდევნებას; თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს, თუ ის რისკები, რომლებიც მოცემულ სიტუაციაში გამოდევნებას (გამოდევნებაზე „გამომწვევას“) სდევს თან, ბევრად აღემატება ამ გამოდევნებიდან სარგებელს (მისი მიზნის მიღწევის აუცილებლობას).⁶¹ ამ ნაწილში,

VersR 2018, 1084, juris Rn. 14, იხ. დეტალურად თავი: 4. ბ) ბბ).

⁵³ BGH, Urteil vom 22. November 2016 - VI ZR 533/15 - NJW 2017, 1173, juris Rn 14; OLG Celle, Urteil vom 13. Dezember 2023 - 14 U 32/23 - juris Rn. 22; OLG Hamm, Urteil vom 9. Mai 2023 - I-7 U 17/23 - DAR 2023, 622, juris Rn. 25; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 15. Dezember 2022 - 4 U 136/21 - NJW-RR 2023, 458, juris Rn. 46 f.; OLG Celle, Urteil vom 15. Mai 2018 - 14 U 175/17 - DAR 2018, 683, juris Rn. 5.

⁵⁴ შდრ. BGH, Urteil vom 21. September 2010 - VI ZR 263/09 - NJW 2010, 3713, juris Rn. 6 ff.; BGH, Urteil vom 26. April 2005 - VI ZR 168/04 - NJW 2005, 2081, juris Rn. 11 ff.; BGH, Urteil vom 19. April 1988 - VI ZR 96/87 - VersR 1988, 641, juris Rn. 7; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 15. Dezember 2022 - 4 U 136/21 - NJW-RR 2023, 458, juris Rn. 47.

⁵⁵ BGH, Urteil vom 10. Oktober 1972 - VI ZR 104/71 - NJW 1973, 44, juris Rn. 14.

⁵⁶ BGH, Urteil vom 11. Juli 1972 - VI ZR 86/71 - NJW 1972, 1808, juris Rn. 18 ff.

⁵⁷ Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 15. Dezember 2022 - 4 U 136/21 - NJW-RR 2023, 458, juris Rn. 47.

⁵⁸ OLG Hamm, Beschluss vom 10. März 2022 - I-7 U 3/22 - juris Rn. 13.

⁵⁹ „პასუხისმგებლობის ერთობა“ სახეზეა, როდესაც დამზიანებელთა წვლილი ზიანის გამომწვევაში, ცალ-ცალკე აღებული, არასაკმარისია, მაგრამ მათი ეს წვლილი ერთმანეთს ერწყმის/ავსებს და ამით სრულდება პასუხისმგებლობის მთლიანი შემადგენლობა; ეს პირები დაზარალებულის წინაშე განიხილებიან, როგორც ერთი (ერთიანი) დამზიანებელი.

⁶⁰ იხ. დეტალურად ჟურნალის შემდეგ ნომერში: რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასში შეტანილ წვლილთა შეწონვის მიხედვით, თავი: I. 2. და მომდევნო თავები.

⁶¹ BGH, Urteil vom 31. Januar 2012 - VI ZR 43/11 - BGHZ 192, 261, juris Rn. 8.

ასევე საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის ფარგლებში, უცვლელად მოქმედებს „გამონვევის“-პრინციპები, რომელიც აწესრიგებენ ამ გამონვეული პირის მიერ თავის დაზიანების შემთხვევებს. ამ პრინციპების თანახმად, დაზარალებულის თვითდაზიანება შეერაცხება იმ პირს (დამზიანებელს), რომელმაც გამოიწვია დაზარალებული ამ ქცევაზე [უბიძგა მას], თუ გამონვეულის ქცევა, სულ მცირე, ემყარებოდა გონივრულ მოტივებს და შედეგად წარმოშობილი რისკი არ იყო შეუსაბამო მისით დასახული მიზნის/სარგებლის.⁶²

მითითებისა და მტკიცების ტვირთს სხვა, საგზაო შემთხვევაში (რეალურად თუ სავარაუდოდ) მონაწილე, პირის მხრიდან ამ „გამონვევის“-ქმედების არსებობასთან დაკავშირებით – რამაც გამოიწვია თვითდაზიანების განმაპირობებელი რეაქცია (მაშინაც კი, როდესაც ამ სხვა პირის ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო) – ატარებს დაზარალებული. ეს გარემოება წარმოადგენს ფაქტობრივ წინაპირობას ამ სხვა მონაწილის პასუხისმგებლობის დაფუძნებისათვის, კაუზალური შერაცხვის საფუძველზე.⁶³

5. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ობიექტიდან გამომდინარე

ა) პასუხისმგებლობის გამორიცხვა კანონის საფუძველზე

პასუხისმგებლობა საფრთხის შექმნისათვის გამორიცხულია, თუ დაზარალებული თავად იყო ჩართული ავტომანქანის ექსპლუატაციაში (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 8 № 2 პარაგრაფი). იგივე წესი მოქმედებს, როდესაც ზიანდება (ამავე) ავტომობილით ტრანსპორტირებადი ნივთი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ნივთი გადასაყვან პირს თან აქვს ან თან მიაქვს (კანონის 8 № 2 პარაგრაფი).

პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ამ დანაწესის მიზანი მდგომარეობს შემდეგში: საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის მიზანს – ავტომობილის ექსპლუატაციიდან გამომდინარე საფრთხისაგან სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეების დაცვას – არ შეესატყვისება მოცემული ინტენსიური დაცვის იმ პირზე გავრცელება, რომელიც თავად არის ჩართული ავტომობილის ექსპლუატაციაში (მაშინაც კი, როდესაც უსასყიდლოდ აკეთებს ამას) და ნებაყოფლობით იღებს საკუთარ თავზე აქიდან გამომდინარე განსაკუთრებულ რისკებს.⁶⁴

როგორც საგამონაკლისო დანაწესი, ეს ნორმა ვიწროდ უნდა განიმარტოს. კერძოდ, იმგვარად, რომ მოთხოვნილი იყოს გარკვეული, განგრძობადი ხასიათის მქონე „ექსპლუატაციაში ჩართულობა“ – მაგალითად, იმ ხანგრძლივობის, რა ხანგრძლივობისაც არის ავტომობილის მძღოლის საქმიანობა. თუმცა, პასუხისმგებლობის გამორიცხვის მიზნისა და არსის გათვალისწინებით, ის შეიძლება გავრცელდეს (ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ) უფრო ხანმოკლე საქმიანობაზეც, თუ ეს საქმიანობა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ რისკებთან არის დაკავშირებული.⁶⁵ მაგალითად, ავარიში მოყოლილი ავტომობილის ევაკუირება (ამოთხრა, ზოგადად შემთხვევის ადგილიდან მოშორება და ა. შ.) ან მისი ხელით გადაგორება მოყინულ გზაზე.⁶⁶ ჩვეულებრივ, სხვაგვარადაა საქმე, როდესაც ავტოსადგომის მუშაკი ეხმარება მძღოლს პარკირებაში ან პირი ეხმარება სხვას მანქანის „გადაყენებაში“; გამომდინარე იქიდან, რომ აქ არ გვაქვს არც პირდაპირი ფიზიკური შეხება ავტომობილთან და, გარდა ამისა, მოცემული საქმიანობა არ შეიცავს რაიმე მნიშვნელოვან საფრთხეს ამ პირთათვის.

საკითხს, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ავტომობილში მჯდომი თანამგზავრი პირი „ექსპლუატაციაში ჩართულად“, სასამართლო პრაქტიკა

⁶² შდრ. BGH, Urteil vom 31. Januar 2012 - VI ZR 43/11 - BGHZ 192, 261, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 12. März 1996 - VI ZR 12/95 - BGHZ 132, 164, juris Rn 10 ff.

⁶³ OLG Hamm, Urteil vom 9. Mai 2023 - I-7 U 17/23 - DAR 2023, 622, juris Rn 25.

⁶⁴ BGH, Urteil vom 12. Januar 2021 - VI ZR 662/20 - VersR 2021, 522, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 5. Oktober 2010

- VI ZR 286/09 - NJW 2011, 292, juris Rn. 23; OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 - 14 U 77/19 - juris Rn. 43.

⁶⁵ შდრ. BGH, Urteil vom 5. Oktober 2010 - VI ZR 286/09 - NJW 2011, 292, juris Rn. 23.

⁶⁶ OLG Oldenburg, Urteil vom 14. Oktober 2015 - 5 U 46/15 - DAR 2016, 28, juris Rn. 26; OLG Düsseldorf, Urteil vom 31. März 2015 - I-1 U 87/14 - NJW-RR 2015, 1064, juris Rn. 5 ff.

წყვეტს მყარი დოგმატური სახელმძღვანელო ხაზის გარეშე.⁶⁷ თუმცა, დღესდღეობით, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მხოლოდ „დამგზავრება“ ან ავტომობილში ჩაჯდომა-გადასვლა არ ითვლება ავტომობილის ექსპლუატაციაში მონაწილეობად.⁶⁸ მართალია, ცალკეულ გადანყვეტილებებში⁶⁹, ნორმის მიზნიდან (რისკის საკუთარ თავზე ნებაყოფლობით აღება) გამომდინარე, სხვა მოსაზრებაა გაზიარებული, თუმცა, ეს არ შეესაბამება ნორმის არც სიტყვა-სიტყვით გაგებას და არც კანონმდებლის ნებას⁷⁰. ეს ძალაშია, ასევე, (თავდაპირველად) დამგზავრებული პირის შემთხვევაში, რომელმაც, ავტომობილის მესაკუთრის ალკოჰოლური თრობის გამო, მოგვიანებით, საჭესთან გადაინაცვლა და მისი მითითებების შესაბამისად მართავდა ავტომობილს – ის ექსპლუატაციაში ჩართულად არ უნდა ჩაითვალოს.⁷¹ ამის საპირისპიროდ, პასუხისმგებლობის გამორიცხვა უნდა გავრცელდეს მოტოციკლეტისტის თანამგზავრზე, რადგან ის საკუთარი სხეულის მდგომარეობით (მოტოციკლეტისტისა და მისი თანამგზავრის ავტოდინამიური ერთიანობა) ზემოქმედებს მოტოციკლის სტაბილურობაზე.⁷² ყველა სხვა შემთხვევაში, „ექსპლუატაციაში ჩართულობისათვის“, როგორც ეს მისი სიტყვა-სიტყვითი გაგებიდან გამომდინარეობს, აუცილებელია, რომ პირი რაიმე ფორმით მიზანმიმართულად ზემოქმედებდეს ავტომობილის პროცესზე (საჭისათვის ხელის მირტყმა, ხელის მუხრუჭის ამონევა და ა. შ.).

(გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 8 № 2 პარაგრაფის მიხედვით, საფრთხის შექმნის გამო პასუხისმგებლობა (კანონის 7 I პარაგრაფი) გამოირიცხება, თუ მძღოლი იმ ავტომობილით, რომლის მფლობელიც არის მესამე პირი, აზიანებს საკუთარ სამართლებრივ სიკეთებს, განსაკუთრებით კი, როდესაც საკუთარ ავტომობილს ეჯახება.⁷³

ბ) ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა, როდესაც მფლობელი და მძღოლი განსხვავებული პირები არიან – ლიზინგით მიღებული ავტომობილი

თუ ავტომობილის მფლობელი და მისი მესაკუთრე სხვადასხვა პირები არიან, (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის მიზნიდან გამომდინარე, დაცული არ არის თავად ეს, სხვის საკუთრებაში მყოფი ავტომობილი.

იმ „ნივთის“ ქვეშ, რომლის დაზიანების შემთხვევაშიც პირი პასუხს აგებს ხსენებული კანონის 7 I პარაგრაფის მიხედვით, არ მოიაზრება თავად ექსპლუატაციაში მყოფი მანქანა, არამედ, – მხოლოდ სხვა ნივთები.⁷⁴ ეს გადანყვეტა ემყარება იმ პრინციპს, რომ ავტომობილის მფლობელის გამკაცრებული პასუხისმგებლობის მიზანს მხოლოდ მესამე პირთა დაცვა წარმოადგენს, ამ ავტომობილის ექსპლუატაციიდან

⁶⁷ იხ. საპირისპირო მოსაზრებებთან დაკავშირებით: Riedmeyer, ZfSch 2011, 183, Abschnitt 1.a); Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 8 StVG (Stand: 01.12.2021) Rn. 32 ff.

⁶⁸ შდრ. OLG Celle, Urteil vom 16. Dezember 2020 -14 U 77/19 - juris Rn. 44; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 10. September 2009 - 12 U 49/09 - juris Rn. 16; Riedmeyer, ZfSch 2011, 183, Abschnitt 1.a); Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 8 StVG (Stand: 01.12.2021) Rn. 32 ff.

⁶⁹ OLG Celle, Urteil vom 30. Juni 2010 -14 U 33/10 - juris Rn. 9.

⁷⁰ იხ. ამასთან დაკავშირებით: Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 8 StVG (Stand: 01.12.2021) Rn. 36 und Rn. 38.

⁷¹ განსხვავებული მოსაზრებისათვის იხ.: Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 21. April 2009 - 4 U 395/08 - juris Rn. 27.

⁷² შდრ. Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 10. September 2009 - 12 U 49/09 - juris Rn. 16; ეს საკითხი ღიად არის დატოვებული.

⁷³ BGH, Urteil vom 12. Januar 2021 - VI ZR 662/20 - VersR 2021, 522 - juris Rn. 10 ff., თუმცა ეს გადანყვეტილება საკამათოა.

⁷⁴ BGH, Urteil vom 18. April 2023 - VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 17. Januar 2023 - VI ZR 203/22 - NJW 2023, 1361, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 7. Dezember 2010 - VI ZR 288/09 - BGHZ 187, 379, juris Rn. 11 f.

გამომდინარე, თავსმოხვეული საფრთხეებისაგან.⁷⁵ ამიტომაც, გამოირიცხება მძღოლის პასუხისმგებლობა ხსენებული კანონის 18 I 1 პარაგრაფის მიხედვით, რადგან ეს დანაწესი უთითებს „7 I პარაგრაფის შემთხვევებზე“ და შესაბამისად, – ამ ნორმის მიზანზე.⁷⁶

ამ გადაწყვეტის პრაქტიკული შედეგი არის ის, რომ ლიზინგის გამცემს (ავტომობილის მესაკუთრეს), ლიზინგით გაცემული ავტომობილის დაზიანებისას, არ აქვს მოთხოვნის უფლება ხსენებული კანონის 7 I პარაგრაფის მიხედვით ლიზინგის მიმღების (ავტომობილის მფლობელის) წინააღმდეგ.⁷⁷ იგივე წესი მოქმედებს საკუთრების უზრუნველსაყოფად გადაცემის შემთხვევებში.⁷⁸ რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის გამორიცხვა არ ვრცელდება ბრალზე დამოკიდებულ პასუხისმგებლობაზე და მძღოლი პასუხს აგებს შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. ის ასევე პასუხს აგებს ლიზინგის ხელშეკრულების (მათ შორის, სტანდარტულ პირობებში გათვალისწინებული ვალდებულების) დარღვევის გამო. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გერმანიაში ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისი სტანდარტული პირობა, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, განიმარტება არა როგორც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დამფუძნებელი, არამედ, – როგორც შემთხვევითი განადგურების რისკის გადაკისრების დათქმა.⁷⁹

გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით (თუმცა ეს მოსაზრება ლიტერატურაში ნაწილობრივ გაკრიტიკებულია), ხსენებული კანონის 7 I პარაგრაფის არგამოყენებიდან გამომდინარეობს ასევე ის შედეგი, რომ: ლიზინგით გაცემული ავტომობილის მესაკუთრეს (ლიზინ-

გის გამცემს), გამომდინარე იქიდან, რომ პირადად არ აგებს პასუხს, – თუ ლიზინგით მიღებული ავტომობილი დაზიანდა გამოურკვეველი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ანუ, როდესაც მძღოლისა თუ მფლობელის ბრალი არ დგინდება – ასევე არ შეეარაცხება „ავარიაში წვლილი“ ამ ავარიაში მონაწილე სხვა პირების მიმართ (შიდა პასუხისმგებლობის ფარგლებში), კანონის 17-ე პარაგრაფის საფუძველზე.⁸⁰ გერმანიაში იგივე წესი მოქმედებს უზრუნველმყოფი საკუთრების გამცემის წინააღმდეგ.⁸¹

6. პასუხისმგებლობის გამორიცხვა დაუძლეველი ძალისა და აურიდებელი მოვლენის შემთხვევაში

ა) დაუძლეველი ძალა

ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუ ზიანის დადგომა დაუძლეველი ძალით არის გამოწვეული (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 II პარაგრაფი). თუმცა დაუძლეველი ძალის წინაპირობები იმდენად მაღალია, რომ პასუხისმგებლობის გამორიცხვის ეს შემადგენლობა პრაქტიკაში მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შესრულდეს.

ამისათვის აუცილებელია, რომ ავტომობილის მფლობელმა მიუთითოს და დაამტკიცოს, რომ ზიანის დადგომა გამოწვეულია ექსპლუატაციის რისკების მიღმა მდებარე, გარეგანი, ბუნების ელემენტარული ძალებით თუ მესამე პირების ქმედებით განპირობებული მოვლენით. ეს მოვლენა, ადამიანის გამოცდილებიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს განჭვრეტადი და მისგან თავის დაცვა უკიდურესი წინდახედულობის

⁷⁵ BGH, Urteil vom 18. April 2023 - VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 9.

⁷⁶ BGH, Urteil vom 18. April 2023 - VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 10.

⁷⁷ BGH, Urteil vom 7. Dezember 2010 - VI ZR 288/09 - BGHZ 187, 379, juris Rn. 11 f.; BGH, Urteil vom 18. April 2023 VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 9 f.

⁷⁸ BGH, Urteil vom 17. Januar 2023 - VI ZR 203/22 - NJW 2023, 1361, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 27. Oktober 2020 - XI ZR 429/19 - NJW 2021, 550, juris Rn. 9.

⁷⁹ იხ. დეტალურად: BGH, Urteil vom 18. April 2023 - VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 17 ff.

⁸⁰ იხ. დეტალურად: BGH, Urteil vom 18. April 2023 - VI ZR 345/21 - NJW 2023, 2778, juris Rn. 7 ff.; BGH, Urteil vom 7. Dezember 2010 - VI ZR 288/09 - BGHZ 187, 379, juris Rn. 6 ff., თუმცა აქ განვითარებული მოსაზრება საკამათოა.

⁸¹ 75 BGH, Urteil vom 17. Januar 2023 - VI ZR 203/22 - NJW 2023, 1361, juris Rn. 38 ff., თუმცა აქ განვითარებული მოსაზრება საკამათოა.

გამოყენებითაც არ უნდა იყოს შესაძლებელი.⁸² ზიანის გამომწვევი ამ ტიპის მოვლენა სახეზეა, მაგალითად, მინისძვრის, მესამე პირის სუიციდური ქცევის [მაგ., თვითმკვლელობის ჩავარდნა ავტომობილის ბორბლების ქვეშ] ან ამ მესამე პირის მხრიდან განზრახვი, ექსპლუატაციასთან დაუკავშირებელი ჩარევიდან გამომდინარე.⁸³ მაგალითის სახით, შესაძლებელია შემთხვევის მოყვანა, როდესაც მესამე პირი, ღამით, ავტობანზე ისვრის ქვეშ და ერთ-ერთი ჯერ ერთ მანქანას მოხვდება და იქიდან ასხლეტილი მეორეს დააზიანებს.⁸⁴ მართალია, აქ მეორე ავტომობილი ზიანდება იმ ავტომობილის ექსპლუატაციისას, რომელსაც პირველად მოხვდა ქვა; თუმცა, ამ ავტომობილის მფლობელი არ აგებს პასუხს, რადგან სახეზეა დაუძლეველი ძალა.

ბ) აურიდებელი მოვლენა

გარდა აღნიშნულისა, გერმანიაში, საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საფრთხის შექმნისათვის ავტომობილის მფლობელებსა თუ მძღოლების შემთხვევაში ერთმანეთის მიმართ [როდესაც, ორივე მხრიდან – ანუ, დამზიანებელიც და დაზარალებულიც – ავტომობილის მფლობელი/მძღოლია] არ დგება, თუ სახეზეა აურიდებელი მოვლენა (*unabwendbares Ereignis*, კანონის 17 III, 18 III პარაგრაფი). ხსენებული კანონის 18 III 2 პარაგრაფში მოცემული ლეგალური დეფინიციის თანახმად, აურიდებ-

ლი მოვლენა სახეზეა, თუ, როგორც ავტომობილის მფლობელმა, ისე მძღოლმა [თუ ისინი განსხვავებული პირები არიან] მიიღეს, გარემოებიდან გამომდინარე, წინდახედულების ყველა შესაძლო ზომა. გერმანიაში ამის აღსაწერად იყენებენ „იდეალური მძღოლის“ ცნებას.

მოთხოვნილია ადეკვატური რეაქცია და მყისიერი ქცევა, რომელიც მნიშვნელოვნად სცდება ჩვეულებრივ გულისხმიერებას (გსკ-ის 276-ე პარაგრაფი; სკ-ის 394 № 1 2 მუხლი).⁸⁵ „იდეალური მძღოლი“ არის ის, ვინც იჩენს გაცილებით მეტ ყურადღებას, საზრიანობასა და სიფრთხილეს, ვიდრე საშუალო სტატისტიკური მძღოლი; სიტუაციიდან გამომდინარე, რეაგირებს მყისიერად და ადეკვატურად. ეს ქცევა უნდა იყოს ადამიანური შესაძლებლობების ზღვარზე ან მასთან მიახლოებული.⁸⁶

მოვლენა აურიდებელია, ასევე მაშინაც, როდესაც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა მართლზომიერი იყო [მართლწინააღმდეგობა გამორიცხული იყო]. მაგალითად, თუ, პოლიციის მხრიდან გაქცეული ავტომობილის გამოდევნებისას (იხ. თავი: II. 4. ბ), ამ ორ ავტომობილს შორის შეჯახება ხდება – გამომდინარე იქიდან, რომ პოლიცია მართლზომიერად მოქმედებს⁸⁷, გაქცეულმა პასუხი უნდა აგოს პოლიციის ავტომობილის ყოველგვარი დაზიანებისათვის, რამდენადაც ეს ზიანი გამომწვეულია გამოდევნების შედეგად გაზრდილი რისკებით; იმ დათქმით, რომ ეს რისკები არ იყო შეუსაბამო და არათანაზომიერი გამოდევნების მიზანთან.⁸⁸

⁸² აქ დაუძლეველი ძალის დეფინიციის შემოკლებულად არის მოყვანილი. დეტალურად იხ.: BGH, Urteil vom 22. April 2004 - III ZR 108/03 – BGHZ 159, 19, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 15. März 1988 - VI ZR 115/87 - NJW-RR 1988, 986, juris Rn. 13; OLG Köln, Urteil vom 18. August 2023 - I-7 U 21/23 - juris Rn. 20; OLG Celle, Urteil vom 10. Mai 2023 - 14 U 56/21 - juris Rn. 27.

⁸³ შეჯამებისათვის იხ.: Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 268 ff.

⁸⁴ იხ. სუიციდთან დაკავშირებული მსგავსი სიტუაციისათვის: OLG Hamm, Urteil vom 6. Oktober 2003 - 6 U 102/03 - NJW-RR 2005, 393, juris Rn. 6 ff.

⁸⁵ OLG Celle, Urteil vom 13. Dezember 2023 - 14 U 32/23 - juris Rn. 28; OLG Celle, Urteil vom 22. Januar 2020 - 14 U 150/19 - juris Rn. 48; vgl. auch BGH, Urteil vom 23. September 1986 - VI ZR 136/85 - NJW-RR 1987, 150, juris Rn. 8.

⁸⁶ BGH, Urteil vom 23. September 1986 - VI ZR 136/85 - NJW-RR 1987, 150, juris Rn. 8.

⁸⁷ იხ. წინაპირობებთან დაკავშირებით ჟურნალის შემდეგ ნომერში: რუსიაშვილი/ჰაგენლოხი, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე ავტომობილის მფლობელთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა მასში შეტანილ წვლილთა შეწონვის მიხედვით, თავი: I. 2. ე) ეე).

⁸⁸ BGH, Urteil vom 31. Januar 2012 - VI ZR 43/11 - BGHZ 192, 261, juris Rn. 19 f.

7. უნებართვო გადაადგილება

ჩვეულებრივ, როგორც ქართულ, ისე გერმანულ სამართალში, გამორიცხულია ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა, თუ სხვა პირი, უნებართვოდ და ამ მფლობელის ბრალის (მისი მხრიდან ბრალეული ხელშეწყობის გარეშე), სარგებლობს ავტომობილით (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 III პარაგრაფი). ამ შემთხვევაში მის მაგივრად (ხოლო, თუ მფლობელიც აგებს პასუხს, მაშინ – დამატებით მასთან ერთად) პასუხს აგებს უნებართვო მძღოლი ისე, როგორც ავტომობილის მფლობელი.

მოცემულ კონტექსტში ყველაზე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხია, თუ რა ტიპის გულისხმიერების ვალდებულებები ეკისრება მფლობელს, სხვა პირის მიერ ავტომობილის უნებართვო სარგებლობის თავიდან ასაცილებლად. გერმანულ სამართალში, საგზაო მოძრაობის შესახებ დადგენილებების 14 II 2 პარაგრაფის მიხედვით, ამოსავალ წერტილს წარმოადგენს დათქმა, რომ ავტომობილი დაცული უნდა იყოს მისით უნებართვო სარგებლობისაგან. გამომდინარე იქიდან, რომ უნებართვო სარგებლობა განსაკუთრებით ხშირად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევების მიზეზი, ავტომობილის მფლობელმა უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა (ყველაფერი, რაც მას შეიძლება მოეთხოვოს) იმისათვის, რომ გამორიცხოს ავტომობილით უნებართვო სარგებლობის შესაძლებლობა.⁸⁹ ამიტომაც, სასამართლო პრაქტიკა, ბრუნვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ამ მიმართულებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს

მფლობელს და ითხოვს მისგან გულისხმიერების მოთხოვნების ზედმინევენით დაცვას.⁹⁰

მაგალითად, გაჩერებული ავტომობილის შემთხვევაში, საჭეზე დამაგრებული უნდა იქნეს ჩამკეტი და თავად ავტომობილი (რამდენადაც ეს კონსტრუქციულად შესაძლებელია) სრულად უნდა ჩაიკეტოს. ავტომობილის ხანმოკლე დროით დატოვების შემთხვევაშიც კი, მასში არ უნდა იყოს დატოვებული გასაღები; მათ შორის არც სათადარიგო გასაღები.⁹¹ წინდახედულობის ამ მოთხოვნების შემსუბუქება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომობილი დაყენებულია გარეშე პირთათვის დახურულ სივრცეში (მაგ., გარაჟში).⁹²

ავტომობილის გასაღები, ზოგადად, საიმედო ადგილას უნდა იყოს შენახული და მასზე მესამე პირებს წვდომა არ უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, ავტომობილის გასაღები არ უნდა იყოს მოთავსებული გარდერობში ჩამოკიდებულ ტანსაცმელში, რომელზეც მესამე პირსაც მიუწვდება ხელი.⁹³ დასაშვებია ნაკლები წინდახედულობის გამოყენება, გასაღების სახლის სივრცეში შენახვისას/დატოვებისას, თუ არც ერთი ოჯახის წევრი ან მუდმივი სტუმარი არ არის მიდრეკილი ავტომობილით უნებართვო სარგებლობისაკენ.⁹⁴

ზოგადად, ავტომობილის გასაღების გადაცემა დასაშვებია მხოლოდ სანდო პირისათვის.⁹⁵ ეს, ჩვეულებრივ, სახეზეა მაშინ, როდესაც ავტომობილის მფლობელი გასაღებს უტოვებს ბენზინგასამართი სადგურისა თუ ავტოსახელოსნოს პერსონალს, ავტომობილზე შესაბამისი სამუშაოების ჩატარების მიზნით.⁹⁶

⁸⁹ BGH, Urteil vom 15. Dezember 1970 - VI ZR 97/69 - NJW 1971, 459, juris Rn. 29.

⁹⁰ OLG Frankfurt, Urteil vom 13. Dezember 2001 - 3 U 141/99 - juris Rn. 1; OLG Düsseldorf, Urteil vom 15. März 2004 - 1 U 44/03 - juris Rn. 55; Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 306.

⁹¹ OLG Düsseldorf, Urteil vom 15. März 2004 - 1 U 44/03 - juris; Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 8. Juli 2003 - 5 U 177/03 - Orientierungssatz 3, juris.

⁹² Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 309; ეს არ ეხება სამშენებლო ობიექტის დახურულ სანყობს (LG Leipzig, Urteil vom 20. Juni

2000 - 01 S 2281/00 - VersR 2002, 1528, juris) ან დახურულ სახელოსნოს (OLG Düsseldorf, Urteil vom 29. August 1974 - 13 U 172/73 - NJW 1975, 1034, juris (სახელმძღვანელო წინადადება).

⁹³ OLG Düsseldorf, Urteil vom 31. Oktober 1988 - 1 U 7/88 - VersR 1989, 638, juris.

⁹⁴ ამასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკისათვის იხ.: Laws/Lohmeyer/Vinke in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 7 StVG (Stand: 05.05.2023) Rn. 308 ff.

⁹⁵ LG Duisburg, Urteil vom 14. Juli 2017 - 7 S 158/16 - juris Rn. 9.

⁹⁶ OLG Düsseldorf, Urteil vom 30. Oktober 1975 - 12 U 92/74 - VersR 1976, 1133, Orientierungssatz 1 in juris.

III. ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობა საქართველოში

საქართველოში ავტომობილის მფლობელის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა განერილია სკ-ის 999-ე მუხლში, რომელიც გადმოსცემს (გერმანიის) საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7, 8 № 2, 3 პარაგრაფებში გაწერილ პრინციპებს:

მუხლი 999. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება

1. მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა:

ა) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრს ეს ტვირთი თან მიაქვს;

ბ) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ გამოიყენება, როცა ზიანი გამონვეულია დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი წარმოიშვა საავიაციო ტრანსპორტის ექსპლუატაციის დროს.

4. თუ პირი სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, იგი ვალდებულია მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს ზიანი. ამასთან, მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შესაძლებელი გახ-

და მისი ბრალის გამო. ამ ნაწილის პირველი ნაწილი არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად, ან თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა მფლობელისაგან.

1. მფლობელის ცნება

ქართული სასამართლო პრაქტიკა სწორად აიდენტიფიცირებს ავტომობილის მფლობელის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის საფუძვლებს.⁹⁷ თუმცა აწყდება პრობლემებს მფლობელის ცნების სწორად განსაზღვრისას, რაც განპირობებულია იმით, რომ ქართველმა კანონმდებელმა (სხვა „თავისუფალი“ ტერმინის არარსებობის/ვერმოძებნის გამო) გერმანული „Halter“ (სიტყვასიტყვით: „ავტომობილის მპყრობელი/მეპატრონე“) „მფლობელად“ თარგმნა. მოცემულ სიტუაციაში სასამართლოს ცალსახად უნდა გაემიჯნა სანივთოსამართლებრივი მფლობელის ცნება სკ-ის 999-ე მუხლის გაგებით მფლობელის ცნებისაგან. სასამართლოს მხრიდან ამის მცდელობა ყოველთვის დამაჯერებელი არ ყოფილა. მაგალითად უზენასი სასამართლოს ადრეულ გადაწყვეტილებებში⁹⁸ ვპოულობთ შემდეგ მსჯელობას:

„უზენაესმა სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მისი მესაკუთრე, ისე მისი დამქირავებელი და სხვა. სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან შრომის ურთიერთობის საფუძველზე. ამ კანონის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალების მფლობელად

⁹⁷ სუს № 949-2020, 20.01.2022; № ას-494-463-2010, 09.11.2010; № ას-504-481-2016, 30.09.2016; № ას-1245-2020, 01.07.2021; № ას-1158-2020, 12.07.2021; №

ას-589-2021, 14.09.2021; № ას-504-481-2016, 30.09.2016.

⁹⁸ სუს № 3კ/435-02, 03.04.2002.

ითვლება იურიდიული პირი ან მოქალაქე, რომელიც ექსპლოატაციას უწევს სატრანსპორტო საშუალებას იჯარის ხელშეკრულების, ქირის ანდა მინდობილობის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებით უშუალოდ მოსარგებლე პირი, რომელიც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა ავტომანქანას და ექსპლოატაციას უწევდა მას, ავტომანქანის მფლობელად თვითონვე მოიაზრება. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელად და ზიანის ანაზღაურებაში პასუხისმგებელ პირად გვევლინება იგი და არა მისი მესაკუთრე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საოლქო სასამართლომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელობასთან დაკავშირებით არასწორად განმარტა სსკ-ის 155-ე მუხლის მეორე ნაწილი. ამავე მუხლის მესამე ნაწილი მიუთითებს, რომ, თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას, ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.⁹⁹

ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ვერ მოახერხა სსკ-ის 999-ე მუხლის გაგებით მფლობელის ცნების სწორად განსაზღვრა და მისი გამიჯვნა სანივთოსამართლებრივი მფლობელისაგან სსკ-ის 155-ე მუხლის გაგებით. მან ავტომობილის მფლობელი (საფრთხის შექმნის გამო პასუხისმგებლობის ფარგლებში) გააიგივა ნივთის პირდაპირ მფლობელთან. იდენტურ მსჯელობას ვხვდებით უზენაესი სასამართლოს რამდენიმე სხვა გადაწყვეტილებაში.⁹⁹ თუმცა ეს (არასწორი) დეფინიცია არ იქნა დაცული და თანმიმდევრულად გატარებული. მაგალითად, 2010 წლის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვხვდებით შემდეგ მოსაზრებებს:¹⁰⁰

„2009 წელს მოსარჩელემ აღძრა სარჩელი სატრანსპორტო საშუალების მფლობელის (მესაკუთრის) და ავტოსაგზაო შემთხვევაში უშუალოდ მონაწილე პირის (მოსარგებლის/პირდაპირი მფლობელის) მიმართ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების და თანხის სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნით. ... საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 20.07.2010 წლის Nას-254-239-2010 წლის განჩინებაში მიუთითა სსკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული საფუძველით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. ... უნდა ვიგულისხმოდ, რომ მფლობელის ნებით სატრანსპორტო საშუალების გადაცემით მისი მიმღები ხდება მართლზომიერი მფლობელი, მაგრამ კანონი განსახილველი ნორმით მფლობელის ნების საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მიმღებ პირად გულისხმობს მოსარგებლეს, რომელსაც ამ ნორმის თანახმად არ ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ მიყენებული ზიანისათვის, 999-ე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევის მსგავსად.“

აქ სასამართლომ საპირისპირო მსჯელობა განავითარა: ავტომობილის მფლობელად მიიჩნია მესაკუთრე და მძღოლს უწოდა „მოსარგებლე“. ეს შეიძლება სწორი გადაწყვეტაც ყოფილიყო, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოიკვლევდა იმ სამართლებრივი ურთიერთობის ეკონომიკურ ქვესარჩულს, რომლის ფარგლებშიც მოხდა ავტომობილის გადაცემა და გააკეთებდა გადაწყვეტილებაში მასზე ცალსახა აპელირებას.

სწორი გადაწყვეტა იქნებოდა შემდეგი: ავტომობილის მფლობელი არის ის პირი, რომელიც იყენებს მას, საკუთარი სახელით, არაგარდამავალი პერიოდის განმავლობაში და განკარგავს მის ბედს.¹⁰¹ გადამწყვეტია, ავტომობილის, ერთი პირის მიერ მეორისათვის გადაცემის,

⁹⁹ სუს № 949-2020, 20.01.2022.

¹⁰⁰ სუს № 254-239-2010, 20.07.2010.

¹⁰¹ Burmann/Heß/Hühnermann/Jahnke/Burmann, 27. Aufl. 2022, StVG § 7 Rn. 3; BGH NJW 1954, 1198; 1983, 1492; 1992, 900.

ეკონომიკური ასპექტები; გადაცემის ამ ურთიერთობის ხანგრძლივობა და მისი ეკონომიკური ბუნება. მაგალითად, დღიური ქირავნობა დამქირავებელს ავტომობილის მფლობელად ვერ აქცევს.¹⁰² გამქირავებელი მხოლოდ მაშინ აღარ არის ავტომობილის მფლობელი, როდესაც ავტომობილი სრულებით გასულია მისი ზეგავლენის სფეროდან.¹⁰³ იგივე წესი მოქმედებს ნივთის სარგებლობაში გადაცემის ყველა სხვა ხელშეკრულების შემთხვევაში. გარდა ამისა, ქართული სასამართლოები არ ითვალისწინებენ იმ შესაძლებლობას, რომ ერთდროულად რამდენიმე პირი შეიძლება იყოს ავტომობილის მფლობელი, მაგალითად, ორივე – გამქირავებელი და დამქირავებელი.¹⁰⁴

ქართული სასამართლო ვერც თავის უახლეს გადაწყვეტილებებში ვერ ახერხებს ავტომობილის მფლობელის ცნების სწორად დეფინირებას და მის გამიჯვნას მოსარგებლისაგან. სასამართლო ვერ აიღენტიფიცირებს სწორად იმ ფაქტს, რომ პირი, რომელსაც სხვა პირი გადასცემს ავტომობილს, მფლობელი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ავტომობილი ამ სხვა პირის „ზემოქმედების სფეროდან სრულად გასულია“.¹⁰⁵ ამ ნაწილში სასამართლო სკ-ის 999 IV 3 მუხლს არასწორად განმარტავს და ამბობს შემდეგს:

„აღნიშნული ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, რომელიც იურიდიული საფუძვლით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.“¹⁰⁶

ამ წინადადებას ვხვდებით არაერთ სხვა გადაწყვეტილებაში¹⁰⁷, რაც წარმოადგენს სკ-ის 999 IV 4 მუხლის უკან მდგომი პრინციპების ვერშეცნობას. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ქარ-

თული სასამართლოს მსჯელობა სწორია იმ ნაწილში, რომ მშობლების მხრიდან შვილისათვის ავტომობილის ხანმოკლე დროით გადაცემა ამ უკანასკნელს ავტომობილის მფლობელად არ აქცევს (სკ-ის 999 IV 3 მუხლი).¹⁰⁸

2. დაუძლეველი ძალა

დაუძლეველ ძალას საქართველოს უზენაესი სასამართლო შემდეგნაირად განმარტავს:

„დაუძლეველი ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამონეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან დაძლევა, ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.“¹⁰⁹

გერმანულ სამართალში ეს დეფინიცია შინაარსობრივად შეესატყვისება არა დაუძლეველ ძალას, არამედ „აურიდებელ მოვლენას“ (იხ. ორივესთან დაკავშირებით ზემოთ). დაუძლეველი ძალა ამგვარად არ შეიძლება განიმარტოს, რადგან ეს იქნებოდა საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის მიზნის უგულვებელყოფა. „კონტროლის სფერო“ [კონტროლის სფეროს მიღმა მყოფი მოვლენა] არ წარმოადგენს საგნობრივად სწორ საყრდენსა და ამოსავალ წერტილს დაუძლეველი ძალის განსაზღვრისათვის; გულის ინფარქტიც არ არის კონტროლირებადი (და არც წინასწარ პროგნოზირებადი), თუმცა ის მაინც განეკუთვნება ექსპლუატაციის რისკებს და არ წარმოადგენს დაუძლეველ ძალას.

¹⁰² Burmann/Heß/Hühnermann/Jahnke/Burmann, 27. Aufl. 2022, StVG § 7 Rn. 3; BGHZ 116, 200.

¹⁰³ OVG Münster NJW 2014, 2811.

¹⁰⁴ Burmann/Heß/Hühnermann/Jahnke/Burmann, 27. Aufl. 2022, StVG § 7 Rn. 4.

¹⁰⁵ შდრ. სუს № ას-566-2022, 29.09.2022.

¹⁰⁶ შდრ. სუს № 1311-2021, 21.04.2022.

¹⁰⁷ შდრ. სუს № ას-77-2022, 20/05/2022; № ას-135-2022, 03.06.2022; № ას-1311-2021, 21.04.2022; № ას-30-2019, 09/06/2020.

¹⁰⁸ სუს № ას-504-481-2016, 30.09.2016, თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება საკამათო ყოფილიყო, მოხდა თუ არა აქ გადაცემა ავტომობილის ექსპლუატაციის მიზნით, თუ უკვე სკ-ის 999 IV 2 მუხლი იყო გამოყენებადი.

¹⁰⁹ სუს № 494-463-2010; 9.10.2010; № ას-1361-2018, 28.06.2021.

ამის საპირისპიროდ, საქართველოშიც, დაუძლეველი ძალის ცნება უნდა განიმარტოს ზუსტად ისე, როგორც გერმანულ სამართალში (იხ.

ზემოთ) და *force majeure*-ის ცნების საერთაშორისოდ აღიარებული გაგებისა და დეფინიციის მიხედვით.¹¹⁰

¹¹⁰ შდრ. სახელმეკრულებო კონტექსტში *force majeure*-თან დაკავშირებით: რუსიაშვილი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2020, 50-ე და მო-

მდევნო მუხლები; იხ. დელიქტურ კონტექსტში: საფრანგეთი სამოქალაქო კოდექსის 2051-ე მუხლი, *Graziano, Comparative Tort Law, Cases, Materials, and Exercises*, New York 2018, 172 seq.

არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე გერმანული და ფრანგული სამოქალაქო სამართლის მიხედვით

პროფ. დოქ. ბერნჰარდ კრესე, LL.M. (კიოლნი/პარიზი), *Maître en droit*
 ჰაგენის დისტანციური სწავლების უნივერსიტეტი

This article deals with the question under which circumstances secondary victims may be entitled to compensation under German and French law. Whereas German law favors a restrictive solution, stipulating very specific requirements in order to be entitled to compensation, French law is more generous in this respect. The article compares both solutions and shows which aspects of each system should be preferred in case of European harmonization.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საკითხი, იმის შესახებ, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ არაპირდაპირ დაზარალებულ პირებს, გერმანული და ფრანგული სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. თუ გერმანული სამართალი პრობლემის რესტრიქციულ (შემზღუდველ) გადაჭრას გვთავაზობს, რა შემთხვევაშიც არაპირდაპირ დაზარალებულის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ძალიან სპეციფიკურ წინაპირობებთან არის დაკავშირებული, ფრანგული სამართალი გაცილებით გულუხვიანაა. ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი გზით ნაჩვენებია, ამ ორი სისტემის რომელი ასპექტი იმსახურებს უპირატესობას ევროპული ჰარმონიზაციის პირობებში.

სარჩევი

I. შესავალი	21	ა) პრინციპი	26
1. პრობლემის არსი	21	ბ) გამონაკლისი: გსკ-ის 844-ე პარაგრაფი	27
2. კვლევის საგანი	22	გ) კანონისმიერი ცესია	28
ა) სისტემური განსხვავებები გერმანულ და ფრანგულ ვალდებულებით სამართალში	22	დ) მართლმსაჯულების მიერ აღიარებული გამონაკლისები	29
ბ) კვლევის მიზანი	23	3. განსაკუთრებული შემთხვევები	30
II. არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნები გერმანული სამართლის მიხედვით	23	ა) მორალური ზიანის ანაზღაურება	30
1. სახელშეკრულებო მოთხოვნები	23	ბ) საზოგადოების წევრებისთვის მიყენებული ზიანი ..	31
ა) ძირითადი პრინციპი	23	აა) რეფლექსური ზიანი	31
ბ) გამონაკლისები	24	ბბ) პარტნიორის სასარგებლო გამჭოლი პასუხისმგებლობა	32
აა) ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით	24	III. არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნები ფრანგული სამართლის მიხედვით	33
ბბ) მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია	26	1. სახელშეკრულებო მოთხოვნები	33
2. დელიქტური მოთხოვნები	26	ა) ძირითადი პრინციპი	33

* გერმანულიდან თარგმნა დავით მაისურაძემ. სტატია გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა: ZEuP 3/2014, 504-537.

ბ) გამონაკლისები.....35
 აა) Stipulation tacite pour autrui.....35
 ბბ) Action directe?.....35
 2. დელიქტური მოთხოვნები36
 ა) „დიდი“ გენერალური დათქმები.....36
 ბ) ზიანი37
 აა) Dommage direct და მიზეზობრიობა37
 ბბ) Dommage personnel, certain et légitime.....38
 გ) მიმართება ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნებთან39
 3. განსაკუთრებული შემთხვევები.....39
 ა) მიუღებელი სარჩოს გამომწვევა.....39
 ბ) მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლები40
 გ) მორალური ზიანის ანაზღაურება41
 დ) საზოგადოების წევრებისათვის მიყენებული ზიანი42

IV. შედარებითი შეფასება42
 1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება.....42
 1) ძირითადი განსხვავება: წესისა და გამონაკლისის შებრუნება.....42
 ბ) გარდაცვლილის ახლობლების მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება43
 გ) ოჯახის წევრების მიერ განეული მოვლის ხარჯები43
 დ) მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლების რეგრესული მოთხოვნები.....44
 ე) პარტნიორის არაპირდაპირი ზიანი საზოგადოების წილების გაუფასურების გამო44
 ვ) ზიანი სხვა კრედიტორებისა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ახლობელ პირთა წრეს.....45
 2. არამატერიალური ზიანის ანაზღაურება.....45
 3. შეჯამება46

I. შესავალი

1. პრობლემის არსი

როდესაც ვინმე მესამე პირის წინააღმდეგ ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, ამ ქმედებით დაზარალებულ პირთა წრე არავითარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ მესამე პირის პიროვნებით. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, დაზარალებულია ის, ვის მიმართაც უშუალოდ განხორციელდა ქმედება. მაგალითად, არასწორი სამედიცინო ჩარევის შედეგად უშუალოდ დაზარალებული პირი არის პაციენტი.¹ უშუალოდ დაზარალებულია ასევე ავტომობილის მგზავრი, რომელიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდება,² აგრეთვე დაზიანებული ავტომობილის მესაკუთრეც.³ შეიძლება მაგალითის მოყვანა საკორპორაციო სამართლიდანაც: თუკი სააქციო საზოგადოების გამგეობა სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 93-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ

ვალდებულებებს დაარღვევს, ამით შეიძლება საზოგადოებას ქონებრივი ზიანი მიადგეს.⁴

თუმცა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, შესაძლებელია, ზიანი მიადგეს იმ სხვა პირებსაც, რომელთაც უშუალოდ არ შეხებიათ დამაზიანებელი ქმედება.⁵ არაპირდაპირ დაზარალებულია პირი, რომლის ზიანიც მხოლოდ გვერდითი შედეგია უშუალოდ დაზარალებულის დაზიანებისა და, ამდენად, არა უშუალოდ, არამედ რეფლექსურად განპირობებულია დამაზიანებელი ქმედებით. მნიშვნელოვანი მაგალითია მოკლულის ახლობლები⁶ ანდა იმ ადამიანის ოჯახის წევრები, რომელიც დამაზიანებელი ქმედების შედეგად შრომისუუნარო გახდა და ამის გამო აღარ შეუძლია ოჯახის წევრების რჩენა.⁷ არაპირდაპირი ზიანის დადგომა შეიძლება დაეფუძვას იმ შემთხვევაშიც, როცა ოჯახის წევრი შრომისუუნარო ნათესავის მოსავლელად თავის პროფესიულ საქმიანობას შეწყვეტს.⁸

¹ Adolf Laufs/Christian Katzenmeier/Volker Lipp, *Arztrecht*, 6. Aufl. 2009, Abschnitt X Rn 1.
² Karl August Prinz von Sachsen Gessaphe, *La mort du footballeur en droit délictuel*, FS Chabas, 2011, 857.
³ Gottfried Schiemann in Walter Erman, *Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, 13. Aufl. 2011, § 823 Rn. 27.
⁴ Wolfgang Hölters in Wolfgang Hölters, *Kommentar zum Aktiengesetz*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 358.
⁵ ამასთან დაკავშირებით შდრ. Michael Burmann/Jürgen Jahnke, (Kein) Ersatz von mittelbaren Schäden im Haftpflichtfall, NZV 2012, 11.

⁶ შდრ. § 844 BGB.
⁷ Philippe Malaurie/Laurent Aynès/Philippe Stoffel-Munck, *Les obligations*, 6. Aufl. 2013, Rn. 102 Fn. 40; Geneviève Viney/Patrice Jourdain, *Les conditions de la responsabilité*, 4. Aufl. 2013, Rn. 317; Jacques Dupichot, *Des préjudices réfléchis nés de l'atteinte à la vie ou à l'intégrité corporelle*, Paris, 1969, Rn. 13.
⁸ შდრ. Frank Pardey, *Berechnung von Personenschäden*, 4. Aufl. 2010, Rn. 1910.

ეკონომიკური ზიანი შეიძლება მიადგეს უბედური შემთხვევის მსხვერპლის დამსაქმებელსაც, თუკი მსხვერპლი გარდაიცვლება ან მძიმე დაზიანების გამო ვეღარ შეძლებს დაკისრებული სამუშაოს შესრულებას.⁹ არაპირდაპირ დაზარალებულ პირს წარმოადგენს ასევე ლოკომოტივის იმ მემანქანის დამსაქმებელი სარკინიგზო კომპანია, რომელიც მატარებლით თვითმკვლელს გადაუვლის და ამის გამო დაავადდება და შრომისუნარო გახდება.¹⁰ თავად ლოკომოტივის მემანქანის მიერ განცდილი ზიანი პირდაპირად ჩაითვლება თუ არაპირდაპირად, ეს დამოკიდებულია იმაზე, მისთვის მიყენებულ ზიანს უშუალოდ თვითმკვლელობის აქტით გამოწვეულად მივიჩნევთ თუ თვითმკვლელისთვის მიყენებული ზიანიდან შუალობითად განპირობებულ შედეგად.¹¹ იგივე შეეხება უბედური შემთხვევის მოწმესაც.

სააქციო საზოგადოების გამგეობის მიერ ვალდებულების დარღვევის ზემოთ მოყვანილ მაგალითში, შესაძლებელია, ზიანი საზოგადოებასთან ერთად ასევე აქციონერებმაც განიცადონ, კერძოდ კურსის დაცემის გამო, რაც შესაძლოა, ვალდებულების დარღვევას მოჰყვეს.¹² იგივე ეხება შპს-ის პარტნიორებსაც მათი წილების გაუფასურების თვალსაზრისით.¹³ კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ზიანის გამონევა აქციონერისთვის, რომელსაც გამგეობის მიერ ვალდებულების დარღვევით განპირობებული გაკოტრების გამო მდგომარეობის გამოსასწორებლად სესხის აღება უნევს.¹⁴ ყველა შემთხვევაში, არაპირდაპირი ზიანისთვის დამახასიათებელია, რომ იგი უშუალო დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის შუალობითი შედეგია.

პირდაპირ და არაპირდაპირ დაზარალებულმა პირებმა ზოგჯერ, შესაძლოა, გარდა ეკონომიკური ზარალისა, სულიერი ტკივილიც განიცადონ, რაც ასევე ზიანად შეიძლება შეფასდეს. ეს შეიძლება ეხებოდეს მოკლულის ოჯახის წევრებს ან მეგობრებს,¹⁵ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მოვლის საჭიროების მქონე ადამიანის ნათესავებს, ასევე ლოკომოტივის მემანქანეს სარკინიგზო სუიციდის დროს ან უბედური შემთხვევის მოწმეს.¹⁶

2. კვლევის საგანი

ა) სისტემური განსხვავებები გერმანულ და ფრანგულ ვალდებულებით სამართალში

საკითხი, თუ რამდენად შეუძლია არაპირდაპირ დაზარალებულ პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სამართლის სისტემებში სხვადასხვაგვარად არის რეგულირებული. გერმანული დელიქტური სამართლის კონცეფციას „სამი «მცირე» გენერალური დათქმის სისტემას” უწოდებენ.¹⁷ „გენერალური დათქმები” ეწოდება იმის გამო, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში გსკ) 823 I პარაგრაფით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო დაზიანების ნიშნები, გსკ-ის 823 II პარაგრაფით გათვალისწინებული დამცავი ნორმების ნიშნები და გსკ-ის 826-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ამორალურობის ნიშნები მნიშვნელოვან განვრცობას საჭიროებს.¹⁸ გენერალური დათქმები „მცირეა” იმის გამო, რომ ისინი გაცილებით უფრო კონკრეტულია, ვიდრე გსკ-ის თავდაპირველ პროექტში გათვალისწინებული „დიდი” გენერალური

⁹ *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857; *Jürgen Jahnke*, *Unfalltod und Schadensersatz*, 2. Aufl. 2012, § 1 Rn. 142 ff.

¹⁰ შდრ. ზოგადად დამსაქმებლის არაპირდაპირ ზიანთან დაკავშირებით *Pardey* (Fn. 8) Rn. 374 ff.

¹¹ შდრ. OLG Hamm 2.4.2001 – 6 U 231/99, r + s 2001, 366 ff.

¹² შდრ. *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 358; *Reinhard Patzina/Stefan Bank et al.*, *Haftung von Unternehmensorganen*, 2010, Kap. 15 Rn. 84.

¹³ *Holger Altmeyen* in *Günter H. Roth/Holger Altmeyen*, *Kommentar zum GmbHG*, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 150 ff.; *Hanno Merkt* in *Münchener Kommentar zum GmbHG*, 2010, GmbHG § 13 Rn. 363.

¹⁴ *BGH* 11.7.1988 – II ZR 243/87, BGHZ 105, 121 (130); *Patzina/Bank et al.* (Fn. 12) Kap. 15 Rn. 85; ასევე შპს-სთვის *BGH* 4.3.1985 – II ZR 271/83, BGHZ 94, 55 (59); *Altmeyen* in *Roth/Altmeyen*, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 153.

¹⁵ *Pardey* (Fn. 8) Rn. 3478 ff.

¹⁶ *Pardey* (Fn. 8) Rn. 3478.

¹⁷ *Karl Larenz/Claus-Wilhelm Canaris*, *Schuldrecht II/2*, 13. Aufl. 1994, § 75 I 3. a), 354 f.; შდრ. *Christian v. Bar*, *Gemeineuropäisches Deliktsrecht I*, 1996, Rn. 17, რომელიც საუბრობს სამ „გვარეობით შემადგენლობაზე“.

¹⁸ *Larenz/Canaris* (Fn. 17) § 75 I 3. a), 354 f.

დათქმის მოწესრიგება, რომლის ტექსტის მიხედვითაც, ზიანის ყოველ ბრალეულ და მართლსაწინააღმდეგო გამონწევას მისი ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაეფუძნებინა.¹⁹ თუმცა სამართლებრივი სიკეთის დარღვევის, დამცავი ნორმისა და ამორალურობის შემადგენლობები განხორციელებული უნდა იყოს მოთხოვნის დამყენებელი პიროვნების მიმართ, რაც როგორც წესი, არაპირდაპირი ზიანის დამოუკიდებლად დელიქტურ-სამართლებრივ ანაზღაურებას, გამოირიცხავს.

მაგრამ გსკ-ის I პროექტში გვხვდება წარმოდგენილის მსგავსი დიდი გენერალური დათქმა, მაგალითად, ფრანგულ დელიქტურ სამართალში. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში ფსკ) 1382-ე მუხლის თანახმად, ფაქტობრივად ყველას შეუძლია იმ ყოველი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მან ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცადა. ამგვარად, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ვინმეს ზიანი *per se* არ დაექვემდებარება ანაზღაურებას. გერმანიისგან განსხვავებით, საფრანგეთში ქონებაც საყოველთაო დაცვის ობიექტია. აქედან გამომდინარე, გენერალური დათქმა, როგორც წესი, მოიცავს არაპირდაპირ ზიანსაც.

გერმანულ სამართალში, საკმაოდ ვიწროდ ფორმულირებული დელიქტური შემადგენლობების გამო, ნაწილობრივ არამიზანშენიონილად მიჩნეულმა შედეგებმა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლების გაფართოება გამოიწვია. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მესამე პირების მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების სამართლებრივ ფიგურაში, რომელიც სახელშეკრულებო დაცვას მათზეც ავრცელებს, ვინც ხელშეკრულების მხარეები არ არიან და მათ აძლევს იმ სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საშუალებას, რომელიც დელიქტური სამართლით ანაზღაურებადი არ იქნებოდა.²⁰ გაფართოების ასეთი ტენდენციები ფრანგულ სამართალში საჭირო არ არის,²¹ ვინაიდან

ფსკ-ის 1382-ე მუხლი პრინციპულად ყველა ბრალეულ და მართლსაწინააღმდეგო დაზიანებას მოიცავს.²² ამრიგად, გერმანულ სამართალშიც სავარაუდოა, რომ არაპირდაპირი ზიანი, გარკვეულ შემთხვევებში, ხელშეკრულების საფუძველზე, დამოუკიდებელ ანაზღაურებას დაექვემდებაროს.

ბ) კვლევის მიზანი

ვინაიდან, ფრანგული დელიქტური სამართლის „დიდი“ გენერალური დათქმა შეესაბამება იმას, რაც გსკ-ის I პროექტში გერმანული დელიქტური სამართლისთვისაც იყო გათვალისწინებული და ფსკ-ის 1382-ე მუხლი წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამკისრებელ ნორმას, რომელიც გაცილებით მეტ შემთხვევებს მოიცავს, ვიდრე გერმანიის დელიქტური სამართალი, მიზანშენიონილია გერმანული სამართლის სწორედ ფრანგულთან შედარება არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის კუთხით. ფსკ-ის 1382-ე მუხლი „დიდი“ გენერალური დათქმის პროტოტიპია.²³ აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია ორივე ვარიანტის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების დადგენა, მათ შორის გერმანული სახელშეკრულებო-სამართლებრივი შესაძლო კომპენსაციების გათვალისწინებითაც, რათა საბოლოოდ შესაძლებელი იყოს იმის შეფასება, თუ რომელ სისტემას (ან რომელი სისტემის რომელ ასპექტებს) შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა ჰარმონიზებულ ვალდებულებით სამართალში.

II. არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნები გერმანული სამართლის მიხედვით

1. სახელშეკრულებო მოთხოვნები

ა) ძირითადი პრინციპი

როგორც წესი, გერმანული სამართლის მიხედვით

¹⁹ Larenz/Canaris (Fn.17) § 75 I 3. a), 354.

²⁰ Rainer Jagmann in Staudinger, Neubearb. 2009, BGB § 328 Rn. 84 ff. და იქ მითითებული წყაროები; დანვრილებით სახელშეკრულებო და დელიქტური სამართლის თაობაზე v. Bar (Fn. 17) Rn. 413 ff.

²¹ Cour de cassation, assemblée plénière (Cass. ass. plén.) 12.7.1991, D. 1991, 549 – Besse; Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 801.

²² Ulrich Hübner/Vlad Constantinesco, Einführung in das französische Recht, 4. Aufl. 2001, 185.

²³ v. Bar (Fn. 17) Rn. 14.

დვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ უშუალო დაზარალებულს შეუძლია. გსკ-ის 280 I 1 პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნის წინაპირობაა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა. ოჯახის წევრები, დამსაქმებელი ან დაზარალებულთან დაკავშირებული სხვა პირები, გსკ-ის 280 I 1 პარაგრაფით გათვალისწინებული ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირების წრის მიღმა რჩებიან, თუკი მათსა და ზიანის მიმყენებელს შორის არ არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა. მაშასადამე, თუკი ექიმი ბრალეულად დაარღვევს მკურნალობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და ამით პაციენტს მიაყენებს ზიანს, პაციენტს შეუძლია ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მის ოჯახის წევრებს კი ეს, როგორც წესი, არ შეუძლიათ, ვინაიდან ისინი არ არიან ექიმთან დადებული ხელშეკრულების მხარეები.²⁴

ბ) გამონაკლისები

აა) ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით

ერთგვარ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირების მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების ინსტიტუტი, რომლის მიხედვითაც, ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს ხელშეკრულების დაცვის სფეროში მოქცეულმა პირმა მიუხედავად იმისა, რომ ის არც ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს და არც ვალდებულების შესრულების მოთ-

ხოვნის სხვა საფუძველი გააჩნია.²⁵ ასეთ შემთხვევაში, გსკ-ის 311 III 1 პარაგრაფისა და II № 3-ის თანახმად, მესამე პირსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა.²⁶

მესამე პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა სახეზეა, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ტიპურად ეხება მესამე პირს,²⁷ ან პირველადი ურთიერთობით არსებობს მესამე პირთან განსაკუთრებულად დაკავშირებული სპეციფიკური საფრთხე (ეს იმისათვის, რომ მესამე პირების დამცავმა ეფექტმა *culpa in contrahendo* (c. i. c.) მოიცვას).²⁸ როგორც წესი, განსაკუთრებული კავშირის გამო მესამე პირის სამართლებრივ სიკეთებს, უფლებებსა და ინტერესებს (გსკ-ის 241 II პარაგრაფის გაგებით) ისეთივე საფრთხე უნდა ემუქრებოდეს, როგორც იარსებებდა, მესამე პირი ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე რომ ყოფილიყო. მაგრამ სახელშეკრულებო დაცვის ფარგლებში მოქცეულ მესამე პირს, უპირველეს ყოვლისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმ სამართლებრივი სიკეთის, უფლებისა და ინტერესის დარღვევის გამო შეუძლია, რომლისკენაც განსაკუთრებული კავშირის გამო მიმართულია არსებული საფრთხე. დამცავი ეფექტით მოცული ინტერესის ფარგლებს მიღმა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება წინააღმდეგობაში მოდის ინსტიტუტის *ratio*-სთან, მათ შორის იმიტომაც, რომ გაუფრთხილებლობით გამოწვეული სუფთა ქონებრივი ზიანისთვის დელიქტური პასუხისმგებლობა კანონმდებლის მიერ არასასურველად მიჩნეული და ეს პრინციპი არ უნდა იყოს უგულებელყოფილი სახელშეკრულებო

²⁴ თუმცა შდრ. BGH 10.1.1984 – VI ZR 158/82, BGHZ 89, 263 (266); *Laufs/Katzenmeier/Lipp* (Fn. 1) Abschnitt B Rn. 15.

²⁵ შდრ. *Reichsgericht* (RG) 7.12.1911 – VI 240/11, RGZ 78, 239 – Linoleumrollen; BGH 28.1.1976 – VIII ZR 246/74, BGHZ 66, 51 – Gemüseblattfall.

²⁶ შდრ. *Peter Krebs* in *Nomos Handkommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, 2. Aufl. 2012, BGB § 311 Rn. 139, რომელიც საუბრობს § 311 Abs. 3 S. 1 BGB-ზე; aA (ergänzende Vertragsauslegung) BGH 20.4.2004 – X ZR 250/02, NJW 2004, 3035 (3038 f.); *Hans-Peter Haferkamp* in *Barbara Dauner-Lieb/Horst Konzen/Karsten Schmidt, Das neue Schuldrecht in der Praxis*, 2002, 171 ff.; სამართლებრივი საფუძვლის დასახელების გარეშე:

BGH 29.4.1953 – VI ZR 63/52, BGHZ 9, 316 (318); BGH 28.5.1957 – VI ZR 136/56, BGHZ 24, 325 (327); ასევე (სამოსამართლო სამართალშემოქმედება, § 242 BGB), მაგალითად, *Peter Gottwald* in *Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, 6. Aufl. 2012, BGB § 328 Rn. 165, 167; *Astrid Stadler* in *Othmar Jauernig, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch*, 15. Aufl. 2014, BGB § 328 Rn. 21. Ausf. zum Meinungsstand *Jagmann* in *Staudinger, Neubearb.* 2009, BGB § 328 Rn. 92.

²⁷ BGH 26.6.2001 – X ZR 231/99, NJW 2001, 3115 (3116); BGH 2.7.1996 – X ZR 104/94, BGHZ 133, 168 (173); *Gottwald* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2012, BGB § 328 Rn. 178.

²⁸ *Krebs* in *NK-BGB*, 2. Aufl. 2012, BGB § 311 Rn. 144.

ან კვაზი-სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გაფართოების გზით.²⁹

ამგვარად, ზიანის ანაზღაურების არანაირი წინასახელშეკრულებო მოთხოვნა არ წარმოეშობა დედასთან ერთად მალაზიაში შესულ შვილს, თუკი დედას მალაზიაში მალლიდან ჩამოვარდნილი საგანი მოკლავს. შვილის ინტერესს, რომ იგი არჩინონ, არ ფარავს წინასახელშეკრულებო ვალდებულებითი ურთიერთობის დაცვითი ეფექტი, ვინაიდან დედის გარდაცვალება კავშირში არაა შვილის თანხლებასა და მის მალაზიაში ყოფნასთან. იგივე ითქმის შეძენილი საგნებით გამონვეულ უბედურ შემთხვევებზეც.

თუმცა, გამონაკლისი შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულების შემავსებელი განმარტებიდან გსკ-ის 133-ე და 157-ე პარაგრაფების შესაბამისად.³⁰ მაგალითად, მშობლებს უნდა შეეძლოთ შვილის მკურნალობის ხელშეკრულების საფუძველზე იმ დამატებითი მოვლის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომლებიც მათ წარმოეშვათ ბავშვის მკურნალობისას ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის გამო.³¹ თუმცა, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ განხილულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა ხელშეკრულებას, რომელიც მშობლებმა საკუთარი სახელით, მაგრამ თავიანთი შვილის სასარგებლოდ დადეს (გსკ-ის 328-ე პარაგრაფის შესაბამისად); ამგვარად მათ, როგორც ხელშეკრულების მხარეებს, თავად უნდა შეეძლოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საკითხავია, იგივე გადაწყვეტილება იქნებოდა თუ არა მიღებული, თუკი მშობლები გსკ-ის 164-ე პარაგრაფის შესაბამისად თავიანთი შვილის სახელით იმოქმედებდნენ და, ამდენად, არა ისინი, არამედ ბავშვი გახდებოდა ხელშეკრულების მხარე.

თუმცა, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც, ექიმის ვალდებულება შემოიფარგლება პაციენტისთვის მიყენებული ზიანით, ვინაიდან სწორედ პა-

ციენტის პიროვნებაა მოქცეული მკურნალობასთან დაკავშირებული ურთიერთობის ცენტრში.³² შესაბამისად, უმაღლესი ფედერალური სასამართლო უნდა დაყრდნობოდა ხელშეკრულების შემავსებელ განმარტებას,³³ რაც, მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების შემთხვევაში, მისი მეთოდური მიდგომა იქნებოდა.³⁴ მაგრამ, ვინაიდან, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე ყველა პირის ინტერესი ამგვარ ვითარებებში, რომლებშიც საქმე ეხება მშობლების მიერ ბავშვისთვის მკურნალობის ჩატარების დავალებას, ყოველთვის მსგავსია და თანაც სრულიად უმნიშვნელოა, ბავშვისთვის სასარგებლო ხელშეკრულება მშობლების სახელითაა დადებული თუ თავად ბავშვის სახელით, ბავშვის სახელით მშობლების მოქმედების შემთხვევაშიც, არასწორი მკურნალობით გამონვეული, მოვლის დამატებითი ხარჯების თვალსაზრისით, დაშვებული უნდა იყოს მშობლების დამცავი ეფექტი ხელშეკრულებისა.

სპეციფიკურად მესამე პირის დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების განმარტებიდან, რომლის მიზანსაც სწორედ მესამე პირის გარკვეული სამართლებრივი ტვირთისგან ან ზიანისგან დაცვა წარმოადგენს, შესაძლებელია ასევე გამომდინარეობდეს გამონაკლის შესასრულებელ ვალდებულებასთან კავშირის ქონის წინაპირობიდანაც. მესამე პირის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში, გამომდინარეობს უშუალოდ ხელშეკრულებიდან, რაც შესაძლოა ასევე მოიცავდეს არაპირდაპირ ზიანსაც.³⁵ მაგალითად, აღიარებულია, რომ ორსულობის თავიდან აცილებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების დაცვით სფეროში პაციენტის ქმარი ანდა პარტნიორიც მოიაზრება, რაც იმას ნიშნავს, რომ არასწორი მკურნალობის შემთხვევაში, ამ პირებსაც შეუძლიათ, მოითხოვონ

²⁹ Harm Peter Westermann in Walter Erman, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 13. Aufl. 2011, Vorbem. zu BGB §§ 328 ff. Rn. 9.

³⁰ შდრ. Pardey (Fn. 8) Rn. 402.

³¹ BGH – VI ZR 158/82, BGHZ 89, 263 (266); Christian Janoschek in Beck'scher Online Kommentar BGB, Stand: 1.2.2014, BGB § 328 Rn. 62.

³² BGH – VI ZR 158/82, BGHZ 89, 263 (266).

³³ BGH – VI ZR 158/82, BGHZ 89, 263 (266).

³⁴ BGH – X ZR 250/02, NJW 2004, 3035 (3038 f.).

³⁵ თუმცა ხშირად გამოიციხულიცაა: Hartmut Oetker in MüKoBGB, 6. Aufl. 2012, BGB § 249 Rn. 99 f.

მოვლის ხარჯებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.³⁶ ქმრის ზიანი, ამ შემთხვევაში, ანაზღაურებადი არაპირდაპირი ზიანია.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების ინსტიტუტის მეშვეობით არ არის სრულიად გამორიცხული, მაგრამ როგორც წესი, მას აბრკოლებს შესასრულებელ ვალდებულებასთან კავშირის არქონა. თუკი გსკ-ის 133-ე და 157-ე პარაგრაფების შესაბამისი განმარტებით დადგინდება, რომ სწორედ იმ ინტერესის დარღვევით წარმოიშვა არაპირდაპირი ზიანი, რომელსაც ხელშეკრულების დამცავი ეფექტი მოიცავდა, დაზარალებულ მესამე პირებს შეუძლიათ მოითხოვონ არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურება.

ბ) მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია

კიდევ ერთ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია. თუმცა, ამ შემთხვევაში, მოთხოვნის დაყენებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია, მხოლოდ უშუალო დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ასეთ ვითარებაში მოთხოვნის დაყენებაზე უფლებამოსილი პირი არანაირად არ არის არაპირდაპირ დაზარალებული, არამედ ის მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულის მოთხოვნას აყენებს.

2. დელიქტური მოთხოვნები

ა) პრინციპი

დელიქტურ სამართალშიც, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულს შეუძლია.³⁷ არსებითად ეს განპირობებულია უკვე მიმოხილული გერმანული დელიქტური სამართლის „მცირე“ გენერა-

ლური დათქმების სისტემით.³⁸ გსკ-ის 823 I პარაგრაფის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაა, რომლის მფლობელსაც ხელყოფის შედეგად წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურება შეუძლია მოითხოვოს (შემადგენლობის პრინციპი).³⁹ არაპირდაპირ დაზარალებულ პირებს, მაშასადამე მათ, ვინც მხოლოდ სხვა პირის დაზიანების შედეგად განიცდიან თავიანთ ზიანს, როგორც წესი, თავად არ უზიანდებათ აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთე, ამიტომ გსკ-ის 823 I პარაგრაფის საფუძველზე ზიანის ანაზღაურებას ვერ მოითხოვენ. იგივე ითქმის სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სხვა შემადგენლობებზეც, როგორცაა, მაგალითად, საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის 7 I პარაგრაფის ან პროდუქტზე პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1 I 1 პარაგრაფი.

აღნიშნული შესაბამისად ვრცელდება გსკ-ის 823 II პარაგრაფზეც. შემადგენლობის პრინციპიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მას, კონკრეტულად ვისი ხელყოფაც მოქცეულია დარღვეული ნორმის დაცვით სფეროში.⁴⁰ მესამე პირები, რომლებიც მხოლოდ ისეთ შუალობით ზიანს განიცდიან, რომელთა დადგომაც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს დამცავი ნორმის დარღვევას, გსკ-ის 823 II პარაგრაფით ვერ მოითხოვენ ზიანის ანაზღაურებას.

გსკ-ის 826-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნის კრედიტორიც არის მხოლოდ ის პირი, რომლის ქონებაც განზრახ და ამორალურად იქნა დაზიანებული და არა მესამე პირი, რომელსაც ამორალური ქმედებით მიაღდა ისეთი არაპირდაპირი ზიანი, რომელსაც დამზიანებლის განზრახვა არ მოიცავდა.⁴¹ ცხადია, სხვაგვარად არის საქმე, როდესაც ზიანის მიმყენებ-

³⁶ BGH 14.11.2006 – VI ZR 48/06, NJW 2007, 989 (990); Janoschek in BeckOK BGB, Stand: 1.2.2014, BGB § 328 Rn. 62.

³⁷ Oetker in MüKoBGB, 6. Aufl. 2012, BGB § 249 Rn. 281; Jahnke (Fn. 9) § 1 Rn. 34.

³⁸ შდრ. ზემოთ 2. ა).

³⁹ Oetker in MüKoBGB, 6. Aufl. 2012, BGB § 249 Rn. 280.

⁴⁰ Oetker in MüKoBGB, 6. Aufl. 2012, BGB § 249 Rn. 280.

⁴¹ BGH 20.2.1979 – VI ZR 189/78, NJW 1979, 1599 (1600); Hermann Reichold in juris Praxis-Kommentar BGB, 6. Aufl. 2012, BGB § 826 Rn. 72.

ლის განზრახვა – მათ შორის არაპირდაპირი განზრახვაც⁴² – არაპირდაპირი ზიანის მიყენებას მოიცავს⁴³ და ქმედების ამორალურობა ამ ზიანსაც ეხება.⁴⁴ მაგალითად, ამას ადგილი შეიძლება ჰქონდეს მაშინ, როდესაც ტაქსის მძღოლების გაერთიანება თავის ერთ-ერთ თანამშრომელს ჯარიმას დააკისრებს იმის გამო, რომ ეს თანამშრომელი, გაერთიანების თვალთახედვით კონკრეტულ არასასურველ მძღოლს, ტაქსის მომსახურების განვეის უფლებას მისცემს.⁴⁵ ამ შემთხვევაში, თუკი მძღოლის მიმართ გამოყენებული ღონისძიება ამორალური იქნება, მძღოლს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. იგივე ითქმის სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევის გამო წარმოშობილ მოთხოვნებზე, რომელთა დაყენებაც არაპირდაპირ დაზარალებულს შეუძლია, თუკი დარღვეული სამსახურებრივი ვალდებულება მისი მოთხოვნის დაცვასა და ხელშეწყობას ემსახურებოდა.⁴⁶

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, როგორც წესი, აკრძალული ქმედების შედეგად არაპირდაპირ დაზარალებულ პირებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ აქვთ; ამასთან, შედარებით იშვიათია, მაგრამ მაინც არსებობს შემთხვევები, როდესაც ნორმის შემადგენლობის განხორციელება პირადად მათ პიროვნებას ეხება. ასევე სრული კომპენსაციის პრინციპით დასტურდება, რომ (მხოლოდ) ის პირი, რომლის სკენაც მიმართულია უნებართვო ქმედება,⁴⁷ უნდა იყოს უფლებამოსილი ზიანის სრულ ანაზღაურებაზე, მიუხედავად იმისა, დამდგარი ზიანი რა ფარგლებში ჩაითვლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანად.⁴⁸

ბ) გამონაკლისი: გსკ-ის 844-ე პარაგრაფი

„უშუალოდ დაზარალებული პირის აქტიურ ლეგიტიმაციაზე ფოკუსირების პრინციპიდან“⁴⁹ პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან გამონაკლისს აწესრიგებს გსკ-ის 844-ე პარაგრაფი. ამის საპირისპიროდ, მას შემდეგ, რაც 1977 წლიდან საოჯახო მეურნეობის გაძლოა ოჯახის რჩენაში შეტანილ წვლილად ჩაითვალა გსკ-ის 1360 IIპარაგრაფით,⁵⁰ მნიშვნელოვნად შემცირდა⁵¹ გსკ-ის 845-ე პარაგრაფის მნიშვნელობა, რომელიც დღეისათვის მხოლოდ ოჯახში ან საწარმოში კანონით დაკისრებულ იმ მომსახურების შეუსრულებლობას მოიცავს, რომელიც რჩენას არ განეკუთვნება.⁵²

გსკ-ის 844-ე მუხლი ეხება გარდაცვლილის ახლობელთა მოთხოვნებს იმ დაუშვებელი ქმედებების შემდეგ, რომლებიც მიმართული იყო მესამე პირის სიცოცხლის წინააღმდეგ. ამრიგად, პირადად გარდაცვლილის ახლობლები არ წარმოადგენენ დაუშვებელი ქმედების ადრესატებს, მაგრამ შეიძლება მესამე პირის გარდაცვალებით არაპირდაპირი ზიანი მიადგათ. ასეთ ზიანს განეკუთვნება დაკრძალვის ხარჯები, მიუღებელი სარჩო, ასევე სულიერი ტკივილი. თუმცა ამ უკანასკნელს გსკ-ის 844-ე პარაგრაფი არ მოიცავს. ნორმის 1-ლი ნაწილი აწესრიგებს დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას, მე-2 ნაწილი კი – მიუღებელი სარჩოს ანაზღაურებას. რჩენაში იგულისხმება როგორც ფულადი დახმარება, ისე ბუნებრივად განეული ამაგი, ორივე მათგანის ანაზღაურება ერთმანეთის პარალელურად შეიძლება იქნას მოთხოვნილი.

⁴² BGH 14.6.2000 – VIII ZR 218/99; NJW 2000, 2896 (2897); BGH 19.7.2004 – II ZR 218/03, NJW 2004, 2664 (2666).

⁴³ BGH – VI ZR 189/78, NJW 1979, 1599 (1600); Reichold in jurisPK-BGB, 6. Aufl. 2012, BGB § 826 Rn. 72.

⁴⁴ BGH – VI ZR 189/78, NJW 1979, 1599 (1600).

⁴⁵ BGH 12.11.1979 – II ZR 40/79, LM Nr. 35 zu § 826 BGB.

⁴⁶ BGH 29.3.1971 – III ZR 110/68, NJW 1971, 1172 (1174).

⁴⁷ Schiemann in ErmanBGB, 13. Aufl. 2011, BGB § 844 Rn. 1.

⁴⁸ ამ გაგებით Oetker in MüKoBGB, 6. Aufl. 2012, BGB § 249 Rn. 99, 281.

⁴⁹ Gerhard Wagner in MüKoBGB, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 1; მსგავსადვე RG 18.5.1903 – VI 29/03, RGZ 55, 24 (30); ასევე Schiemann in ErmanBGB, 13. Aufl. 2011, BGB § 844 Rn. 1; შდრ. ასევე Christian Huber in NK-BGB,

2. Aufl. 2012, BGB § 844 Rn. 2; Anne Röthel in Staudinger, Neubearb. 2007, BGB § 844 Rn. 2, die § 844 BGB für eine Durchbrechung des angeblichen Prinzips hält, dass nur der in seinen Rechtsgütern Beeinträchtigte Schadensersatz verlangen kann – ein solches Prinzip kann jedoch so pauschal schon im Hinblick auf §§ 823 Abs. 2, 826 BGB nicht angenommen werden.

⁵⁰ საქონრნინო და საოჯახო სამართლის სარეფორმო პირველი კანონი (1. EheRG) v. 14.6.1976, BGBl. I 1421, ძალაშია 1.7.1977-დან.

⁵¹ Jan Luckey in Hanns Prütting/Gerhard Wegen/Gerd Weinreich, Bürgerliches Gesetzbuch, 9. Aufl. 2014, BGB § 845 Rn. 1; Gerald Spindler in BeckOK BGB, Stand: 1.11.2013, BGB § 845 Rn. 1.

⁵² Luckey in Prütting/Wegen/Weinreich, 9. Aufl. 2014, BGB § 845 Rn. 1.

მიუღებელი ფულადი სარჩოს მოთხოვნის და-
ანგარიშების საფუძველს წარმოადგენს მოკლუ-
ლის ფიქტიური წმინდა შემოსავალი, რომელსაც
ის გარდაცვალების შემდეგ მიიღებდა და ოჯა-
ხის რჩენისათვის გაითვალისწინებდა;⁵³ ამას აკ-
ლდება ის საპროცენტო განაკვეთი, რომელსაც
თავად მოკლული საკუთარი საჭიროებებისათ-
ვის გამოიყენებდა.⁵⁴ ფიქსირებული საოჯახო
ხარჯები, ე.ი. ის ხარჯები, რომლებიც ადამიან-
ის დაკარგვისგან დამოუკიდებლად წარმოიშო-
ბა, ყოველგვარი გამოქვითვის გარეშე ნაწილდე-
ბა გარდაცვლილის ახლობლებს შორის.⁵⁵ მნიშვნე-
ლოვანია, რომ ზიანის მიმყენებელს მხოლოდ
იმ მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება შეიძლება
მოეთხოვოს, რომლის გადახდაც მოკლულს სა-
ოჯახო-სამართლებრივი კანონმდებლობით ევა-
ლებოდა.⁵⁶ კანონით გაუთვალისწინებელი ნება-
ყოფლობითი რჩენის ან ფაქტობრივი რჩენითი
ურთიერთობის გათვალისწინება არ ხდება.⁵⁷ სა-
მართლებრივი მოთხოვნები სარჩოს გამოყოფა-
ზე საოჯახო სამართლის კანონისმიერი ნორმე-
ბისკენაა მიმართული.⁵⁸

გარდაცვლილის ახლობლების მიერ ზიანის
ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ იმ ოდენო-
ბით დაიშვება, რაც ფაქტობრივად შეიძლება
ყოფილიყო განუღებელი.⁵⁹ მაშასადამე, ფულადი
სარჩოს ანაზღაურება ორი ზედა ზღვარით შე-
მოიფარგლება: ერთი მხრივ, დაუშვებელია იმა-
ზე მეტის მოთხოვნა, რისი სამართლებრივი ვა-
ლდებულებაც მოკლულს ექნებოდა, მეორე მხ-
რივ კი, მოთხოვნა შემოიფარგლება პროგნოზი-
რებული ფაქტობრივი შესაძლებლობებით. მიუ-
ღებელი ფულადი სარჩოს ოდენობის დადგენი-
სათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მო-
კლულის სამომავლო საშემოსავლო მდგომარე-
ობის პროგნოზს, ასევე მის მიერ უკვე გადახდი-
ლი სარჩოს ოდენობებს, თუკი მას ასეთი გადახ-
დის სამართლებრივი ვალდებულება ჰქონდა.
გარდაცვლილის ახლობლები, პროგნოზის

მტკიცების გამარტივების მიზნით, ხელმძღვა-
ნელობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
287-ე პარაგრაფით.⁶⁰

ამაგთან დაკავშირებული მოთხოვნა გულის-
ხმობს საოჯახო ხარჯებისა და ბავშვის მოვლა-
სთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურე-
ბას, რასაც გარდაცვლილი მისი წილის სახით
სიცოცხლის პერიოდში ფარავდა.⁶¹ დასაშვებია
ფიქტიური ანგარიშსწორებაც, ე.ი. გარდაცვლი-
ლის ახლობლებს არ სჭირდებათ შემცვლელი
მუშაკის აყვანა.⁶² ჩვეულებრივ, ამაგთან დაკავ-
შირებული მოთხოვნის ოდენობა გამოითვლება
აბსტრაქტულად, ცხრილების მეშვეობით, რომ-
ლებიც ითვალისწინებს ოჯახის სიდიდეს და ფი-
ქტიური შემცვლელი მუშაკის კლასიფიკაციას.⁶³

ვალდებულებითი სამართლის სპეციალურ
კანონებში, მაგალითად, საგზაო მოძრაობის შე-
სახებ კანონის მე-10 პარაგრაფსა და სამოქალა-
ქო პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-5 პა-
რაგრაფში, გსკ-ის 844-ე პარაგრაფის შესაბამი-
სი მოწესრიგებაა ასახული.⁶⁴

გ) კანონისმიერი ცესია

გარკვეულ შემთხვევებში, ადამიანის ჯანმრ-
თელობის დაზიანების ან მკვლევლობის დროს
მთლიანი ზიანის ანაზღაურებას თავდაპირვე-
ლად თავის თავზე იღებენ მესამე პირები, რის
შედეგადაც მათ არაპირდაპირი ზიანი ადგებათ.
მაგალითად, სოციალური სამართლის კოდექ-
სის VII წიგნის 63 I პარაგრაფისთანახმად, სამ-
სახურებრივი უბედური შემთხვევების დროს კა-
ნონისმიერი დაზღვევა, გარკვეული წინაპირო-
ბების არსებობისას, შრომისუუნაროდ დარჩე-
ნილ პირს ან გარდაცვლილის ახლობლებს უხ-
დის პენსიას. კანონისმიერ საპენსიო დაზღვევას
იღებენ ასევე გარდაცვლილის ახლობლები (სო-
ციალური სამართლის კოდექსის VI წიგნის 46-ე

⁵³ *Wagner* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 51.

⁵⁴ *Wagner* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 56.

⁵⁵ *Wagner* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 53 ff.

⁵⁶ *Wagner* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 24 ff.

⁵⁷ *Wagner* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 27 ff.

⁵⁸ *Wagner* in *MüKoBGB*, 6. Aufl. 2013, BGB § 844 Rn. 24, 37.

⁵⁹ *Röthel* in *Staudinger*, Neubearb. 2007, BGB § 844 Rn. 90.

⁶⁰ *Röthel* in *Staudinger*, Neubearb. 2007, BGB § 844 Rn. 90.

⁶¹ *Michel Schah Sedi / Cordula Schah Sedi*, *Personenschäden*, 2010, § 4 Rn. 89 ff., 153 ff.

⁶² *Schah Sedi/Schah Sedi* (Fn. 61) § 4 Rn. 93.

⁶³ *Schah Sedi/Schah Sedi* (Fn. 61) § 4 Rn. 93 ff.; ყველაზე

მნიშვნელოვანი და გავრცელებული ცხრილია *Hermann Schulz-Borck/Frank Pardey*, *Der Haushaltsführungsschaden*, 8. Aufl. 2013.

⁶⁴ შდრ. *Jahnke* (Fn. 9) § 1 Rn. 38.

და მომდევნო პარაგრაფები). ანაზღაურების გაგრძელების შესახებ კანონის (EFZG) 3 1 პარაგრაფის თანახმად, დამსაქმებელი, დასაქმებულის ავადმყოფობის შემთხვევაში, ვალდებულია, ექვსი კვირის განმავლობაში გადაუხადოს მას ხელფასი, ამის შემდეგ კი ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევა აგრძელებს გადახდას სოციალური სამართლის კოდექსის V თავის 44-ე პარაგრაფის თანახმად. განზრახი ძალადობრივი ქმედებების მსხვერპლებს, გარკვეულ პირობებში, მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ კანონის 1 | 1 პარაგრაფის ომის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ კანონის 1 | 1 პარაგრაფისა და მე-9 და მომდევნო პარაგრაფების თანახმად, შეუძლიათ მოითხოვონ რჩენა; ასეთივე მოთხოვნის უფლება აქვს მათ მემკვიდრეებს (მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ კანონის 1 | 1 პარაგრაფის ომის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ კანონის 1 | 1 პარაგრაფი, 36-ე და მომდევნო პარაგრაფები). ეს ჩამონათვალი არ არის ყოველისმომცველი.⁶⁵

მესამე პირის მიერ მომსახურების განევის ფარგლებში ყოველთვის გათვალისწინებულია დაზარალებული პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონისმიერი ცესია მესამე პირების მიმართ, რათა მათ შეძლონ რეგრესის წესით სარგებლობა. სოციალური დაზღვევის სააგენტოებისთვის ცესია გათვალისწინებულია სოციალური სამართლის კოდექსის X წიგნის 116 | პარაგრაფით, დამსაქმებლისათვის კი ანაზღაურების გაგრძელების შესახებ კანონის მე-6 | პარაგრაფით. სამხარეო მომსახურების უწყებებისათვის ცესიას ითვალისწინებს მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ კანონის მე-5 პარაგრაფი და ომის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ კანონის 81-ე a პარაგრაფი. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, ცესიის მეშვეობით რეგრესის კონსტრუქციის გამო, საქმე არანაირად არ ეხება მესამე პირის მოთხოვნას არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებაზე. მომსახურების გამწევი მესამე პირები უშუალოდ დაზა-

რალელებული პირის ზიანის ანაზღაურების იმ მოთხოვნას აყენებენ, რომლებიც *cessio legis*-ის ძალით მათზე გადავიდა. თუმცა, ფუნქციურად საქმე შეეხება არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან მოთხოვნები მომსახურების გამწევი მესამე პირზე გადადის მხოლოდ იმიტომ, რომ მან მომსახურება გასწია. უშუალოდ დაზარალებულს მესამე პირის მიერ განეული მომსახურების საფუძველზე ზიანი სრულიად უქარწყლდება. მაგრამ ზიანის მიმყენებელი პირი პასუხისმგებლობისაგან არ უნდა გათავისუფლდეს დაზარალებულის მიმართ მესამე პირის მიერ განეული მომსახურების გამო,⁶⁶ რის გამოც მომსახურების გამწევი მესამე პირი თავისივე განეული მომსახურების ოდენობით დაზარალელებული პირის (კრედიტორის) პოზიციაში გადადის.

დ) მართლმსაჯულების მიერ აღიარებული გამონაკლისები

მხოლოდ უშუალო ზიანის ანაზღაურების პრინციპიდან სხვა გამონაკლისებიც იქნა აღიარებული მართლმსაჯულების მიერ. მაგალითად, უბედური შემთხვევის მსხვერპლის ნათესავებს, გარკვეულ შემთხვევებში, შეუძლიათ, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება გარდაცვალების შესახებ მიღებული შეტყობინებით განცდილი „შოკის“ გამო.⁶⁷ იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული პასუხისმგებლობის უსაზღვრო გაფართოება, შოკით მიღებული ზიანის წინაპირობას წარმოადგენს ხანგრძლივი მძიმე პათოლოგიური ზემოქმედება, რომელიც სამედიცინო თვალსაზრისითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით ჯანმრთელობის დაზიანებად ფასდება და, ამდენად, სცდება ჯანმრთელობის ისეთი დასუსტების ფარგლებსაც, რომელსაც გარდაცვლილის ოჯახის წევრები, როგორც წესი, განიცდიან ხოლმე გარდაცვალების თაობაზე შეტყობინების მიღების შედეგად.⁶⁸ ამგვარად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, შეფასდება თუ

⁶⁵ სრულყოფილებისთვის შდრ. *Jahnke* (Fn. 9) § 2 Rn. 629 ff., § 4 Rn. 41 ff., § 5 Rn. 399 ff.

⁶⁶ *Horst Kater* in *Kasseler Kommentar zum Sozialversicherungsrecht*, Stand: 06/2013, SGB X § 116 Rn. 6.

⁶⁷ იხ. მაგ., *Christian Katzenmeier* in *NK-BGB*, 2. Aufl. 2012, BGB § 823 Rn. 22.

⁶⁸ *BGH* 11.5.1971 – VI ZR 78/70, *BGHZ* 56, 163 (165 f.); *BGH* 31.1.1984 – VI ZR 56/82, *NJW* 1984, 1405; *BGH* 4.4.1989 – VI ZR 97/88, *NJW* 1989, 2317 f.; შდრ.

არა მიღებული დაზიანება პათოლოგიურად.⁶⁹ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გვექონდეს საქმე გარდაცვლილის ოჯახის წევრის პირადი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთან, რაც, მიუხედავად იმისა, რომ შუალობითად განპირობებულია გარდაცვლილის სამართლებრივი სიკეთის დაზიანებით, ზიანის მიმყენებლის მიერ ანაზღაურებული უნდა იყოს გსკ-ის 823 პარაგრაფის შესაბამისად, როგორც საკუთრივ გარდაცვლილის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანება.⁷⁰

კიდევ ერთ გამონაკლისს წარმოადგენს დაბადებამდე ზიანის მიყენების შემთხვევა. თუ, მაგალითად, ორსული უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდება და ეს გამოიწვევს *nasciturus*-ის (ნაყოფის) ჯანმრთელობის დაზიანებას,⁷¹ ან თუკი *nasciturus* მშობიარობის დროს არასწორი სამედიცინო ჩარევის გამო დაზიანდება,⁷² ბავშვს შეუძლია, დაბადების შემდეგ (გსკ-ის 1-ლი პარაგრაფი) მოითხოვოს დედისათვის ზიანის მიყენების შედეგად მიღებული დაზიანების ანაზღაურება, თან იმის გამოც, რომ დაზიანდა მისი საკუთარი სამართლებრივი სიკეთე, მისი ჯანმრთელობა ან ფიზიკური ხელშეუხებლობა.⁷³ იგივე პირობა მოქმედებს *nondum conceptus*-ისთვის ჯერ კიდევ ჩასახვამდე მიყენებული დაზიანების შემთხვევაშიც,⁷⁴ რაც ტერმინოლოგიურად ვერ საბუთდება (ლოგიკურად შეუძლებელია, ჯერ კიდევ არარსებული ადამიანის ჯანმრთელობა „დაზიანდეს“), მაგრამ იგი გამომდინარეობს გერმანიის ძირითადი კანონის 1 | მუხლით გათვალისწინებული ადამიანის ღირსებიდან.⁷⁵

3. განსაკუთრებული შემთხვევები

ა) მორალური ზიანის ანაზღაურება

მორალური და სხვა არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, გსკ-ის 253 I პარაგრაფის თანახმად, მხოლოდ მაშინა არის შესაძლებელი, როდესაც კანონი ამას პირდაპირ ითვალისწინებს. მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომელიც არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს, მოცემულია გსკ-ის 253 II პარაგრაფში.. ამ ნორმის თანახმად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მხოლოდ გარკვეული სამართლებრივი სიკეთეების დაზიანების შემთხვევაში. გსკ-ის 253 II პარაგრაფის ნორმატიულ შინაარსს იმეორებს სხვა დამატებითი კანონების ნორმებიც, კერძოდ საფრთხის შექმნის გამო პასუხისმგებლობის დამდგენი ისეთი ნორმები, როგორცაა საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-11 2 პარაგრაფი ანდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-6 2 პარაგრაფი რომელიც კიდევ ერთხელ არის განმარტებული, რომ სხეულის დაზიანების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც შეიძლება იყოს მოთხოვნილი. ამ ნორმებს გსკ-ის 253 II პარაგრაფის გარეშე დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნიათ.⁷⁶ გარკვეულწილად მნიშვნელოვანია ასევე ზოგადი თანასწორობის კანონის 15 II 1 პარაგრაფი (არამატერიალური ზიანის ანაზღაურება დისკრიმინაციის შემთხვევაში) და გსკ-ის 651f II პარაგრაფი (ზიანის ანაზღაურება ჩაშლილი მოგზაურობისას შვებულების დროის უსარგებლოდ დაკარგვის გამო). სასამართლო პრაქტიკა არამატერიალურ ზიანს ხედავს ასევე ქონებრივი ზიანის „კომერციალიზაციის“ კუთხით; ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება საგზაო შემთხვევის შედეგად ავტომობილების სარგებლიანობის

Katzenmeier in NK-BGB, 2. Aufl. 2012, BGB § 823 Rn. 22.

⁶⁹ *BGH* – VI ZR 78/70, BGHZ 56, 163, (165 f.); *BGH* – VI ZR 97/88, NJW 1989, 2317 f.

⁷⁰ შდრ. *Jahnke* (Fn. 9) § 1 Rn. 41 f., § 2 Rn. 572 ff.

⁷¹ *BGH* 11.1.1972 – VI ZR 46/71, BGHZ 58, 48 (51).

⁷² *BGH* 6.12.1988 – VI ZR 132/88, BGHZ 106, 153 (155 f.); შდრ. *Jahnke* (Fn. 9) § 1 Rn. 42.

⁷³ სრულად იხ. *Katzenmeier* in NK-BGB, 2. Aufl. 2012, BGB § 823 Rn. 23.

⁷⁴ *BGH* 20.12.1952 – II ZR 141/51, BGHZ 8, 243 (248 f.) – *Lues-Fall*.

⁷⁵ შდრ. *BGH* – II ZR 141/51, BGHZ 8, 243 (248 f.) – *Lues*, რომელიც, მართალია, არ ასვენებს ადამიანის ღირსების ცნებას, მაგრამ მისი გადანყვეტილება საგნობრივად ამ კონცეფციითაა დასაბუთებული.

⁷⁶ *Huber* in NK-BGB, 2. Aufl. 2012, BGB § 253 Rn. 7.

დაკარგვას,⁷⁷ ასევე, უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ არც ისე დიდი ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ინტერნეტის გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვას.⁷⁸ მაგრამ გსკ-ის 253 II პარაგრაფის საფუძველზე ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ ამომწურავად ჩამოთვლილი სამართლებრივი სიკეთეების დაზიანების შემთხვევაში.

ამრიგად, მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა არაპირდაპირ დაზარალებულის მიერ შესაძლებელია მხოლოდ შედარებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც არაპირდაპირი ზიანი, თავის მხრივ, სამართლებრივი სიკეთის დაზიანებადაა აღიარებული. ესენია შოკით დაზიანებისა და დაბადებამდე ზიანის მიყენების დელიქტურ-სამართლებრივი შემთხვევების ჯგუფი. სახელშეკრულებო მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურება კი თითქმის არასდროს წარმოადგენს განხილვის საგანს, მათ შორის არც მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების შემთხვევაში.⁷⁹

ბ) საზოგადოების წევრებისთვის მიყენებული ზიანი

აა) რეფლექსური ზიანი

საკორპორაციო სამართალში „რეფლექსური ზიანის“ პრობლემა განსაკუთრებულ როლს თამაშობს. აქ იგულისხმება ის ზიანი, რომელიც უშუალოდ ადგება საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოების წილების გაუფასურების გამო არაპირდაპირ შეეხება საზოგადოების წევრებ-

საც. აღნიშნული ძირითადად განიხილება გამგეობისა და დირექტორის პასუხისმგებლობის სფეროებთან მიმართებით.⁸⁰ თუკი გამგეობის წევრის მიერ აქციონერისთვის მიყენებული ზიანი მხოლოდ და მხოლოდ მისი აქციების ღირებულების შემცირებაში მდგომარეობს და, ამგვარად, საზოგადოების მიერ განცდილი ზიანის მხოლოდ რეფლექსურ ეფექტს წარმოადგენს (ე.წ. ზიანის კონგრუენცია⁸¹), აქციონერს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა შეეძლოს მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ. ამის შედეგად ასევე აღმოიფხვრება მისი პირადი, არაპირდაპირ მიღებული ზიანიც.⁸² აქციონერი ნამდვილად არ იმოქმედებს *actio pro societate*-ს გზით, რადგან იგი საკუთარი ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.⁸³

რეფლექსური ზიანის ანაზღაურების გამოორიცხვა ეყრდნობა სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 117 I 2 პარაგრაფისა და 317 I 2 პარაგრაფში ჩადებული იმ იდეის განზოგადებას, რომ აქციონერს მხოლოდ საკუთარი ქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეუძლია მოითხოვოს, მაშასადამე, იმ ზიანისა, რომლის საფუძველსაც მხოლოდ მისი აქციების გაუფასურება არ წარმოადგენს.⁸⁴ ეს სამართლებრივი იდეა ვრცელდება შპს-ის პარტნიორებზეც.⁸⁵ აქციონერის ან პარტნიორის ის ზიანი, რომელიც საზოგადოების ზიანთან კონგრუენტულია, ე.ი. რომელიც საზოგადოების სასარგებლოდ განხორციელებული შესაბამისი ანაზღაურებით თავადაც სრულყოფილად აღმოიფხვრება და, ამდენად, მხოლოდ საზოგადოების მიერ განცდილი ზიანის ანარეკლია, წარმოადგენს რეფლექსურ ზი-

⁷⁷ BGH 30.9.1963 – III ZR 137/62, BGHZ 40, 345 (348); BGH 15.4.1966 – VI ZR 271/64, BGHZ 45, 212 (215).

⁷⁸ BGH 24.1.2013 – III ZR 98/12, NJW 2013, 1072.

⁷⁹ მორალური ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების კონკურენციის თაობაზე ამომწურავად იხ. *Karl August Prinz von Sachsen Gessaphe*, Der Tod in der Wasserrutsche: Schmerzensgeld bei konkurrierender vertraglicher und deliktischer Haftung, FS Eisenhardt, 2007, 301 ff.

⁸⁰ მაგ., *Merkt* in *MüKoGmbHG*, 2010, GmbHG § 13 Rn. 363; *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 358 f.; *Alexandra Tretter* in *Münchener Anwaltshandbücher Aktienrecht*, 2. Aufl. 2010, § 41 Rn. 47; *Patzina/Bank et al.* (Fn. 12) Rn. 84 f.; *Werner Wellhöfer* in *Werner Wellhöfer/Martin Peltzer/Welf Müller*, Die Haftung von

Vorstand, Aufsichtsrat, Wirtschaftsprüfer, 2008, § 3 Rn. 56.

⁸¹ მაგ. *Tretter* in *MAH Aktienrecht*, 2. Aufl. 2010, § 41 Rn. 47.

⁸² BGH – II ZR 243/87, BGHZ 105, 121 (131); *Hölters* in *Hölters*, 2011, AktG § 93 Rn. 358; *Altmeyen* in *Roth/Altmeyen*, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 150 ff.; *Patzina/Bank et al.* (Fn. 12) Rn. 85; *Wellhöfer* (Fn. 80) § 3 Rn. 56.

⁸³ *Tretter* (Fn. 80) § 41 Rn. 51.

⁸⁴ BGH 10.11.1986 – II ZR 140/85, NJW 1987, 1077 (1079); *Tretter* (Fn. 80) § 41 Rn. 47.

⁸⁵ BGH – II ZR 140/85, NJW 1987, 1077 (1079); *Altmeyen* in *Roth/Altmeyen*, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 152.

ანს და არ უნდა ანაზღაურდეს პარტნიორის სასარგებლოდ განხორციელებული გადახდის გზით.

ამგვარად სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 117 | 2 პარაგრაფისა და 317 | 2 პარაგრაფში ჩადებული სამართლებრივი იდეის გამოყენება, ერთი შეხედვით, გამონაკლისს წარმოადგენს სრული კომპენსაციის პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, მთლიანი ზიანის, მათ შორის არაპირდაპირის, მოთხოვნა შესაძლებელია, თუკი პასუხისმგებლობის დამაკისრებელი ნორმის შემადგენლობა შესაბამისი მოთხოვნის დამყენებელ პიროვნებაშია რეალიზებული. რეფლექსური ზიანის პრობლემაში ხომ მხოლოდ მაშინ მივდივართ, როდესაც შესაძლებელია იმის პოზიტიურად დადგენა, რომ პრინციპში პარტნიორის წინაშე პასუხისმგებლობა სახეზეა. მაგალითად, ზიანის მიმყენებლის მიერ დარღვეული უნდა იყოს პარტნიორის ინტერესების დამცავი ნორმა გსკ-ის 823 II პარაგრაფის გაგებით; მაგალითად, სახეზე უნდა იყოს სააქციო საზოგადოების გამგეობის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე პარაგრაფის დარღვევა⁸⁶ ანდა პარტნიორის მიმართ ამორალური ქმედება.⁸⁷ იგივე ითქმის პარტნიორის წევრობის უფლების დარღვევაზეც, თუკი წევრობის უფლებას მივიჩნევთ გსკ-ის 823 I პარაგრაფით გათვალისწინებულ „სხვა უფლებად“ და ეს უფლება საფუძველშივე დარღვეულია.⁸⁸ მაგრამ, მეორე მხრივ, გამგეობის მიერ სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 93-ე პარაგრაფის დარღვევა ვერ მიანიჭებს პარტნიორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 93-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულებები მხოლოდ საზოგადოების წინაშე არსებობს.⁸⁹ თუმცა სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 117 | 2 პარაგრაფი და 317 | 2 პარაგრაფი ხელს არ უშ-

ლის პარტნიორის მიერ იმ არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მისი წილების გაუფასურებაში არ გამოიხატება; პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია პარტნიორის კერძო ქონების სასარგებლოდ.⁹⁰

თუმცა ეკონომიკური კუთხით, სრული კომპენსაციის პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ მოჩვენებითია. ეს იმიტომ, რომ სანამ თავად საზოგადოების ანაზღაურების მოთხოვნა ღირებულია, პარტნიორის წილის გაუფასურებით გამოწვეული ზიანი არ არსებობს,⁹¹ სხვა შემთხვევაში თავად პარტნიორის მოთხოვნა იქნებოდა ღირებულებას მოკლებული. სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 117 | 2 პარაგრაფი და 317 | 2 პარაგრაფი არ ეხება არაპირდაპირი ზიანის სხვა შემთხვევებს. სადავოა სუფთა რეფლექსური ზიანისა და საზოგადოების წევრის „პირადი ზიანის“ გამიჯვნა.⁹² ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სრული კომპენსაციის პრინციპის გათვალისწინებისას გადამწყვეტი კრიტერიუმი უნდა იყოს ის, თუ რამდენად სრულად აღმოფხვრის საზოგადოების სასარგებლოდ გადახდილი ზიანის ანაზღაურება პარტნიორის ზიანს. პარტნიორის ქარბი ზიანი საკუთარ ზიანს წარმოადგენს და ანაზღაურებადია. გსკ-ის 826-ე პარაგრაფიდან გამომდინარე მოთხოვნების შემთხვევაში, პარტნიორს ასევე უნდა შეეძლოს რეფლექსური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁹³

ბბ) პარტნიორის სასარგებლო გამჭოლი პასუხისმგებლობა

პარტნიორის პიროვნების მიმართ პასუხისმგებლობის დამაკისრებელი შემადგენლობის განხორციელება წარმოადგენს ე.წ. „პარტნიორის

⁸⁶ RG 5.3.1938 – II 104/37, RGZ 157, 213, (216); *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 355.

⁸⁷ *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 356.

⁸⁸ *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 353.

⁸⁹ *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 351.

⁹⁰ შდრ. *Merkt* in *MüKoGmbHG*, 2010, GmbHG § 13 Rn. 363.

⁹¹ დამაჯერებელია *Volker Emmerich/Georg Bitter* in *Franz Scholz, Kommentar zum GmbHG*, 11. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 183 f.

⁹² *Altmeppen* in *Roth/Altmeppen*, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 151.

⁹³ RG – II 104/37, RGZ 157, 213 (220); *Hölters* in *Hölters*, 2. Aufl. 2014, AktG § 93 Rn. 356; *Uwe Hüffer* in *Uwe Hüffer, Aktiengesetz*, 10. Aufl. 2012, AktG § 117 Rn. 14.

სასარგებლო გამჭოლი პასუხისმგებლობის” წინაპირობას. აქ იგულისხმება პარტნიორის, როგორც კერძო პირის უშუალო დაზიანების შემთხვევები, რის საფუძველზედაც საზოგადოება თავის მხრივ არაპირდაპირ ზიანს განიცდის;⁹⁴ ასე ხდება, მაგალითად, როდესაც პარტნიორის სამუშაო ძალა აღარ არის საზოგადოების განკარგულებაში⁹⁵ ანდა მოვალეთა რეესტრში მართლსაწინააღმდეგო რეგისტრაციის გზით პარტნიორისთვის ზიანის მიყენება საზოგადოებისათვის საჭირო კრედიტის შეწყვეტას გამოიწვევს.⁹⁶ საზოგადოების დაზარალების შედეგად წილების ღირებულებაც მცირდება, რაც პარტნიორებისთვის არაპირდაპირი ზიანის მიყენებასაც იწვევს. სასამართლო პრაქტიკა ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ადასტურებს, კერძოდ კი, პარტნიორებს უნდა შეეძლოთ პირადად თავიანთ სასარგებლოდ თანხის გადახდის მოთხოვნის დაყენება.⁹⁷

ამგვარი მიდგომა გასაზიარებელია, ვინაიდან პარტნიორი, ასეთ შემთხვევებში, უშუალოდ თავად ზიანდება ხელშეკრულების დარღვევის ან დაუშვებელი ქმედების შედეგად. მხოლოდ და მხოლოდ სრული კომპენსაციის პრინციპიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მას თავად შეუძლია თავისი ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წილების გაუფასურებით გამოწვეული ზიანის ჩათვლით.⁹⁸ ზიანის მიმყენებელმა პირმა რომ საზოგადოების პარტნიორის კერძო ქონება უნდა აანაზღაუროს, იქიდანაც კი გამომდინარეობს, რომ არც საზოგადოება და არც თანაპარტნიორები არ არიან მოქცეული პარტნიორის პირადი ხელშეკრულების დაცვით სფეროში და არც დაუშვებელი ქმედების უშუალო მსხვერპლს წარმოადგენდნენ.⁹⁹

საწინააღმდეგოზე არ მეტყველებს არც სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის 117 | 2 პარაგრაფი და 317 | 2 პარაგრაფი, ვინაიდან აღნიშნული ნორმები არეგულირებენ პარტნიორის მოსარჩელედ ყოფნის უფლებამოსილების მოცულობას იმ მოქმედების შედეგად მოთხოვნის დაყენების მიზნით, რომელიც, სულ მცირე, საზოგადოების წინააღმდეგაც იყო მიმართული, ე.ი. რომლის მიმართაც საზოგადოებას მოსარჩელედ ყოფნის უფლებამოსილება ჰქონდა და, აქედან გამომდინარე, პარტნიორს არანაირი პირადი ზიანის ანაზღაურების მიღება არ შეუძლია, თუკი საზოგადოების მოთხოვნა ღირებულებაშია. ამიტომ, პარტნიორის სასარგებლო გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევებში, აღნიშნულთან საქმე არ გვაქვს. თუმცა, თუკი საზოგადოებას, გამონაკლისის სახით, ზიანის მიმყენებლის მიმართ ასევე აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მაგალითად, იმის გამო, რომ იგი მოცულია პარტნიორის მიერ დადებული კერძო ხელშეკრულების დაცვითი სფეროთი,¹⁰⁰ ზემოთ თქმული ძალაში რჩება, ე.ი. საზოგადოების წევრს ზიანის კონგრუენციის გამო მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.¹⁰¹

III. არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნები ფრანგული სამართლის მიხედვით

1. სახელშეკრულებო მოთხოვნები

ა) ძირითადი პრინციპი

სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება – ე.ი. ზიანის ანაზღაურება *responsabilité contractuelle*-ის საფუძველზე – ფსკ-ის 1147-ე მუხლის თანახმად, განიხილება მხოლოდ *inexécution*-ისა

⁹⁴ *Emmerich/Bitter* in Scholz, 11. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 177 ff.; *Altmeppen* in Roth/Altmeppen, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 150 ff.

⁹⁵ *BGH* 8.2.1977 – VI ZR 249/74, NJW 1977, 1283; *Emmerich/Bitter* in Scholz, 11. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 178; *Altmeppen* in Roth/Altmeppen, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 151.

⁹⁶ *BGH* 13.11.1973 – VI ZR 53/72, BGHZ 61, 380; *Emmerich/Bitter* in Scholz, 11. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 178; *Altmeppen* in Roth/Altmeppen, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 150.

⁹⁷ *BGH* – VI ZR 249/74, NJW 1977, 1283; *BGH* – VI ZR 53/72, BGHZ 61, 380; *BGH* 6.10.1988 – III ZR 143/87, NJW-RR 1989, 684.

⁹⁸ ამ გაგებით *Altmeppen* in Roth/Altmeppen, 7. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 152; *Emmerich/Bitter* in Scholz, 11. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 183.

⁹⁹ ამ გაგებით *BGH* – VI ZR 249/74, NJW 1977, 1283 (1284).

¹⁰⁰ *Emmerich/Bitter* in Scholz, 11. Aufl. 2012, GmbHG § 13 Rn. 183.

¹⁰¹ *BGH* – VI ZR 249/74, NJW 1977, 1283 (1284).

და *retard*-ის შემთხვევებში, ე.ი შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების დროს. *Inexécution* გულისხმობს ყოველგვარ სხვაობას შესრულებულსა და ხელშეკრულებით ნაკისრ შესრულებას შორის, ასე რომ *inexécution*-ის ცნების ქვეშ ექცევა არა მხოლოდ ვალდებულების სრული, არამედ ნაწილობრივ შეუსრულებლობაც და ცუდად შესრულებაც.¹⁰² ამით უკვე ცხადი ხდება, რომ სახელშეკრულებო საფუძველზე არაპირდაპირ დაზარალებულის ზიანის ანაზღაურება თითქმის არასოდეს განიხილება, რადგან ზიანის ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილი მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების კრედიტორია, რომელსაც ზიანი ადგება *inexécution*-ის ან *retard*-ის ფორმით. ვალდებულების შესრულების შეფერხებით განპირობებული მესამე პირთა ზიანი ფსკ-ის 1147-ე მუხლით არ ანაზღაურდება, ვინაიდან მესამე პირები, როგორც წესი, არ არიან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების მქონე პირის ხელშეკრულების კონტრაქტები; ფსკ-ის 1165-ე მუხლით განსაზღვრული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარდობითობის პრინციპის თანახმად კი, ხელშეკრულება მხოლოდ მის მხარეებს შორის წარმოშობს უფლებებსა და ვალდებულებებს.

ფსკ-ის 1135-ე მუხლიც, რომელიც დამატებითი სახელშეკრულებო ვალდებულებების ძირითადი ნორმაა,¹⁰³ როგორც წესი, ასევე არ მოიცავს არაპირდაპირ დაზარალებული პირის მოთხოვნებს. ამ ნორმის თანახმად, ხელშეკრულები ვალდებულებას წარმოშობს „ყველა შედეგთან მიმართებით, რომელსაც სამართლიანობა, წეს-ჩვეულება ან კანონი, მათი არსიდან გამომდინარე განაპირობებს.“

ყველაზე მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო დამატებითი ვალდებულებაა *obligation de sécurité*, რომელიც, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება წარმოადგენდეს ხელშეკრულების შესრულების დროს ხელშეკრულების მხარის ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებას.¹⁰⁴ *obligation de sécurité* შეიძლება გამოხატულ იქნას *obligation de résultat*-ის ან *de moyens*-ის ფორმით.¹⁰⁵ *obligation de résultat*-ის შემთხვევაში, ვალდებულება მიემართება შედეგს,¹⁰⁶ *obligation de moyens*-ის შემთხვევაში კი – ვალდებულება გულისხმობს გულისხმიერ ქმედებას – ფსკ-ის 1137 I მუხლის სიტყვებით – „*bon père de famille*“- კარგი მეოჯახის ქმედებას.¹⁰⁷

Obligations de sécurité, უმეტეს შემთხვევაში, *obligations de moyens*-ს წარმოადგენს; თუმცა თუ ხელშეკრულების შესრულებისას ტექნიკური საშუალებების გამოყენებაა საჭირო (მაგ. გადაყვანის ხელშეკრულებები¹⁰⁸ მგზავრის დანიშნულების ადგილზე „*sain et sauf*“ მიყვანის ვალდებულებით¹⁰⁹) და თავად დაზარალებული შესრულებისას აქტიურ მონაწილეს არ წარმოადგენს, *obligation de sécurité* გამოიხატება *obligation de résultat*-ის ფორმით.¹¹⁰ ამგვარი აქტიური მონაწილეობა სახეზე უნდა იყოს, მაგალითად, სათხილამურო ლიფტის გამოყენების შემთხვევაში, თუმცა არა სავარძლიანი საბაგიროთი მგზავრობისას: ამ შემთხვევაში კლიენტის აქტიური მონაწილეობა მხოლოდ ჩაჯდომითა და ჩამოსვლით შემოიფარგლება, ამრიგად *obligation de sécurité* მგზავრობისას გამოიხატება *obligation de résultat*-ის, ხოლო ჩასხდომისა და ჩამოსვლისას კი – *obligation de moyens*-ის ფორმით.¹¹¹ *obligation de résultat* უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც, როცა ხელშეკრულების შესრულებისას საფრთხეები წარმოიქმნება:

¹⁰² Martin Lohse, Das Verhältnis von Vertrag und Delikt, 1991, 58; François Terré/Philippe Simler/Yves Lequette, Les obligations, 11. Aufl. 2013, Rn. 570.

¹⁰³ Lohse (Fn. 102) 79.

¹⁰⁴ Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 454, 568, 590; Lohse (Fn. 102) 79; Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn.7) Rn. 949 f., რომლებიც obligation de sécurité-ს ყოველი ადამიანის ვალდებულებად მიიჩნევენ და ამიტომ უპირატესობას დელიქტურ მონესრიგებას ანიჭებენ.

¹⁰⁵ Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 590; Lohse (Fn. 102) 79.

¹⁰⁶ Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 580; Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 946.

¹⁰⁷ Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 579; Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 941; Lohse (Fn. 102) 58 f.

¹⁰⁸ Cour de cassation, première chambre civile (Cass. civ. 1re) 1.7.1969, Bull. Civ. I, Nr. 260 – Caramello; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 590.

¹⁰⁹ Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 775.

¹¹⁰ Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 949, მაგალითებითურთ სასამართლო პრაქტიკიდან: Fn. 32; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 590; Lohse (Fn. 102) 79 f.

¹¹¹ Cass. civ. 1re 4.11.1992, JCP 1993.II.22058; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 590.

დღესასწაულის ორგანიზატორმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მონაწილე ბავშვები არ დაიხრჩონ ორგანიზატორის საცურაო აუზში.¹¹² ასევე მწარმოებელმა, რომელიც კლიენტებს პროდუქტს აწვდის, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მისმა პროდუქტმა არ გამოიწვიოს ადამიანების ან საგნების დაზიანება.¹¹³

ბ) გამონაკლისები

აა) Stipulation tacite pour autrui

Obligation de sécurité-ს მოვალე მხოლოდ ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს, ვინაიდან გერმანული მესამე პირების დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების ინსტიტუტი ფრანგულ სამართალში არ არსებობს.¹¹⁴ მართალია, გარკვეულ ფარგლებში არსებობს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება (*stipulation pour autrui*, ფსკ-ის 1121-ე მუხ.), რომლის ფარგლებსაც სასამართლო პრაქტიკა ძირითადად სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევებში აფართოებს,¹¹⁵ მაგრამ *obligations de sécurité*-ის გაგებით დამცავი ეფექტის გაფართოება ფრანგულ სამართალში უცხოა, თუ არ ჩავთვლით ვინმე განსაზღვრულ გამონაკლისებს (*stipulation tacite pour autrui*).¹¹⁶ ერთ-ერთი გამონაკლისია, მაგალითად, ზემოთ ხსენებული ღონისძიების მოწყობის ხელშეკრულების შემთხვევა, რომლის დაცვითი სფერო ბავშვებსაც მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, *stipulations tacites pour autrui* გვხვდება საბანკო სამართალში¹¹⁷ და მგზავრთა გადაყვანასთან დაკავშირებულ ნორმებში.¹¹⁸ მაგალითად, გარდაცვლილის მხოლოდ არაპირდაპირ დაზარალებულ ახლობლებს, რო-

მლებსაც რკინიგზით ან ტრამვაით მგზავრობისას მოკლული პირი კანონის საფუძველზე არჩენდა, შეუძლიათ, სარკინიგზო ან ტრამვაის კომპანიისაგან მოითხოვონ მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან უნდა ჩაითვალოს, რომ პირთა ეს წრე მგზავრის მიერ დადებული ხელშეკრულების დაცვით სფეროს მიეკუთვნება („*censé avoir stipulé pour eux*“).¹¹⁹ სხვა არაპირდაპირ დაზარალებულებს, გარდა მემკვიდრეებისა და კანონის ძალით სარჩოს მიმღები პირებისა, ხელშეკრულების საფუძველზე არ შეუძლიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.¹²⁰ 1985 წლის 5 ივლისის კანონის თანახმად, საგანგებო წესები მოქმედებს მსუბუქი ავტომობილების საგზაო შემთხვევებთან დაკავშირებითაც.

ბბ) Action directe?

სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარდობითობის პრინციპიდან კიდევ ერთი გამონაკლისი და, ამგვარად, ერთგვარი ინსტიტუტი, რომელიც არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების საშუალებას იძლევა, არის *action directe*. აქ საქმე ეხება პირდაპირ მოთხოვნას, რომელიც კრედიტორს შეუძლია, ნაუყენოს თავისი მოვალის მოვალეებს. კანონით *action directe* გათვალისწინებულია, მაგალითად, ფსკ-ის 1753-ე მუხლით გამჭირავებლისათვის ქვემოქირავანის მიმართ, ფსკ-ის 1798-ე მუხლით განსაზღვრული ხელოსნებისათვის მშენებლობის დამკვეთის მიმართ და ფსკ-ის 1994-ე მუხლით შემკვეთისათვის ქვე-კონტრაქტორის მიმართ.¹²¹ *Action directe*-ის მომწესრიგებელი ნორმები არსებობს სამოქალაქო კოდექსის (*Code civil*) მიღმაც. უპი-

¹¹² Cass. civ. 1re 14.3.1995, Bull. Civ. I, Nr. 129.

¹¹³ Cass. civ. 1re 3.3.1998, Bull. Civ. I, Nr. 95.

¹¹⁴ Lohse (Fn. 102) 83 f.

¹¹⁵ Cour de cassation, chambre civile (Cass. civ.) 1.7.1850, DP 50.1.222; Cass. civ. 16.1.1888, DP 88.1.77; შდრ. ამომწურავად Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 516, რომლებიც ამ სახის ხელშეკრულებების გენერალურ მოქმედებას ეფუძნებიან.

¹¹⁶ Ulrich Hübner/Vlad Constantinesco, Einführung in das französische Recht, 4. Aufl. 2001, 185.

¹¹⁷ Reinhard Dammann, Die Einbeziehung Dritter in die Schutzwirkung eines Vertrages, 1989, Rn. 283.

¹¹⁸ Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 775; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 517; შდრ. Dammann (Fn. 117) Rn. 211.

¹¹⁹ Cass. civ. 6.12.1932, DP 1933.1.137; Cass. civ. 24.5.1933, D. 1933.1.137; Cass. civ. 23.1.1959, D. 1959.1.281; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 517; ასევე გემის ჩაძირვასთან დაკავშირებით Cour de cassation, chambre commerciale (Cass. com.) 19.6.1951, D. 1951.1.717.

¹²⁰ Cass. civ. 1re 28.10.2003, D. 2004, 233.

¹²¹ ეს უკანასკნელი სადავოა, თუმცა იხ. Cass. com. 9.11.1987, Bull. Civ. IV, Nr. 233; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 1189.

რველესად, უნდა აღინიშნოს სადაზღვევო კოდექსის მუხ. L. 124-3, რომლის თანახმადაც დაზარალებულს პირდაპირი მოთხოვნის უფლება აქვს პასუხისმგებლობის მზღვეველის მიმართ.¹²² თუმცა *action directe*-ის ეს შემთხვევები ძალიან იშვიათად წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებას. გამონაკლისია სადაზღვევო კოდექსის L. 124-3 მუხლით გათვალისწინებული პირდაპირი მოთხოვნა დაზარალებულისა მზღვეველის მიმართ. თუმცა, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს დელიქტური ბუნების მოთხოვნასთან, ვინაიდან დაზარალებული აყენებს თავის დელიქტურ მოთხოვნას, მაგრამ არა ზიანის მიმყენებლის, არამედ მზღვეველის მიმართ *action directe*-ის საფუძველზე. ეს პირდაპირი მოთხოვნა ფაქტობრივად ზიანის მიმყენებლის სადაზღვევო ხელშეკრულებას ეფუძნება, თუმცა პასუხისმგებლობის საფუძვლის თვალსაზრისით ეს არაფერს ცვლის. მაშასადამე, *action directe* თავად კი არ განაპირობებს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას, არამედ ზიანის მიმყენებლის მიმართ ზიანის ანაზღაურების უკვე არსებულ მოთხოვნას ეფუძნება.

2. დელიქტური მოთხოვნები

ა) „დიდი“ გენერალური დათქმები

ფრანგული დელიქტური სამართლის ნორმების სიტყვათწესობიდან არ გამომდინარეობს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის რაიმე შეზღუდვა. ფსკ-ის 1382-ე მუხლის თანახმად, ზიანის გამომწვევი ყოველი ადამიანური ქმედება, ზიანის დადგომაში ბრალეულ პირს ავალდებულებს ზიანის ანაზღაურებას. ამ „დიდ“¹²³ გენერალურ დათქმას განავრცობს ფსკ-ის 1383-ე და შემდგომი მუხლები.¹²⁴ ფსკ-ის 1383-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურე-

ბის ვალდებულება იმ პირსაც ეკისრება, რომელმაც ზიანი გამოიწვია არა უშუალოდ საკუთარი ქმედებით, არამედ გულგრილობით ან უყურადღებობით. ფსკ-ის 1384-ე მუხლი ანაზღაურების ვალდებულებას ავრცელებს იმ ზიანზეც, რომელიც გამომწვეული იყო იმ პირების ან იმ საგნების მეშვეობით, რომლებზეც პირს აკისრია ზედამხედველობის პასუხისმგებლობა. მესამე პირების გამო პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევები მონესრიგებულია ფსკ-ის 1384 IV, VI მუხლით, ფსკ-ის 1385-ე და მომდევნო მუხლი კი ეხება სანივთო პასუხისმგებლობის სპეციალური შემთხვევებს.

ფსკ-ის 1382-ე-1384-ე მუხლები გენერალური დათქმების ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა¹²⁵ და, ჩვეულებრივ, ყველა სახის ზიანს შეიძლება მოიცავდეს, ამგვარად მისი დაცვითი სფერო, როგორც ჩანს „უსაზღვროა“.¹²⁶ მოთხოვნის წარმოსაშობად პასუხისმგებლობის სამი ელემენტია საჭირო: უპირველესად *fait générateur de responsabilité*,¹²⁷ რაც შეიძლება დაახლოებით ითარგმნოს, როგორც „პასუხისმგებლობის დამფუძნებელი შემადგენლობა“; ფსკ-ის 1382-ე და მომდევნო მუხლის შემთხვევაში, ეს შეიძლება გულისხმობდეს ვალდებულების გასაკიცხ დარღვევას, ხოლო ფსკ-ის 1384-ე და შემდგომ მუხლებში – მესამე პირის ქმედებას ან რაიმე საგნის ზემოქმედებას. გარდა ამისა, მოთხოვნის დამყენებელმა პირმა ზიანი უნდა დაასაბუთოს¹²⁸ და *fait générateur*-სა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.¹²⁹

ქვემოთ დანვრილებით აღარ იქნება განხილული *fait générateur*, რადგან არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები დაკავშირებულია ზიანის ცნებასა და მიზეზობრიობასთან.¹³⁰

¹²² სხვა მაგალითებისთვის იხ. *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 1189.

¹²³ შდრ. ზემოთ I. 2. ა).

¹²⁴ *Lohse* (Fn. 102) 60.

¹²⁵ *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 47.

¹²⁶ *Gerhard Wagner*, Grundstrukturen des Europäischen Deliktsrechts, in Reinhard Zimmermann, Grundstrukturen des Europäischen Deliktsrechts, 2003, 189 (225).

¹²⁷ მაგ., *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (859); *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 52.

¹²⁸ *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (860 f.); *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 101 ff.

¹²⁹ *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (861); *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 88 ff.

¹³⁰ შდრ. *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (859 ff.).

ბ) ზიანი

მოთხოვნის დამყენებლის ზიანი შეიძლება იყოს ფიზიკური, მატერიალური ან არამატერიალური.¹³¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 253-ე პარაგრაფის მსგავსი შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, როგორც წესი, მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება იქნას მოთხოვნილი, ფრანგულ სამართალში არ არსებობს. თუმცა იმისათვის, რომ ზიანი ანაზღაურდეს, ის უნდა იყოს „direct, personnel et certain“¹³² და ასევე „légitime“.¹³³

ა) Dommage direct და მიზეზობრიობა

„Direct“ გულისხმობს, რომ ზიანი დამაზიანებელი ქმედების უშუალო შედეგი უნდა იყოს.¹³⁴ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაპირდაპირი ზიანის („dommages par ricochet“) ანაზღაურება გამოირიცხება. არაპირდაპირ დაზარალებულმა პირებმა შეიძლება დააყენონ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ წინაპირობით, რომ საქმე ეხება პირადად მათ მიმართ დამდგარ ზიანს („à titre personnel“).¹³⁵ ამრიგად, გარდაცვლილის ახლობლის რჩენასთან დაკავშირებული ზიანი (გამოიანგარიშება გარდაცვლილის შემოსავლის მიხედვით¹³⁶) წარმოადგენს უშუალო ზიანს, თუკი გარდაცვლილის ახლობელს შეეძლო უბედური შემთხვევით გარდაცვლილისაგან მარჩენალის მომსახურების მიღება.¹³⁷ გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ეს მოქმედებს არასამართლებრივი რჩენითი ურთიერთობების შემთხვევაშიც,¹³⁸ კერძოდ მოკლულთან ქორწინებაში არ

მყოფმა პარტნიორმა შეიძლება უბედური შემთხვევის გამომწვევი პირისაგან მოითხოვოს რჩენის ზიანის ანაზღაურება.¹³⁹

აქედან გამომდინარე, შემადგენლობის ნიშანი „dommage direct“ იძენს მიზეზობრიობის კრიტერიუმის მნიშვნელობას: მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა *fait générateur de responsabilité*-სა და ზიანს შორის საკმარისი მიზეზობრივი კავშირი არსებობს („lien suffisant de causalité“), ზიანი არის „direct“.¹⁴⁰ ჩვეულებრივ, ფრანგულ სამართალშიც ადეკვატურობის თეორიას აღიარებენ,¹⁴¹ ამასთან მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრაგმატულ-შეფასებითი სამართლიანობის იდეები.¹⁴² ამიტომაც, სარფიანი კლიენტის გარდაცვალების გამო ვაჭრისათვის ზიანის ანაზღაურება *dommage direct*-ის არარსებობის გამო დაუშვებელია.¹⁴³ ამის საპირისპიროდ კი, ავტომობილის მიერ მინის შემტვრევის შემდეგ სილამაზის სალონის დაკეტვის შედეგად უმუშევრად დარჩენილი თანამშრომლის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე დასაშვებია.¹⁴⁴ ცალკეულ შემთხვევებში, ასევე შესაძლებელია, მისაღები იყოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხელშეკრულების კონტრაქტის მკვლელობის გამო.¹⁴⁵ ამგვარად, საფეხბურთო კლუბს მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გარდაცვალების შემდეგ აუნაზღაურდა დაკარგული მაღალი გამოსასყიდი თანხა, რომელსაც ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ მანამდე სხვა კლუბები სთავაზობდნენ; მყურებელთა რაოდენობის შემცირების გამო დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება

¹³¹ *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (860).

¹³² *Maurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 241; *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (860); *Wagner* (Fn. 126) 189 (226).

¹³³ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 704 ff.

¹³⁴ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 703.

¹³⁵ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 703, 711.

¹³⁶ *Wagner* (Fn. 126) 189 (228).

¹³⁷ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 711.

¹³⁸ *Cour de cassation, chambre mixte* (Cass. ch. mixte) 27.2.1970, D. 1970, 201; ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. *Dupichot* (Fn. 7) Rn. 119 ff.

¹³⁹ *Cour de cassation, chambre criminelle* (Cass. crim.) 26.6.1958, Gaz. Pal. 1958.2.160; *Cass. crim.* 20.1.1959, Gaz. Pal. 1959.1.210; *Cass. crim.* 17.10.2000, Bull. crim.

Nr. 297; *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 706, 711; ასევე *Cass. civ.* 27.7.1937, DP 1938.1.5.

¹⁴⁰ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 703, 860; *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (860 f.).

¹⁴¹ *Cass. com.* 30.6.1969, Bull. civ. IV, Nr. 249 S. 235; *Cour de cassation, deuxième chambre civile* (Cass. civ. 2 e) 8.11.2007, Bull. civ. II, Nr. 246; *Cass. ch. mixte* 27.2.1970, D. 1970, 201; *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 860; *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (861); *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 340-1.

¹⁴² *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (861).

¹⁴³ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 711.

¹⁴⁴ *Tribunal de grande instance Nanterre* (TGI Nanterre) 22.10.1975, RTD civ. 1976, 551.

¹⁴⁵ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 711.

ლაურებაზე კი უარი ეთქვა არასაკმარისი მიზეზობრიობის გამო.¹⁴⁶

მიზეზობრიობასთან შეკავშირების შედეგად ზიანის პირდაპირობის კრიტერიუმი სივრცეს ქმნის შეფასებებისათვის, რომლებიც დაცვითი მიზნის იდეით შეიძლება შეივსოს. ეს იმიტომ, რომ არ არსებობს შემადგენლობის ზუსტი ნიშანი, რომელიც შესაძლებელს გახდის არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების კალაპოტში მოქცევას, „seule la sagesse des magistrats sert de digue“ (ქართ. „მხოლოდ მოსამართლის სიბრძნე ქმნის შეზღუდვას“).¹⁴⁷ თუმცა შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს „მოსამართლის სიბრძნე“, უპირველეს ყოვლისა, უშუალოდ დაზარალებული პირის უახლოეს ადამიანებს უკმაყოფილებს მოთხოვნას¹⁴⁸ და თან იმისდა მიუხედავად, დაზარალებული გარდაიცვალა თუ გადარჩა; აქ მოიაზრება იმ ახლობლის ზიანი, რომელმაც მუშაობა უნდა შეწყვიტოს და თავი მიუძღვნას მძიმედ დაშავებულის მოვლას.¹⁴⁹ ახლობელი ადამიანების ცნება („les proches“) მკაფიოდ არაა განსაზღვრული, თუმცა ოჯახის გარდა იგი უნდა მოიცავდეს „alliés de droit ou de fait“-ს.¹⁵⁰ საქმე შეეხება ახლობლებს „სოციალური, და არა სამართლებრივი სტატუსის გაგებით“.¹⁵¹ ოჯახს მიეკუთვნებიან წინაპრები და შთამომავლები, ასევე დაძმა, დისშვილები და ძმისშვილები.¹⁵²

სხვა არაპირდაპირ დაზარალებული პირების, მაგალითად, კრედიტორების, დამსაქმებლის,¹⁵³ პარტნიორების ან ფაქტობრივი საზოგადოების მოთხოვნების მიმართ მართლმსაჯულება ძალიან თავშეკავებულობით ხასიათდება;¹⁵⁴ ამასთან, იგი გაცილებით გულუხვია, როდესაც განიხილება იმ დასაქმებულთა მოთხოვნები, რომლებიც დამსაქმებელზე მიყენებული ზიანის გამო

არაპირდაპირ დაზარალდნენ.¹⁵⁵ ყოველივე ამის შემდეგ აღარ დგას საფრთხე, რომ დელიქტური მოთხოვნის საფუძვლების შემადგენლობის ფართო სივრცემ მოთხოვნების „ზვავი“ შეიძლება წარმოქმნას.¹⁵⁶

სასამართლო პრაქტიკაში არ არის გარკვეული საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა *direct*-ად ის ზიანი, რომელიც, თავის მხრივ არაპირდაპირად მიჩნეულმა ზიანმა გამოიწვია. ამგვარად, შესაძლებელია, მოკლულის ახლობლებმა რჩენის შეწყვეტის გამო თავის მხრივ ვეღარ შეძლონ მათთვის ახლობელი ადამიანისათვის სარჩოს მიწოდება, რომელიც ამის გამო ასევე ზარალდება („*ricochets au second degré*“).¹⁵⁷ მართებულია მითითება იმაზე, რომ არ არის ცხადი, თუ რის გამო შეიძლება ეთქვას უარი ამგვარ შუალობითად არაპირდაპირ დაზარალებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.¹⁵⁸

ბბ) *Dommage personnel, certain et légitime*

ის, რომ ზიანი *personnel* და *certain* უნდა იყოს, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ანაზღაურება, არ ქმნის რაიმე განსაკუთრებულ პრობლემას არაპირდაპირ ზიანთან დაკავშირებით. როგორც არაპირდაპირ, ისე უშუალო დაზარალებულს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია, რომელიც მას პირადად ეხება.¹⁵⁹ საეჭვო შეიძლება იყოს კრიტერიუმი *dommage personnel*, როდესაც საზოგადოების პარტნიორი მისი წილის გაუფასურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ზიანის მიმყენებლისგან ითხოვს.¹⁶⁰ ეს შემდგომში ქვემოთ იქნება განხილული.¹⁶¹

¹⁴⁶ *Cour d'appel Colmar* (CA Colmar) 20.4.1955, D. 156, jur., 723; ამ გადანყევტილების თაობაზე ამომწურავად *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (857).

¹⁴⁷ *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 221.

¹⁴⁸ *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 221, 232; *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 311.

¹⁴⁹ შდრ. *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 311.

¹⁵⁰ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 311.

¹⁵¹ *Wagner* (Fn. 126) 189 (228).

¹⁵² *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 311.

¹⁵³ თუმცა შდრ. CA Colmar 20.4.1955, D. 156, jur., 723; *Prinz von Sachsen Gessaphe* (Fn. 2) 857 (857).

¹⁵⁴ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 312 სასამართლო პრაქტიკაზე მითითებით.

¹⁵⁵ შდრ. *TGI Nanterre* 22.10.1975, RTD civ. 1976, 551; *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 312.

¹⁵⁶ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 320-1; *Dupichot* (Fn. 7) Rn 187.

¹⁵⁷ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 319.

¹⁵⁸ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 319.

¹⁵⁹ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 703, 712.

¹⁶⁰ შდრ. *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 225.

¹⁶¹ ამის შესახებ ქვემოთ 3. დ).

dommage certain-ის მოთხოვნა ხელს არ უშლის სამომავლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაყენებას. თუმცა, ზიანის დადგომის ალბათობა საკმაოდ მაღალი უნდა იყოს („*chance réelle et sérieuse*“), რის გამოც, მაგალითად, გარდაცვლილის ახლობლების რჩენის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ გარდაცვლილი, გადარჩენის შემთხვევაში, საკმარისი ალბათობით განახორციელებდა რჩენას.¹⁶²

შემცირდა აგრეთვე *dommage légitime* კრიტერიუმის მნიშვნელობაც. თუ ადრე ის ემსახურებოდა გარდაცვლილთან ქორწინებაში არმყოფი პარტნიორის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის უარყოფის დასაბუთებას,¹⁶³ დღეისათვის ქორწინება აღარ წარმოადგენს მოთხოვნის წინაპირობას.¹⁶⁴ მოთხოვნის უფლება მაშინაც კი არსებობს, როდესაც მოთხოვნის დამყენებელი პირი გარდაცვლილს ცოლქმრულად ღალატობდა, ვინაიდან 1975 წლიდან ცოლქმრული ერთგულების დარღვევა აღარ წარმოადგენს სისხლის-სამართლებრივი დანაშაულის შემადგენლობას.¹⁶⁵ თუმცა, გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, ჯანმრთელი შვილის მშობლებს ექიმის მიმართ არ გააჩნიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც ორსულობის შეწყვეტა ნარუმატებელი აღმოჩნდება.¹⁶⁶ ეს საბუთდება არა *dommage légitime*-ის კრიტერიუმით, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ზიანის თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა გაშვილებით და რომ ზიანი მშობლებმა ნებაყოფლობით აიღეს თავიანთ თავზე.¹⁶⁷

გ) მიმართება ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნებთან

გერმანული სამართლისგან განსხვავებით, მოთხოვნის დამყენებელსა და მოთხოვნის მოპასუხეს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა გამორიცხავს პარალელურად დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ისეთი ქმედებისათვის, რომელიც იმავდროულად სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასაც წარმოადგენს („*principe du non-cumul*“).¹⁶⁸ ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექიმის პასუხისმგებლობის სამართალში, ვინაიდან არასწორი მკურნალობა, ჩვეულებრივ, ყოველთვის არღვევს როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტურ ვალდებულებას.¹⁶⁹ თუმცა, *stipulation (tacite) pour autrui*-ის შემთხვევაში, მესამე პირებს შეუძლიათ, ამაზე თანხმობა ან უარი თქვან. უარის თქმის შემთხვევაში, დელიქტური პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობა იქმნება.¹⁷⁰ არაპირდაპირ დაზარალებულ პირებსაც, რომლებიც თავად არ იმყოფებიან უშუალოდ დაზარალებული პირის ხელშეკრულების დაცვით სფეროში, დელიქტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მაშინაც შეუძლიათ, როცა უშუალოდ დაზარალებულის ზიანი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ეფუძნება.¹⁷¹

3. განსაკუთრებული შემთხვევები

ა) მიუღებელი სარჩოს გამომანგარიშება

სარჩოს მიუღებლობით გამონვეული ზიანის ფულად ოდენობას ფრანგული სამართალიც,

¹⁶² Cass. crim. 21.11.1968, Gaz. Pal. 1969.1.100; Cass. civ. 2e 3.11.1971, D. 1972, 667; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 711; Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 102, 242.

¹⁶³ Cass. civ. 27.7.1937, DP 1938.1.5; შდრ. Dupichot (Fn. 7) Rn. 95.

¹⁶⁴ Cass. crim. 26.6.1958, S. 1970, 201; Cass. crim. 20.1.1959, Gaz. Pal. 1959.1.210; Cass. ch. mixte 27.2.1970, Bull. crim. Nr. 297; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn 706, 711; Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 221.

¹⁶⁵ Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 706.

¹⁶⁶ Cass. civ. 1re 25.6.1991, Bull. civ. I, Nr. 213, S. 140 ასევე წინა ინსტანცია Cour d'appel Riom (CA Riom) 6.7.1989, D. 1990, 284.

¹⁶⁷ CA Riom 6.7.1989, D. 1990, 284.

¹⁶⁸ Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 1007 ff.; Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 875 ff.; Lohse (Fn. 102) 86 ff.; Viney/Jourdain (Fn. 7) Rn. 742 ff.

¹⁶⁹ Viney/Jourdain (Fn. 7) Rn. 742.

¹⁷⁰ Malaurie/Aynès/Stoffel-Munck (Fn. 7) Rn. 1007; შდრ. Lohse (Fn. 102) 91.

¹⁷¹ Tribunal d'Instance Neufchatel (TI Neufchatel) 12.6.1957, D. 1957, 538; Christian Schernitzky, Immaterieller Schadensersatz in Deutschland, Frankreich und in der Europäischen Union, 2005, 115.

ჩვეულებრივ, მოკლულის ფიქტიური წმინდა (ნეტო) შემოსავლის საფუძველზე განსაზღვრავს, ამასთან ბრუტო-შემოსავალს აკლდება მხოლოდ სოციალური დაზღვევისა და პროფესიული საქმიანობით განპირობებული ხარჯები, მაგრამ არა კომუნალური გადასახადები.¹⁷² გათვალისწინებული უნდა იყოს ჰიპოთეტური პროფესიული წინსვლა.¹⁷³ გამოკლებას ექვემდებარება გარდაცვლილის სამომხმარებლო ხარჯები, რომლებიც მისი გარდაცვალების გამო აღარ არსებობს; ეს კვოტის შექმნით ხორციელდება.¹⁷⁴ გერმანული სამართლის მსგავსად, პირველ რიგში, გამოქვითული უნდა იყოს ფიქსირებული ხარჯები, რომლებიც გარდაცვლილის ახლობლებმა დაზარალებულის სიკვდილის მიუხედავად უნდა გადაიხადონ, შესაბამისი თანხა კი უნდა გადაიხადეს მხოლოდ და მხოლოდ გარდაცვლილის ახლობლებზე.¹⁷⁵

თუკი მოკლული პირი არ მუშაობდა და საოჯახო საქმეს უძღვებოდა, გარდაცვლილის ახლობლებს შეუძლიათ საოჯახო მეურნეობის მართვის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, გარდაცვლილის საოჯახო საქმიანობა ფულადი თანხით უნდა შეფასდეს.¹⁷⁶

ბ) მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლები

საფრანგეთშიც შესაძლებელია, ზიანი თავდაპირველად მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლის მიერ, ძირითადად დაზღვევის მიერ, ანაზღაურდეს. ხშირად კანონით გათვალისწინებულია, რომ მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებელმა თავის მიერ განხორციელებული გადახდის სანაცვლო ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისგან მოითხოვოს. სადაზღვევო კოდექსის L. 131-2 II მუხლის თანახმად, პირად მზღვეველს, ადამიანის დაზარალების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებლისგან რეგრესის წესით აქვს მოთხოვნის უფლება. ასევე ზიანის მზღვეველისთვის, სადაზღვევო კოდექსის L. 121-12 მუხლის თანახმად, მის მიერ გაწეული ანაზღაურების ოდენობით კანონისმიერი ცესიაა გათვალისწინებული. გარკვეულ შემთხვევებში, კანონისმიერი ცესია გათვალისწინებულია სოციალური მზღვეველის სასარგებლოდაც (სადაზღვევო კოდექსის მუხლები L. 376-1 და L. 464-1 C.), ამასთან ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის.¹⁷⁷

რეგრესის პრაქტიკულად მნიშვნელოვან ნორმებს შეიცავს 28-ე და შემდგომი მუხლები 1985 წლის 5 ივლისის Nr. 85-677 კანონისა „*tendant à l'amélioration de la situation des victimes d'accidents de la circulation et à l'accélération des procédures d'indemnisation*“.¹⁷⁸ კანონის სახელწოდების მიუხედავად, 29-ე და შემდგომი მუხლები, 28-ე მუხლის თანახმად, ვრცელდება არა მხოლოდ ავტოსაგზაო შემთხვევებით გამომწვეულ პიროვნულ ზიანზე, არამედ ყოველგვარ პიროვნულ ზიანზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის შემთხვევით არის იგი გამომწვეული. 29-ე მუხლი შეიცავს იმ მომსახურებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებელს რეგრესის შესაძლებლობას აძლევს. 31-ე მუხლის თანახმად, რეგრესის შესაძლებლობას ქმნის კანონისმიერი ცესია, გარდა დამსაქმებლის მოთხოვნებისა სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდის გამო.¹⁷⁹ ამ მოთხოვნებისთვის კანონის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ცალკე მოთხოვნას.

გერმანული სამართლის მსგავსად, მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლები ითხოვენ არა მათთვის მიყენებული არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას (თუ არ ჩავთვლით დამსაქმე-

¹⁷² Geneviève Viney/Patrice Jourdain, Les effets de la responsabilité, 3. Aufl. 2011, Rn. 138.

¹⁷³ Viney/Jourdain (Fn. 172) Rn. 140.

¹⁷⁴ Viney/Jourdain (Fn. 172) Rn. 141.

¹⁷⁵ Viney/Jourdain (Fn. 172) Rn. 141; Michel Cannarsa, Fatal Accidents and Secondary Victims Compensation in France in Marco Bona/Philip Mead/Siewert Lindenbergh, Personal Injury Compensation in Europe: Fatal Accidents and Secondary Victims, 2005, 115, 126.

¹⁷⁶ Viney/Jourdain (Fn. 172) Rn. 140.

¹⁷⁷ შდრ. მიმოხილვა Viney/Jourdain (Fn. 7) Rn. 314; ასევე დანვრილებით Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 893 ff.

¹⁷⁸ ამასთან დაკავშირებით მაგ., Terré/Simler/Lequette (Fn. 102) Rn. 896.

¹⁷⁹ შდრ. Wagner (Fn. 126) 189 (229).

ბლის მოთხოვნებს სოციალური დაზღვევის შენატანების გადახდის გამო, რომელთა განხორციელებაც *action directe*-ს გზით ხორციელდება), არამედ ისინი აყენებენ მხოლოდ უშუალო დაზარალებულის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რომელიც *cessio legis*-ის ძალით მათზე გადავიდა.¹⁸⁰ მაგრამ ფუნქციურად, იმავე მიზეზების გამო, რომლებიც გერმანული სამართლის შემთხვევაში განვიხილეთ, კანონისმიერი ცესიის დროს საქმე გვაქვს არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებასთან.

გ) მორალური ზიანის ანაზღაურება

ფრანგული სამართალი არ იცნობს კანონით განსაზღვრულ სპეციალურ წესებს არამატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის. შესაბამისად *obligation de sécurité*-ის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნები ანდა დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, როგორც წესი, მორალური ზიანის ანაზღაურებისკენაც შეიძლება იყოს მიმართული. აქედან გამონაკლისი არაა არაპირდაპირი დაზიანების შემთხვევებიც; ამრიგად გარდაცვლილის ოჯახის წევრებისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება ფრანგულ სამართლო პრაქტიკაში მყარად არის დამკვიდრებული და ასეთი ანაზღაურება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ უშუალოდ დაზარალებული პირი გადარჩება.¹⁸¹ მაგალითად, მამას თავისი შვილის დაშავების გამო ფსკ-ის 1382-ე მუხლის საფუძველზე შეუძლია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა,¹⁸² იგივე შეეხება დედასაც, რომელსაც ორსულობის დროს არას-

წორი მკურნალობის გამო შვილის უნარშეზღუდულობასთან უწევს ყოველდღიური კონფრონტაცია.¹⁸³

ისევე, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს, ამ შემთხვევაშიც არ არის საჭირო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა პირდაპირ და არაპირდაპირ დაზარალებულებს შორის.¹⁸⁴ თუმცა აუცილებელია *dommage direct, personnel, certain* და *légitime* წინაპირობები; ამასთან, ისევე, როგორც მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, პრობლემაურია *dommage direct*-ის წინაპირობის არსებობისა და მასთან დაკავშირებული მიზეზობრიობის საკითხი.¹⁸⁵ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს დანიშნული წყვილის შემთხვევაში,¹⁸⁶ არანათესაური კავშირის მქონე ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მსხვერპლთან,¹⁸⁷ სტაბილური თანაცხოვრების შემთხვევებში, მაშინაც კი, თუ ადგილი ჰქონდა ოჯახურ ლაღატს,¹⁸⁸ ასევე ნათლულის გარდაცვალების შემთხვევაშიც კი.¹⁸⁹ ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.¹⁹⁰ ამის საპირისპიროდ, სიდედრის მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მან ვერ შეძლო დაედგინა, რომ სიძესთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა.¹⁹¹

ფრანგული მართლმსაჯულება ისე შორსაც კი წავიდა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საყვარელი ცხოველის სიკვდილისთვისაც კი დაადგინა¹⁹² („le chien n'est pas moins un être vivant“¹⁹³), რის შემდეგაც ლიტერატურაში სარკასტულად დაისვა კითხვა,

¹⁸⁰ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 315.

¹⁸¹ *Viney/Jourdain* (Fn. 7) Rn. 317; *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 713; *Dupichot* (Fn. 7) Rn. 177 ff., 204 ff.; *Canarsa* (Fn. 175) 115, 127 f.

¹⁸² *Cass. civ. 2e* 8.3.1984, *Bull. civ. II*, Nr. 61.

¹⁸³ *Cour d'appel Paris* (CA Paris) 17.2.1989, D. 1989, 316.

¹⁸⁴ *Terré/Simler/Lequette* (Fn. 102) Rn. 713; *Schernitzky* (Fn. 171) 113.

¹⁸⁵ შდრ. *Schernitzky* (Fn. 171) 113 ff.

¹⁸⁶ *Cass. crim.* 5.1.1956, D. 1956, 216.

¹⁸⁷ *Cass. crim.* 30.1.1958, *Gaz. Pal.* 1958.1.367, *Cass. crim.* 20.3.1973, *Bull. crim.* Nr. 137.

¹⁸⁸ *Cass. crim.* 19.6.1975, D. 1975, 679; *Cass. crim.* 3.5.1977, *JCP* 1977, Ed. G, IV, 166.

¹⁸⁹ *Cass. crim.* 6.7.1955, *Gaz. Pal.* 1955.2.159; *Cass. civ. 2e* 4.3.1964, *Gaz. Pal.* 1964.1.392.

¹⁹⁰ ამ და სხვა მაგალითების თაობაზე *Schernitzky* (Fn. 171) 113 ff.

¹⁹¹ *CA Paris* 11.3.1997, *Gaz. Pal.* 1998.1, somm. 12.

¹⁹² *Cass. civ. 1re* 16.1.1962, *Bull. civ. I*, Nr. 33 (ცხენის დაკარგვა); *Cour d'appel Rouen* (CA Rouen) 16.9.1992, D. 1993, 353 (ძაღლის დაკარგვა); *Tribunal de grand instance Caen* (TGI Caen) 30.10.1962, D. 1963, 92 (ძაღლის დაკარგვა).

¹⁹³ *CA Rouen* 16.9.1992, D. 1993, 353.

თუ რატომ არ შეუძლია ბიოლოგს, ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს იმ სულიერი ტკივილისათვის, რომელსაც იგი მისი საყვარელი ხის სიკვდილის გამო განიცდის; გამოთქმული შეხედულების თანახმად, არამატერიალური ზიანი ერთგვარ პანდორას ყუთს წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების სამართალში.¹⁹⁴

შეიძლება გაჩნდეს მოლოდინი, რომ არამატერიალური ზიანის ფულადი ფორმით შეფასების უზუსტობის გამო *dommage certain*-ის ნიშანმაც შეიძლება წარმოშვას სირთულეები,¹⁹⁵ თუმცა იგი პრაქტიკაში არ გამოვლენილა. *Cour de cassation* მიიჩნევს, რომ არამატერიალური ზიანი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულად შეფასებადი.¹⁹⁶

დ) საზოგადოების წევრებისათვის მიყენებული ზიანი

თუკი კაპიტალური საზოგადოება თავისივე ორგანოს მიერ ვალდებულებების დარღვევის ან მესამე პირის მოქმედების შედეგად დაზარალებულია, ისმება კითხვა, შეუძლიათ თუ არა პარტნიორებს ამით გამონვეული წილების ღირებულების შემცირების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც *dommage par ricochet*. ეს, ფსკ-ის 1382-ე მუხლის ფართო შემადგენლობის გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის.¹⁹⁷ თუმცა, სასამართლო პრაქტიკამ გადანყვიტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს პარტნიორის ზიანს. სინამდვილეში აქ საქმე ეხება მხოლოდ საზოგადოების ზიანს, რომლის ანაზღაურებასაც პარტნიორი ვერ მოითხოვს.¹⁹⁸ საბოლოო ჯამში სახეზე არ არის *dommage personnel*-ის ნიშანი,¹⁹⁹ მაგრამ აქციონერებს ან

– საზოგადოების ტიპისდა მიხედვით – პარტნიორებს შეუძლიათ, სავაჭრო კოდექსის L. 225-252 მუხლის შესაბამისად, საზოგადოების სასარგებლოდ იმ ორგანოების წინააღმდეგ იმოქმედონ, რომლებსაც საზოგადოების წინაშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებათ და თავად არ მოქმედებენ (*action sociale ut singuli*).²⁰⁰

IV. შედარებითი შეფასება

1. მატერიალური ზიანის ანაზღაურება

1) ძირითადი განსხვავება: წესისა და გამონაკლისის შებრუნება

ჩვეულებრივ, არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურება გერმანულ სამართალში გამონაკლისია,²⁰¹ ფრანგულ სამართალში კი – წესი.²⁰² ვინაიდან სამართლის ორივე სისტემაში სუფთა არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება უიშვიათეს შემთხვევაში არსებობს,²⁰³ ეს სხვაობა განპირობებულია ძირითადად იმით, რომ გერმანულ დელიქტურ სამართალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვისი სამართლებრივი სიკეთეც დაზიანდა, ვის მიმართაც დამცავი ნორმა დაირღვა ან ვისაც განზრახი და ამორალური ქმედებით მიადგა ზარალი.²⁰⁴ საფრანგეთში კი, ჩვეულებრივ, არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების უფლება აქვს ყველას, ვინც *fait dommageable*-ის შედეგად განიცადა ზიანი. ამასთან, დაზარალების სახე არავითარ როლს არ თამაშობს.²⁰⁵

¹⁹⁴ *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 248; თუმცა ამ კრიტიკის საწინააღმდეგოდ შდრ. *Hans Stoll, Gutachten* 45. DJT (1964), Band I, S. 1, 76 ff.

¹⁹⁵ შდრ. *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 248; *Dupichot* (Fn. 7) Rn. 195 ff.

¹⁹⁶ *Cass. crim.* 15.5.1957, D. 1957, 530; *Cass. civ.* 2e 28.11.1962, D. 1963, 77; *Schernitzky* (Fn. 171) 36.

¹⁹⁷ შდრ. *Yves Guyon, Droit des affaires*, 8. Aufl. 1994, Rn. 497.

¹⁹⁸ *Cour de cassation, troisième chambre civile* (Cass. civ. 3e) 22.9.1009, D. 2009, 2342; *Cass. com.* 26.1.1970, Bull. civ. V, Nr. 30; *Cour d'appel Versailles* (CA Versailles)

13.9.2005, BRDA Nr. 2- 2006, 5; ასევე *Guyon* (Fn. 197) Rn. 463; *Philippe Merle, Sociétés commerciales*, 17. Aufl. 2014, Rn. 461.

¹⁹⁹ *Merle* (Fn. 198) Rn. 461.

²⁰⁰ *Cass. com.* 26.1.1970, Bull. civ. V, Nr. 30; *Guyon* (Fn. 197) Rn. 462, 497; *Merle* (Fn. 198) Rn. 463.

²⁰¹ იხ. ზემოთ II. 1. ა), II. 2. ა).

²⁰² იხ. ზემოთ III. 2. ა).

²⁰³ იხ. ზემოთ II. 1. ბ), III. 1. ბ).

²⁰⁴ იხ. ზემოთ II. 2. ა).

²⁰⁵ იხ. ზემოთ III. 2. ა).

ბ) გარდაცვლილის ახლობლების მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება

როგორც გერმანული, ისე ფრანგული სამართალი გარდაცვლილის ახლობლებს, მკვლელობის შემთხვევაში, ანიჭებს ზიანის ანაზღაურების გარკვეულ უფლებებს, კერძოდ კი, დაკრძალვის ხარჯებთან ერთად, მათ აძლევს მიუღებელი სარჩოს ანაზღაურების შესაძლებლობას.²⁰⁶ გერმანული სამართლის მიხედვით, მიუღებელი სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებულია სამართლებრივი ურთიერთობის არსებობასთან, ე.ი. მისი წინაპირობაა ის, რომ გარდაცვლილის ახლობლებს გარდაცვლილის მიმართ ჰქონდათ კანონისმიერი საოჯახო-სამართლებრივი რჩენის მოთხოვნა.²⁰⁷ ფრანგული მართლმსაჯულება გაცილებით გულუხვია: იგი ფაქტობრივი რჩენით ურთიერთობას ეყრდნობა, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა იმ პირებსაც შეუძლიათ, რომლებსაც გარდაცვლილის მიმართ რჩენის სამართლებრივი მოთხოვნა არ გააჩნდათ, მაგრამ ფაქტობრივად იღებდნენ მისგან სარჩოს.²⁰⁸ ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანაცხოვრების შემთხვევაში.²⁰⁹ ამრიგად, ფრანგული სამართალი მიუღებელი სარჩოს შემთხვევაში ორიენტირებულია ფაქტობრივ ურთიერთობებზე, რომლებსაც გერმანულ სამართალში მხოლოდ მოთხოვნის შემზღვეველი ეფექტი აქვთ: კერძოდ, თუ მოკლულის ახლობლები ფაქტობრივად არ იღებდნენ სარჩოს, მათ არ შეუძლიათ ზიანის მიმყენებლისგან ანაზღაურების მოთხოვნა.²¹⁰

ევროპის საბჭოს 1975 წლის 14 მარტის № (75) 7 რეზოლუცია, რომელიც ფიზიკური დაზიანებისა და მკვლელობის შემთხვევებში ზიანის ანაზღაურებას ეხება,²¹¹ მე-15 პუნქტით ითხოვს, რომ პირებს, რომელთაც კანონით ჰქონდათ გარდაცვლილისგან სარჩოს მიღების უფლება, ზიანის მიმყენებლისგან უნდა შეეძლოთ

მარჩენალის დაკარგვის გამო წარმოქმნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. იგივე პირობა უნდა მოქმედებდეს იმ პირებისთვისაც, რომელთაც მოკლულის მიმართ არ გააჩნდათ სარჩოს მოთხოვნის კანონისმიერი უფლება, თუმცა მისგან ფაქტობრივად იღებდნენ სარჩოს. ამ უკანასკნელ მოთხოვნას პასუხობს ფრანგული სამართალი, გერმანული კი – არა.

თუმცა, ევროპის საბჭოს მიერ ჩაფიქრებული მიდგომა სავალდებულო არ ჩანს: მართალია, წარსულთან შედარებით, გაცილებით მეტია დაუქორწინებელი წყვილი²¹² და ქორწინების მსგავს ასეთ ურთიერთობებს ზოგჯერ ერთ-ერთი პარტნიორის შვილებიც მიეკუთვნებიან, მაგრამ, მეორე მხრივ, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ ქორწინების მსგავსი ურთიერთობის დროს პარტნიორები სრულიად გაცნობიერებულად არიან თავს ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას.²¹³ გაურკვეველია, პარტნიორთა ნების საწინააღმდეგოდ რატომ უნდა გავრცელდეს დელიქტური სამართლის შედეგები ფაქტობრივ თანაცხოვრებაზეც, რომელიც პარტნიორების ნებით ან, ყოველ შემთხვევაში, მათ მიერ არჩეული ცხოვრების მოდელით, სამართლებრივ მოთხოვნებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ეს ყველაფერი რჩენასაც ეხება.²¹⁴

გ) ოჯახის წევრების მიერ განეული მოვლის ხარჯები

თუ აკრძალული ქმედება იწვევს ადამიანის დაშავებას და არა მის სიკვდილს, როგორც წესი, არაპირდაპირ დაზარალებულის ზიანის გასაქარწყლებლად საკმარისია, უშუალო დაზარალებულს შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებული მოთხოვნა დაუკმაყოფილდეს. ამგვარად უშუალო დაზარალებულს შეუძლია, რჩენა განაგრძოს. მეორე მხრივ, არსებობს შემთხვევები,

²⁰⁶ იხ. ზემოთ II. 2. ბ), III. 2. ბ) აა).

²⁰⁷ იხ. ზემოთ II. 2. ბ).

²⁰⁸ იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

²⁰⁹ იხ. ზემოთ II. 2. ბ), III. 2. ბ) აა).

²¹⁰ იხ. ზემოთ II. 2. ბ).

²¹¹ ხელმისაწვდომია ინტერნეტში

<https://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command>

=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=1390303&SecMode=1&DocId=651122&Usage=2 (ბოლოს ნანახია 28.4.2014).

²¹² *Angela Diederichsen*, Ansprüche naher Angehöriger von Unfallopfern, NJW 2013, 641 (647).

²¹³ შდრ. *Diederichsen* NJW 2013, 641 (647).

²¹⁴ *AA Diederichsen* NJW 2013, 641 (647, 648).

როდესაც ახლობელი თავად შეწყვეტს მუშაობას, რათა მიძიმედ დაშავებულის მოვლა შეძლოს. ასეთ დროს გერმანულ სამართალს, იშვიათ შემთხვევებში, შეუძლია მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოს ოჯახის წევრების ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები. თუმცა ამის წინაპირობა ისაა, რომ განსაკუთრებული კავშირიდან მომდინარე საფრთხე სპეციფიკურად არაპირდაპირ დაზარალებულის ინტერესისკენ იყოს მიმართული, ან არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა ხელშეკრულებით იყოს შეთანხმებული.²¹⁵

ყველა სხვა შემთხვევაში, გსკ-ის 843 I პარაგრაფის საფუძველზე მხოლოდ უშუალო დაზარალებულის გაზრდილი დამატებითი საჭიროებები ანაზღაურდება. ფრანგულ სამართალს კი თავისი გენერალური დათქმის მეშვეობით ყოველთვის შეუძლია ახლობლების ზიანის ანაზღაურება.²¹⁶ საკითხის როგორი გადაჭრა უფრო ხელსაყრელია უშუალო დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, დამოკიდებულია ცალკეულ შემთხვევაზე. თუმცა ფრანგული მიდგომის საწინააღმდეგოდ შეიძლება იმის თქმა, რომ ოჯახის წევრების პატივსაცემი, მაგრამ უაღრესად პირადული გადაწყვეტილება, რომ მუშაობას თავი დაანებონ დაზარალებულის სასიკეთოდ, ზიანის მიმყენებელს ზედმეტად მიძიმე ფინანსურ ტვირთად აწვება.

დ) მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლების რეგრესული მოთხოვნები

როგორც ფრანგულ, ისე გერმანულ სამართალში, უშუალო დაზარალებულის ან მისი ახლობლების ზიანის შემსრულებლებისათვის შესაძლებელია მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლების ჩართვა.²¹⁷ აღნიშნულ პირებს, ძირითადად, განეკუთვნებიან მზღვეველი და დამსაქმებელი, რომლებმაც დაზარალებულის შემდეგ უშუალო დაზარალებულს ან მისი ოჯახის წევრებს უნდა გაუწიონ დახმარება. სამართლის

ორივე სისტემა მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლებს ზიანის მიმყენებლის მიმართ აძლევს რეგრესული მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას.²¹⁸ თუმცა სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლები, ასეთ შემთხვევაში, მოითხოვენ არა საკუთარი არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას, არამედ მათი მომსახურების მიმღებლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელთა სამართლებრივ პოზიციაშიც ისინი ცესის ძალით გადადიან,²¹⁹ მაგრამ ფუნქციურად საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებელი არ უნდა იყოს ის, ვისაც ზიანი საბოლოოდ დაანება ტვირთად: კანონისმიერი ცესის არსებითი საფუძველი მესამე პირთა ვალდებულების შემსრულებლის მიერ განეული მომსახურებაა. ამდენად, საგნობრივად სწორედ რომ არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან გვაქვს საქმე.²²⁰ ამ ნაწილში გერმანულ და ფრანგულ სამართალს შორის არ არსებობს რაიმე არსებითი განსხვავება.

ე) პარტნიორის არაპირდაპირი ზიანი საზოგადოების წილების გაუფასურების გამო

შედეგობრივი მსგავსება ნაწილობრივ არსებობს საზოგადოების პარტნიორთან, როგორც არაპირდაპირ დაზარალებულს, დაკავშირებით: საზოგადოების დაზარალების საფუძველზე წილების გაუფასურების ანაზღაურების შესაძლებლობას არც ერთი სამართლის სისტემა არ ითვალისწინებს.²²¹ საზოგადოების პარტნიორის პირველადი დაზიანებისა და ამით განპირობებული საზოგადოების არაპირდაპირი ზიანის შემთხვევაში (პარტნიორის სასარგებლო გამჭოლი პასუხისმგებლობა), გერმანულ სამართალს განსხვავებული მიდგომა აქვს.²²² ამ შემთხვევაში, ფრანგული სამართლის სასარგებლოდ მეტყველებს მისი სტაბილური მიდგომა, რომლის მიხედვითაც გაუფასურებით გამოწვე-

²¹⁵ იხ. ზემოთ II. 1. ბ) აა).

²¹⁶ იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

²¹⁷ იხ. ზემოთ II. 2. გ), III. 3. ბ).

²¹⁸ იხ. ზემოთ II. 2. გ), III. 3. ბ).

²¹⁹ იხ. ზემოთ II. 2. გ), III. 3. ბ).

²²⁰ იხ. ზემოთ II. 2. გ), III. 3. ბ).

²²¹ იხ. ზემოთ II. 3. ბ) აა), III. 3. დ).

²²² იხ. ზემოთ II. 3. ბ) ბბ), III. 3. დ).

ული ზიანი ყოველთვის მხოლოდ საზოგადოების ზიანად მიიჩნევა. გერმანულმა სამართალმა საზოგადოების პარტნიორს წილის გაუფასურება იმიტომ „უნდა“ აუნაზღაუროს, რომ საზოგადოებას, როგორც თავის მხრივ მხოლოდ არაპირდაპირ დაზარალებულ პირს, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ გააჩნია; ფრანგულ სამართალში კი საზოგადოებას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ამ შემთხვევაშიც აქვს.

ვ) ზიანი სხვა კრედიტორებისა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ახლობელ პირთა წრეს

უშუალოდ დაზარალებული პირის დამსაქმებელს, დასაქმებულს, კლიენტს, ბიზნეს-პარტნიორსა და სხვა კრედიტორებს, გერმანული სამართლის მიხედვით, კატეგორიულად არ შეუძლიათ მოთხოვნის დაყენება,²²³ თუკი ადგილი არ აქვს მოთხოვნის შემცველ იშვიათ სახელშეკრულებო შეთანხმებას,²²⁴ მესამე პირისკენ მიმართული დამცავი ნორმის დარღვევას ანდა განზრახ ამორალური ზიანის მიყენების შემთხვევას.²²⁵

ფრანგულ სამართალში ეს სხვაგვარადაა. როგორც წესი, ყველას, ვინც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების შედეგად დაზარალდა, მიუხედავად იმისა, ეს ზიანი პირდაპირია თუ არაპირდაპირი, ზიანის მიმყენებლისგან შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.²²⁶ შემზღუდველ კრიტერიუმს წარმოადგენს დაცვითი მიზნით შევსებადი ნიშანი ზიანის უშუალოებისა (*directe*).²²⁷ გარდა „*proches*“-ისა, რაც სოციალური გაგებით ახლობლებს ნიშნავს და რომლებზედაც ზემოთაც იყო საუბარი,²²⁸ ზიანის ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა ეძლევათ დასაქმებულებსაც, რომლებმაც დამსაქმებლის პირდაპირი ზიანის გამო არაპირდაპირი ზიანი განიცადა.²²⁹ სხვა კრედიტორები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იღებენ ზიანის ანაზღაურებას.²³⁰

ამ შემთხვევაში, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ გერმანული სამართალი გაცილებით მაღალ სამართლებრივ უსაფრთხოებას გვთავაზობს, ვიდრე ფრანგული, რადგან გერმანული კანონი მოთხოვნის უფლების მქონე პირთა წრეს გაცილებით მკაცრად ზღუდავს, ვიდრე ფსკ-ის 1382-ე მუხლი. როგორც უკვე ითქვა,²³¹ ფრანგული სამართლის მიდგომები ცალკეულ შემთხვევაში, გერმანულთან შედარებით, გაცილებით მეტადაა დამოკიდებული მოსამართლის „სიბრძნეზე“ („*sagesse*“).²³² მართალია, სასამართლო პრაქტიკას არ ჩამოუყალიბებია აბსტრაქტული სამართლებრივი ნორმები, მაგრამ პრაქტიკის კვალდაკვალ შეიძლება ითქვას, რომ იმ პირების ზიანის ანაზღაურების სარჩელები, რომლებიც არ წარმოადგენენ „*proches*“-ს ან დასაქმებულებს, ნაკლებად პერსპექტიულია.²³³ ამგვარად ის, რომ თითქოს ფრანგული სამართალი ნაკლებ სამართლებრივ უსაფრთხოებას გვთავაზობს, ვიდრე გერმანული, მართებული არ არის.

მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კრედიტორისა და დაზარალებულთა ჯგუფების მიმართ განსხვავებული მიდგომა ერთგვარ თვითნებობას წარმოადგენს. თითქმის შეუძლებელია იმის დოგმატურად დასაბუთება, თუ რის გამო უნდა იყოს დასაქმებულის ზიანი *dommage certain et personnel*, ხოლო დამსაქმებლის კი – არა; როგორც ჩანს, დასაბუთება ფრანგულ სასამართლოებსა და სამართალმცოდნეებს არც უცდიათ. ამიტომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების უფლების მქონე პირთა წრის ძირითადად უშუალო დაზარალებულით შემოფარგვლა, როგორც ამას „მცირე“ გენერალური დათქმები აკეთებენ, ჰარმონიზებულ დელიქტურ სამართალში უპირატესობას იმსახურებს.

2. არამატერიალური ზიანის ანაზღაურება

წმინდად არაპირდაპირ დაზარალებულისთვის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების

223 იხ. ზემოთ II. 1. ა), II. 2. ა).

224 იხ. ზემოთ II. 1. ბ) აა).

225 იხ. ზემოთ II. 2. ა).

226 იხ. ზემოთ III. 2. ა).

227 იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

228 იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

229 იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

230 იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

231 იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

232 *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 221.

233 იხ. ზემოთ III. 2. ბ) აა).

მოთხოვნები გერმანულ სამართალში თითქმის სრულიად გამორიცხულია.²³⁴ განსაკუთრებულ მძაფრ შემთხვევებში (შოკით მიყენებული ზიანი) მართლმსაჯულება აღიარებს არაპირდაპირ დაზარალებულის პირადი სამართლებრივი სიკეთის დარღვევას.²³⁵ ამ ფარგლებში შესაძლებელია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.²³⁶ ფრანგულ სამართალში კი, პირიქით, აღიარებულია ოჯახის წევრებისა და სხვა „proches“-ების მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.²³⁷ მკვლევლობის შემთხვევაში, ეს შეესაბამება ევროსაბჭოს 1975 წლის 14 მარტის № (75) 7 რეზოლუციის მე-19 პუნქტს.²³⁸ ეს ასევე შეესაბამება სამართლიანობასაც,²³⁹ რითაც ფრანგული სამართალი, ამ შემთხვევაში, მისასაღებელ შედეგებამდე მიდის.

ახლობლების მორალური ზიანის ანაზღაურების სანინააღმდეგო არგუმენტი, რომ თითქოსდა ტკივილის ფულით შეფასება შეუძლებელია,²⁴⁰ შეიძლება გვეთქვა კიდურების დაკარგვის გამო გამოწვეულ ტკივილზეც, რის გამოც გსკ-ის 253 I, II პარაგრაფი 1 რა თქმა უნდა, ითვალისწინებს კომპენსაციას. აქედან გამომდინარე, ჰარმონიზებულ დელიქტურ სამართალში მისასაღებელი იქნებოდა ახლობელთა მორალური ზიანის ფულადი ანაზღაურების დამკვიდრება. საფრანგეთში ნაწილობრივ გაკრიტიკებული ნორმის უსაზღვრო გაფართოების თავიდან ასაცილებლად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურების უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ევროპის საბჭოს ზემოთ ციტირებული რეზოლუციის მე-19 პუნქტში არიან დასახელებულნი (მსხვერპლის მამა, დედა, მეუღლე, დანიშნული პირი, შვილები). მამა და დედა გულისხმობს მშობლებს სამართლებრივი გაგებით, ვინაიდან გსკ-ის 1755 I 1 პარაგრაფის თანახმად, შვილად აყვანის შემთხვევაში, ბავშვის ნათესაური კავშირი უწინდელ ნათესავებთან წყდება და, ჩვეულებრივ, ნორმის მე-2

წინადადებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება.

იგივე ეხება ახლობლების მორალური ზიანის ანაზღაურებას უშუალო დაზარალებულის გადარჩენის შემთხვევაში. ზემოთაღნიშნული რეზოლუციის 13-ე პუნქტით ევროსაბჭო წინაპირობის სახით ითხოვს,²⁴¹ რომ ახლობლების ფსიქიკური ტკივილი საკმაოდ მძიმე იყოს, გარდა ამისა, კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირების წრე აქ მსხვერპლის მამით, დედითა და მეუღლით შემოიფარგლება. ამგვარი რეგულირების ჰარმონიზებულ დელიქტურ სამართალში გადმოტანის სანინააღმდეგოდ არაფერი მეტყველებს, თუმცა გაუგებარია, რატომ არ უნდა იყვნენ ასევე მსხვერპლთან დანიშნული პირი ან მისი შვილები ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილნი. ამგვარი მონესრიგების პირობებში, მოსალოდნელი არაა ფრანგულ სამართალში გაკრიტიკებული არამატერიალური ზიანის „პანდორას ყუთი“, რაც ანაზღაურების უფლების მქონეთა ფართო წრეს უკავშირდება.²⁴²

3. შეჯამება

(1) სამომავლო ჰარმონიზებულ ვალდებულებით სამართალში უპირატესობას იმსახურებს „მცირე“ გენერალური დათქმების სისტემა, როგორც გერმანულ სამართალშია. წმინდად არაპირდაპირ დაზარალებულებს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში უნდა შეეძლოთ თავიანთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

(2) მოკლულის ახლობლებს ზიანის მიმყენებლის მიერ უნდა აუნაზღაურდეთ მიუღებელი სარჩო, თუკი გარდაცვლილს ახლობელთა რჩენის კანონისმიერი ვალდებულება ჰქონდა. ეს შეესაბამება გსკ-ის 844 II პარაგრაფს.

(3) სხეულის მძიმე დაზიანების შემთხვევებში, უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულის გაზრდილი საჭიროებები და არა

²³⁴ იხ. ზემოთ II. 3. ა).

²³⁵ იხ. ზემოთ II. 2. დ), II. 3. ა).

²³⁶ იხ. ზემოთ II. 3. ა).

²³⁷ იხ. ზემოთ III. 3. გ).

²³⁸ შდრ. ზემოთ IV. 1. ბ).

²³⁹ შდრ. *Christian Huber*, Kein Angehörigenschmerzensgeld de lege lata – Deutschland auch künftig der letzte Mohikaner in Europa oder ein Befreiungsschlag aus der Isolation, NZV 2012, 5 (10).

²⁴⁰ *Angela Diederichsen*, Angehörigenschmerzensgeld „Für und Wider“, DAR 2011, 122 (123) (Deutsches Autorecht); შდრ. *Gerhard Wagner*, Gutachten 66. DJT (2006), Band I, S. A 1, A 63.

²⁴¹ იხ. ზემოთ IV. 1. ბ), ასევე ამ პუნქტის პირველი აბზაცი.

²⁴² *Malaurie/Aynès/Stoffel-Munck* (Fn. 7) Rn. 248; იხ. ზემოთ III. 3. გ).

ოჯახის წევრთა და სხვა ახლობელთა მიერ დაზარალებულის მოვლისათვის გაწეული მომსახურება; ეს შეესაბამება გსკ-ის 843-ე პარაგრაფს.

(4) თუკი ანაზღაურებას მესამე პირები იხდიან, მათ, როგორც ამას ითვალისწინებს ფრანგული და გერმანული სამართალი, უნდა შეეძლოთ გაწეული მომსახურების ოდენობით თანხის მოთხოვნა რეგრესის გზით ზიანის მიმყენებლისგან.

(5) საზოგადოების მიერ გაცდილი ზიანის გამო, პარტნიორთა წილის გაუფასურების კომპენსაციის მოთხოვნა თავად პარტნიორებს არ უნდა შეეძლოთ. ეს პრინციპი იმ შემთხვევაშიც უნდა მოქმედებდეს, როდესაც საზოგადოების ზიანი, თავის მხრივ, წარმოადგენს პარტნიორის უშუალო დაზარალებით გამონვეულ რეფლექსურ ზიანს. თუმცა, პარტნიორებს უნდა შეეძლოთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საზოგადოების სასარგებლოდ. ამგვარი გადაწყვეტა

ფრანგულ მიდგომას შეესაბამება.

(6) იმ სხვა კრედიტორების სუფთა არაპირდაპირი ზიანი, რომლებიც არც ნათესავები არიან და არც ახლობლები (მაგ., დამსაქმებელი, დასაქმებული, კლიენტი ან ბიზნეს-პარტნიორი), არ უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას, მსგავსად გერმანული სამართლის მოწესრიგებისა.

(7) გერმანული სამართლის მსგავსად, არამატერიალური ზიანის ანაზღაურება მხოლოდ მას უნდა შეეძლოს, ვინც „მცირე გენერალური დათქმების“ გაგებით თავად წარმოადგენს დაზარალებულს. მაგრამ, ფრანგული სამართლის მსგავსად, მკვლელობის ან მძიმე დაზიანების შემთხვევაში, ახლობლებსაც უნდა შეეძლოთ გაცდილი სულიერი ტკივილის გამო ზიანის ანაზღაურების მიღება. კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილ პირთა წრეში უნდა მოიაზრებოდეს მსხვერპლის მამა, დედა, მეუღლე, დანიშნული პირი და შვილები.

ყველაფერი თაგვმა დაიწყო

როგორც ამბობდა უოლტ დისნეი, „ეს ყველაფერი თაგვმა დაიწყო.“ თაგვი დაიბადა 96 წლის წინ და მას დაარქვეს მიკი მაუსი.

მიკი მაუსის პოპულარობა დაიწყო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმით „გემი უილი“ („Steamboat Willie“), რომელიც გამოვიდა კინოეკრანებზე 1928 წელს. დიდი ხნის განმავლობაში უოლტ დისნეი თავად ახმოვანებდა მიკი მაუსს. უოლტ დისნეი ადასტურებდა, რომ მიკი მაუსის ხასიათის შთაგონების წყარო იყო ჩარლი ჩაპლინის მანანნალას პერსონაჟი.

მიკი მაუსის მონაწილეობით შექმნილი ფილმები ათჯერ იყო ნომინირებული „ოსკარზე.“ 1941 წელს ფილმი „მომეცი თათი“ („Lend a Paw“) დაჯილდოვდა „ოსკარით.“ მიკი მაუსი იყო პირველი ანიმაციური პერსონაჟი, რომელსაც 1978 წელს გაუხსნეს ვარსკვლავი ჰოლივუდის დიდების ხეივანში.

ნაცისტურმა გერმანიამ აკრძალა მიკი მაუსი. ნაცისტების აზრით, მღრღნელი ვერ იქნებოდა იდეალური ცხოველი. ამავე პერიოდის იტალიაში აკრძალეს ყველა უცხოური საბავშვო პერსონაჟი, მიკი მაუსის გარდა. აღმოჩნდა, რომ მუსოლინის შვილებს ძალიან უყვარდათ მიკი მაუსი და მათ გამო აკრძალვა დროებით გადაიდო. თუმცა, როდესაც იტალიამ გამოუცხადა ომი აშშ-ს, მიკი მაუსი მაინც აკრძალეს. საბჭოთა კავშირში მიკი მაუსი ითვლებოდა აშშ-ს სიმბოლოდ. მხოლოდ 1988 წელს, როდესაც მიკი მაუსი ხდებოდა 60 წლის, საბჭოთა კავშირის კინოთეატრებში პირველად აჩვენეს ანიმაციური ფილმები მისი მონაწილეობით.

ზოგჯერ მიკი მაუსი მონაწილეობს არჩევნებში. თუ აშშ-ს ამომრჩევლებს არ სურთ ხმის მიცემა არც ერთი კანდიდატისთვის, ისინი ხშირად ხელით ამატებენ საარჩევნო ბიულეტენში მიკი მაუსის სახელს (ე.წ. „საპროტესტო“ ხმა). მიკი პირველად ჩანერეს საარჩევნო ბიულეტენში 1929 წელს, როდესაც იგი იყო მხოლოდ ერთი წლის.

მიკი მაუსის სახელს უკავშირდება კანონი და უამრავი სასამართლო დავა. კერძოდ, 1998 წელს აშშ-ს კონგრესმა გაახანგრძლივა საავტორო უფლებების მოქმედების ვადა. სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ეს ცვლილება შეეხო მიკი მაუსსაც. ოფიციალურად ამ კანონს უწოდეს „1998 წლის სონი ბონოს საავტორო უფლებების ვადის გაგრძელების აქტი.“ არაოფიციალურად კი მას დაარქვეს „მიკი მაუსის დაცვის აქტი.“

კანონის მიღებას მოჰყვა სარჩელი მისი არაკონსტიტუციურობის თაობაზე (საქმე *Eldred v. Ashcroft*, 537 U.S. 186). მოსარჩელის აზრით, აშშ-ს კონსტიტუციით კონგრესს ჰქონდა უფლება დაეცვა საავტორო უფლებები მხოლოდ შეზღუდული ვადით. საავტორო უფლებების ვადის გახანგრძლივებით კი კონგრესი არღვევდა კონსტიტუციას, რადგანაც დაცვის ვადა ფაქტობრივად ხდებოდა შეუზღუდავი.

აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ 7–2 უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ უკვე არსებულ ნაწარმოებზე საავტორო უფლებების მოქმედების ვადის გახანგრძლივება არ ეწინააღმდეგებოდა აშშ-ს კონსტიტუციას. სასამართლოს აზრით, კონგრესის მიერ განსაზღვრული ნებისმიერი

შეზღუდული ვადა იქნებოდა კონსტიტუციის შესაბამისი. კონსტიტუცია კი კრძალავდა უფლებების დაცვას მხოლოდ შეუზღუდავი ვადით. უმრავლესობის გადაწყვეტილება მოამზადა მოსამართლე ჯეინ გინზბურგმა. ამ დავას დეტალურად აღწერს ამერიკელი პროფესორი ლორენს ლესიგი თავის წიგნში **“Free Culture: How Big Media Uses Technology and the Law to Lock Down Culture and Control Creativity,”** New York, Penguin Press, 2004.

ათწლეულების განმავლობაში დისნეის კომპანია აქტიურად იცავდა უფლებებს მიკი მაუსის ანიმაციურ პერსონაჟზე. 1989 წელს დისნეის კომპანიამ მოსთხოვა სამ საბავშვო ბაღს ფლორიდის შტატში, რომ ბაღების კედლებიდან წაეშალათ მიკი მაუსისა და დისნეის სხვა პერსონაჟების გამოსახულებები. საბავშვო ბაღებმა ჩააწვლეს დისნეის პერსონაჟები სხვა კომპანიების ანიმაციური გმირებით. დისნეის კომპანია კი გახდა საყოველთაო კრიტიკის ობიექტი.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მიკი მაუსი საშინელებათა ფილმში? ან მიკი მაუსი სათაგურის რეკლამაში? მსგავსი რამ წარმოუდგენელი იყო 2024 წლის 01 იანვრამდე. თუმცა, ამ თარიღიდან მიკი მაუსის თავდაპირველი შავ-თეთრი ვერსია გახდა საყოველთაო კუთვნილება (**“public domain”**). შედეგად, ნებისმიერ პირს შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ყველასათვის საყვარელი ანიმაციური გმირის თავდაპირველი გამოსახულება.

მიკი მაუსმა შეიძლება გაიზიაროს ვინი პუჭის ბედი, რომელიც გადავიდა საყოველთაო კუთვნილებაში 2022 წელს 01 იანვრიდან. ერთ-ერთმა კინოკომპანიამ მალევე შექმნა დაბალბიუჯეტიანი საშინელებათა ფილმი: **“ვინი პუჭი: სისხლი და თაფლი.”** 2024 წელს დაგეგმილია ამ ფილმის მეორე ნაწილის ეკრანებზე გამოსვლა, სადაც ვინი პუჭი და მისი მეგობარი გოჭუნა შურისძიების მიზნით დასდევენ კრისტოფერ რობინს.

საქართველოს კანონმდებლობით, ნაწარმოები, რომელზეც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებ-

ლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები. ეს წესი ვრცელდება იმ ნაწარმოებზეც, რომელიც არ იყო დაცული საქართველოს ტერიტორიაზე (**“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”** კანონის მუხლი 34.1).

მიკი მაუსის თავდაპირველ ვერსიაზე საავტორო უფლებების ამოწურვის მიუხედავად, საავტორო უფლება კვლავ ვრცელდება მიკი მაუსის უფრო გვიან შექმნილ გამოსახულებებზე. საზოგადოებისთვის უფრო მეტად ცნობილია სწორედ მიკი მაუსის გვიან შექმნილი ვერსიები, მოკლე წითელი შარვლით, დიდი ყვითელი ფეხსაცმლით და თეთრი ხელთათმანებით.

მიკი მაუსის გამოსახულება და სახელი რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნებად. მათი დაცვა კი შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი ვადით, თუ სასაქონლო ნიშნის მფლობელი ყოველ 10 წელიწადში მოითხოვს რეგისტრაციის გაგრძელებას. მიკი მაუსის სახელი რეგისტრირებულია სასაქონლო ნიშნად საქართველოშიც (რეგისტრაციის ნომერი 24436, ძალაშია 21.01.2034-მდე).

მიკი მაუსის ანიმაციური პერსონაჟის გამოსახულების ან სახელის გამოყენებისას არ უნდა დაირღვეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიდან გამომდინარე უფლებები. მათ შორის, საზოგადოება არ უნდა იყოს შეცდომაში შეყვანილი, რომ ანიმაციური პერსონაჟის გამოყენება რაიმე ფორმით უკავშირდება დისნეის კომპანიას. თუმცა, მსგავსი ასოციაციის თავიდან აცილება ალბათ საკმაოდ რთული იქნება, რადგან მიკი მაუსის კავშირი დისნეის კომპანიასთან ძალიან ძლიერია.

დისნეის კომპანიას ხშირად აკრიტიკებდნენ, რომ საკუთარი პერსონაჟების შესაქმნელად იგი აქტიურად სარგებლობდა საყოველთაო კუთვნილებით. მაგალითად, კონკიას, ქალთევზას და ბევრი სხვა პერსონაჟი თავის დროზე აღებულია სწორედ საყოველთაო კუთვნილებიდან. ამის მიუხედავად, დისნეის კომპანია აქტიურად იცავდა საკუთარ ინტელექტუალურ საკუთრებას და დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა მისი ცნობილი პერსონაჟების გადასვლას საყოველთაო კუთვნილებაში. შედეგად, არც ერთი თავი არ ყოფილა დაჭერილი იმდენად დიდი ხნის განმავლობაში, როგორც მიკი მაუსი.

უოლტ დისნეი ამბობდა, რომ თუ შეგიძლია წარმოიდგინო, შეგიძლია გააკეთო კიდევაც. ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დაბადებიდან 96 წლის შემდეგაც მიკი მაუსი იქნებოდა ძალიან პოპულარული. მიკი მაუსმა გაიარა ძალიან გრძელი გზა შავ-თეთრი ანიმაციური ფილმებიდან ციფრულ ტექნოლოგიებამდე. მიკი მაუს-

მა გაუძლო ნაცისტებისა და საბჭოთა კავშირის ცენზურას. დღეს მიკი მაუსი ნაწილობრივ მაინც განთავისუფლდა და გახდა საყოველთაო კუთვნილება. მას წინ აქვს ძალიან საინტერესო ცხოვრება და ახალი სამართლებრივი თავგადასავლები.

ლევან ნანობაშვილი